652
1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოქტომბერი

# ალმანახი

1963

# ალაზანი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს მწერალთა
კავშირის აჭარის
განყოფილების ორგანო


ეროვნული
ბიბლიოთეკა

92.93.


5

1963

სექტემბერი
ოქტომბერი


## შინაარსი


ნ. გვარიშვილი — ლექსები . . . . 3

ფ. ხალვაში — გახსენება (მოთხრობა) . . . . 5

გ. სამხარაძე — სვანეთის გზაზე (ლექსი) . . . . . 11

ნ. ჩხაიძე — ხოხობა (მოთხრობა) . . . 13

ჯ. ქათამაძე — ლექსები . . . . . 22

ნ. მოდებაძე — მოთხრობები . . . . 24

ლ. სეიდიშვილი — ლექსები . . . . 32

გ. სანადირაძე — ველური (მოთხრობა) . . . . . 33

ვ. მაიაკოვსკი — წერილი მოლჩანოვის მიერ მიტოვებულ სატრფოს (ლექსი, თარგმნა გ. სალუქვაძემ) . . . 39

ს. მიხალკოვი — შტილი (მოთხრობა, თარგმნა ტ. ხინთიბიძემ). . . . 42

**დღეები და ადამიანები**

გ. ურუშაძე — ჩვენ დაგიბრუნდით, მშობლიურო მიწავ! . . . . . 49

**მოგონებანი**

ა. შალაძე — იმ მღელვარე დღეებში . . 57

**კრიტიკა და პუბლიცისტიკა**

ფ. მახარაძე — ოცნებიდან სინამდვილისაკენ . . . . . 63


გაზ. „საბჭოთა აჭარის“ გამომცემლობა

პ. ნაცვლიშვილი — სოციალისტური
რეალიზმის მეთოდის ნოვატორული
ხასიათი . . . . . 67

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლიტერატურული კალენდარი

დ. ნაცვალაძე — „სიტყვას ვიტყვი, ცამ
ქუხილი დაიწყოს“ . . . . . 73

ა. ახვლედიანი, ა. სურგულაძე —
მებრძოლი პოეტი და
პუბლიცისტი . . . . . 77

ი. ვართაგავა — გამოჩენილი ქართველი
საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი . . 81

## აჭარის წარსულიდან

ზ. თანდილავა — ქართველ ტომთა
თევზაობა-ნაოსნობის
წარსულიდან . . . . . 89

## სატირა და იუმორი

პ. ოგოლი — მოთხრობები . . . . 92

რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

**ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე** (პ/მგ. მდივანი),
**პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.**

---

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.
ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნანა გვარიშვილი

### ცის ასულს

დედოფალი ხარ ცხრაფერა ზეცის,
შენით თავდება ყველა ზღაპარი,
მთვარის ნიავი გამოიტაცე,
გააღე ყველა ოცნების კარი.
ჩემო იგავო! ჩუმად მითხარი,
როცა დაბრძანდი დედოფლად ცაზე,
იქ, ვარსკვლავებში, ხომ არ გინახავს
ჩვენი ლამაზი ნატო ვაჩნაძე?!

* * *

ბროლის ლარნაკში იცინის
ორი ლამაზი თვალი.
პატარა იის ფერი აქვთ
და მისი ნაპერწკალი...

შენი თვალების ფერი აქვს,
რატომღაც ასე მჯერა.
უცნაურია, რად ვდარდობ —
პირველ ვინ მოგეფერა?

### საზის ხმაზე

მე რომ ვდარდობ, ისა ხარ,
რომ ვიცინი, ისა ხარ,
როცა ელავ, მზისა ხარ,

როცა ღელავ, ზღვისა ხარ,
მაგრამ როცა გულსა გთხოვ,
მაშინ, კარგო, ქვისა ხარ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ჩვენს შორის ფრთხილი დუმილი დადის,
თითქოს ფიქრები წარბებს გირკალავს...
შენ მხოლოდ ჩემთან ეწევი თუთუნს
და ლამაზ თვალებს კვამლში მიმალავ.

* * *

შენ არ მოხვედი... ასე მგონია,
დარდს მიცემია მთელი ქვეყანა...
არა გრცხვენია?! რას შეუშინდი,
რას დაემალე, ჩემს ლექსებს განა?!

## ჩემო პატარა გაგუაწვერა

აგიყვან ხელში, მოგეფერები,
გასატაცებლად არ მიგცემ ნიავს...
ქალიცა მყავს და პატარა ვაჟიც,
არ შეგიბერავ, ნუ გეშინია.

* * *

სულ ვევედროთ გულს,
ზეცას შენცა, მეცა...

სიყვარულის ყვავილს
მუდამ წითლად ეცვას!

* * *

ყმაწვილურ სურვილს ვინახავ გულში,
ნუ შიშობ, თუ კრთის თმებში ვერცხლები!
მის დასამალავ ინის ყვავილებს
ლამაზ ხათუნებს დავესესხები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ფრიდონ ხალვაში

# გახსენება

ზოგიერთი შემთხვევა, ან ზოგიერთი ვინმე უცნაურ რაიმეს გაგახსენებს ხოლმე წარსულიდან.

აი, ახლაც, სოფლის ფოსტის წინ, კაკლის ხის ქვეშ, გრილოში, სულ მარტოდმარტო მოხუცი ზის. არა, კი არ ზის, მოკეცილ მუხლებზე დაშვებულა და ასე ჩაჩოქილი გაშეშებულა თითქოს. ცალ ხელში ყვითელი კრიალოსანი უჭირავს და ნელა, შეუმჩნევლად მარცვლავს. ტუჩებს აცმაცუნებს, ხშირ-ხშირად ცაში იყურება — ალბათ, ლოცვისთავებს იმეორებს.

შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი შორიახლო ჩერდება, ბერიკაცს აკვირდება, დალაპარაკებაც მოუნდა, მაგრამ უცებ რატომღაც ცვლის გადაწყვეტილებას და ფოსტაში შედის. გაზეთებს იღებს, ბრუნდება, კიბეზე კიდევ ერთხელ ანელებს ნაბიჯს, რომ მოხუცს კვლავაც თვალი შეავლოს.

მოხუცს მატყლივით თეთრი წვერი აქვს. ძველისძველ, ფსკერგამოცვეთილ ფესკზე მოთეთრო ყაბალახი ჩალმასავით მოუხვევია.

ახალგაზრდის მზერას, ალბათ, კიდეც გრძნობს, მაგრამ თვალსაც კი არ ამრუდებს. მას თავისი საქმე აქვს. მტკიცე, ურყევი და აუცილებელი გადაწყვეტილება, რწმენა: ლოცვის დამთავრებამდე გვერდით მიხედვა არ შეიძლება.

ახალგაზრდას თითქოს ოდნავ ეცნო თეთრწვერა კაცი. რაღაც შორეული, ჯერ კიდევ გაურკვეველი, მაგრამ ძალიან ახლობელი და მტკივნეული რამე იღვიძებს მეხსიერებაში. მოხუცს თვალს აშორებს, მაღაზიას ჩაუვლის, ძელებით დატვირთულ მანქანას გზას დაუთმობს, მერე ახალგაყვანილი შარაგზიდან მარჯვნივ უხვევს, წვრილ ბილიკს მიყვება. ეს ბილიკი

პატარა მინდორს გვერდით ჩაუვლის და იქით, ბარდებიან ფერდობზე, თეთრად დაკლაკნილი, მაღლა-მაღლა მიიწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცის სახე ახალგაზრდას სულ წინ უდგას და აწვალებს, ეჩვენება, რომ სიცხადე მიანიჭოს გონებაში გაღვიძებულ ბუნდოვან მოგონებას.

ვიდრე ამას გააკეთებს, სადღაც სულის სიღრმეში ცივად იგრძნობს, რომ ის წელანდელი მოხუცი კაცი სძულს და ჩუმი წყენა უკაწრავს გულს, ოდნავ სირცხვილსაც განიცდის თავის წინაშე, იღუშება. ფიქრი სხვა რამეზე გადააქვს, თანაც მალულად ტუქსავს თავის თავს, მაგრამ ყველაფერი თავიდანვე მეორდება.

შემდეგ მამა აგონდება...

„ჰო, მამაჩემი?“ — ეკითხება თავისთავს. რაღაცნაირ სიმსუბუქეს გრძნობს, რადგან მამის გახსენებამ დიდი სურათის პატარა ნაგლეჯები უეცრად ერთმანეთს მიაკერა, დავიწყებული და საკმაოდ შორეული სიყმაწვილე დაანახა.

იქ კვლავ გამოჩნდა წელანდელი მოხუცი, ასეთივე თეთრი წვერით, მაგრამ უფრო ახალი, გაუხუნარი ყირმიზი ფესკით და ზედ მოხვეული თეთრი ღაზლის ყაბალახით.

იგი ჯამეს კარებს აღებს, უკან მხოლოდ ათამდე მლოცველი მიყვება. გაჯავრებულია და საშინლად უკმაყოფილო სახე აქვს, მაგრამ ცდილობს კმაყოფილის იერი იქონიოს, რადგანაც ცოდვაა ალაჰის წინაშე ჯამეში უკმაყოფილო შეხვიდე-გამოხვიდე.

წინ ეს „გიაურის ბიჭი“ ეფეთება და ხოჯის სახიდან საბოლოოდ იკარგება ღიმილის ნამცეციც. მაგრად მოქნეული მუშტი, რომლის ერთ თითზე ხოშორი ვერცხლის ბეჭედია, გამეტებით ხვდება ბიჭს ყვრიმალში და ფერდით ეცემა ხეშეშ მიწაზე. იმდენი აზრი მაინც შერჩა, რომ საშინლად უნდა წამოხტეს და ყელში შეაფრინდეს ხოჯას, ფრჩხილებით დაკაწროს და დაახრჩოს იგი, მაგრამ ძალა აღარ ყოფნის. თვალებში რატომღაც უცნაური მწვანე რგოლები აცურდნენ და ისევ მიწაზე დაეშვა თვალდახუჭული ბიჭი. მეორე დღეს მეზობლის ბავშვებმა უთხრეს, მამაშენმა ჩამოიარა ზეგნიდან, დაგინახა, გადაირია, მივარდა ხოჯას, თვალებში შეაფურთხა, მერე ჯამესაც შეაფურთხა, შენ ხელი ცალ მკლავში წაგატანა, ზურგზე მოგიგდო და შინ მოგიყვანაო. ხოჯა მთელი დღე ხელაპყრობილი წყევლიდა მამაშენს და იქ მყოფებს აძალებდა ეთქვათ — ამინ!

წამოვიზარდე, — ფიქრობს ბილიკზე მიმავალი, — მაგრამ შურისძიება გულშიც არ გამივლია. ის ამბავი აღარც ახსოვდა ვინმეს, მე კი რატომ ვიკადრებდი მოხუცის გალახვას, სხვა ვერავინ გამიგებდა მაინც.

არა, იმ გარტყმის გამო არ შემძულებია ის... — ასკვნიდა თავისთვის ახალგაზრდა კაცი. ის? ჰო, ის! წელან კაკლის ძირას რომ ლოცულობდა, სწორედ ის იყო ხოჯა ჩვენი სოფლის ჯამეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მწარე სხვა ამბავი იყო...

ზამთრის ერთი ღამე ახსენდება.

თვითონ კუჩხეში იწვა დედასთან.

ფრთხილმა ჩურჩულმა გამოაღვიძა. არ გადმობრუნებულა, რამაზანი იყო და იფიქრა, ისევ იასლულის გამო ჩხუბობსო დედ-მამა. იმ თვეში სულ ასე ხდებოდა. განთიადისას დედა საჭმლის მზადებას დაიწყებდა, ბაღვები არ გავაღვიძოო, ბუხრიდან ჯამ-ჭურჭლის თარომდე ფეხაკრეფით დადიოდა. დასუფრავდა ცეცხლაპირთან მიდგმულ მრგვალ პატარა სუფრაზე და ქმარსაც გააღვიძებდა. ბიჭს ესმოდა, როგორ მჭახედ გადმოძახებდა მამამისი, არ მინდაო. დედას ალაჰის ეშინოდა და მთელ საათს ეხვეწებოდა, ადექი იასლულე, სამი დღე მაინც იმარხეო. ბიჭს ნერწყვი ადგებოდა პირში, საჭმლის სურნელი რომ მოხვდებოდა. თავს ჯერჯერობით კი იმძინარებდა, მაგრამ ძალიან უნდოდა მამაც ამდგარიყო იმიტომ, რომ მამა მასაც დაუძახებდა და ტკბილ ბაქლავას პირდაპირ ლოგინში გადაუწვდიდა.

მაგრამ ის ღამე სულ სხვანაირი ღამე იყო.

— რამ აგაყენა ავ მხარზე ამ შუაღამით, — წუწუნებდა დედა.

— კვერი გამომიცხვე, მივალ... — დინჯად ბრძანებდა მამა.

— ერთი გათენდეს, ჭო. ხვალ ბაირამია. რამაზნის ბოლო — არაფა ღამეა. იყავ შინ, თვარა რას იტყვიან: ბაირამ დღეს სანადიროდ წევიდაო.

— თქვან... მაგას ვუყურებ თუ? საღამოზე ცა მოიწმინდა და მთაში თოვლი კარგად გაიყინა. იცი ახლა რაფერ ვივლი? ჩემი ბაირამი ვიცი რაცაა. — ბუზღუნებდა მამა და თავისსავე მოჭრილ, თუნუქქვეშ დაგორგვალებულ თხილისოდენა ტყვიას მსხვილ ვაზნაში ტენიდა.

ის კი, პატარა ბიჭი, ჩუმად იწვა და აღელვებით უსმენდა მშობლებს.

მამა წამოდგა, სახლი აკრაჭუნდა. ბიჭმა დრო იხელთა და მხარი იცვალა. ცალი თვალი ოდნავ გაახილა, მამას შეჰყურებდა. ადგომა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა. იქნებ, დიდი საიდუმლო ამბავია და ჩემს გამო ხელი შეეშალოთო.

მაგრამ რა მოხდა — მამა სანადიროდ მიდის. უცნაურია, ხვალ ბაირამია, ის კი სანადიროდ მიდის.

მამის გვერდში ამოდგომა სურდა, სანადიროდ გაყოლა, თოფის მხარზე გადაკიდება, თხილამურებით სიარული, საღამოს ნანადირევის ჩამოტანა სოფელში, თუნდაც იგი მამის მოკლული ყოფილიყო.

— ბაღანას არ უთხრა ჯერ.

— რატომ? აკი არაფერი გწამს.

— ეს მწამს მარტო: სანადიროდ წასვლა არავინ არ უნდა იცოდეს. რომ დავბრუნდები, გეიგონ მერე.

— ბაირამია. ხედავ, რამდენ ბაქლავას ვაცხობ? დილას სახლიმამალს ვკლავ, გუშინ პური მოვცეხვე კორკოტინა გავაკეთო, ფლავისთვის ბრინჯს ახლა ვდგამ, ვინცხა საქონელსაც დაკლავს, ერთ ოყა ხორცს მეიტანდი,

ფხლიჟვერი დავალბე, კარგ სარმას შეგიკაზმავდი. ნუ წახვალ... ღმერთი ერთის მადლმა, ბაირამი ააფერი, ჰა, ბაირამი ააფერი, მარა ნუ წახვალ. ყველაი შინ იქნება, მეც მინდა შინ მყავდე. ვინცხა გამოიარა, ეკადგეტ-ყდება, ლუკმა შეიჭმება, იყავი შენც. — ემუდარებოდა დედა. ბიჭი მხოლოდ წელამდე ხედავდა მამას. მას მუხლებამდე ამოწეული შავი ზანკლები ჩაეცვა, ახალშეკერილი მესხური ტუჩამოქნილი ქალამნები კოხტად მოერგო ფეხებზე და ისე უსვამდა ფეხისგულებს იატაკზე, გეგონებოდა ცეკვას აპირებსო.

— ნუ ჯავრობ, ქალო... შვადღემდი მაცალე და უშველებელ ტახს ეზოში გავაწვარადინებ.

— აჰ, ღმერთმა ნუ ქნას! ტახი და ისიც ბაირამ დღეს?—შეჰკივლა დედამ. — ნუ შეიშალე, კაცო! ღორის ხორცი ეზოში არ მომაჩვენო, თვარა წავალ. აჰა, შეგაბერდი, მარა წავალ და ასე იცოდე.

ბიჭმა იცოდა: ქალის ჯინაზე ამბობდა მამა, თორემ ვერც თავად ჭამდა ღორის ხორცს. მოკვლა კი უყვარდა, მაგრამ ხორცს ეჭიმს და შვიდწლედის მასწავლებლებს ურიგებდა მუდამ, თვითონ მარტო ეშვს იტოვებდა სახსოვრად. ეშვები ბუხრის თაროზე ჰქონდა დაწყობილი. არავის დაათვლევინებდა — არ ვარგა, თოფი აღარ მოხვდებაო.

ჰო, ასეთი კაცი იყო: ეს წამდა, ხოჯისა კი არა.

კვერის გამოცხობას აღარ დაელოდა, შემომათენდებაო და მეშის აბგაში ნახევარი ხმიადი ჩააგდო, კეჟერას დამბალ ფოთოლში შეხვეული ერთი პეშვი დოც ზემოდან დაადო, ღაზლის ხელთათმანები და კიდევ რაღაცები ჩააწყო, ყაითნით თავი მოუხუფა და მხარზე წამოიგდო. შემდეგ დერეფნიდან მრგვალი თეთრი თხილამურები შემოიტანა, ძაფებით ერთმანეთს გადაბა და ისიც ზურგზე მიიკრა. ბებუთი ქარქაშში ჩააგო, გვერდით გადაიწია ქამარზე, თოფი ხელში შეათამაშა, მივიდა, დაიხარა და ბიჭს მსუბუქად ეამბორა შუბლზე, ცოლს მხრებზე ხელი მოხვია, ერთი თვალებში ჩახედა ღიმილით და ნელა მიიკრა მკერდზე.

— ნუ გეშინია. ჩემი ცოდვა ჩემს კისერზე იქნება. — დაამშვიდა ქალი და გარეთ გავიდა.

გაღებული კარიდან სუსხი შემოიჭრა, ოთახი მოითარეშა, ბიჭსაც გაჰკრა ლოყაზე. შეიშმუშნა ბავშვი, თავი საბანში ჩარგო, თვალები კი გაახილა და გაღებულ კარებში ღამის ცა დაინახა. ცაზე ორი-სამი ვარსკვლავი კიაფობდა. ისე კანკალებდნენ, გეგონებოდა სადაცაა ჩაქრებიანო.

მამამ ეზოში შეყინული თოვლის გზა ხრაშუნით გაიარა. ფეხის ხმა კარგა ხანს ისმოდა, მერე მიწყდა. ალბათ, მამა უკვე შორსაა. ბიჭს გული აუჩქარდა, — მამის მაგიერ შეეშინა. დედა არ შემოდიოდა. ალბათ, აივანზე იდგა და სიბნელეში მიმავალ ქმარს თვალებით აცილებდა. იქნებ, გრძნობდა, რომ ბიჭს ღვიძავდა და ცრემლით შემოსვლა რცხვენოდა.

ანდა, ვინ იცის, იქნებ დარდობდა, ასეთ ჯიუტ და უკუღმართ ბაბუს რად გავყევიო.

ბოლოს შემოვიდა, ეზოდან ორი ღერი მუხის ხის შეშის ნაჭრები მოიტანა, ბუხარში ცეცხლს შეუკეთა, ბიჭთან მივიდა. ჯერ ცოტა ხანს ჩამოჯდა სექვზე, მერე მიუწვა, მაგრამ ეტყობოდა, თვალი არც მოუხუჭავს.

მეორე დღე წელიწადის ბოლო დღე იყო და სკოლაში საახალწლო ნაძვის ხე მოეწყოთ. უფროსმა დამ ბიჭი წაიყვანა, ცქრიალა სათამაშოებიან ნაძვს გაჩვენებ, თან საჩუქარსაც გაგიყოფო. დედამ საჭმელებს თითიც არ დააკარა.

ბავშვები მოვიდნენ, მამა კი არსად ჩანდა.

ასეთ მოგონებებშია ფოსტიდან მიმავალი ახალგაზრდა კაცი.

სოფელს უახლოვდება.

აი, პირველი სახლებიც.

ბექობზე ჩერდება. აქედან მოჩანს ძველი ჯამე, რომელშიც ახლა საჭკითხველოა. ჯამედან პატარა გორაკზე ირიბად გზა ადის. გადაღმა ის სკოლაა, საახალწლო ნაძვის ხე რომ ნახა მაშინ, ბავშვობაში. გზა პატარა კლდეზე გადაივლის, ოდნავ დაეშვება და სკოლასთან მეორე დიდ გზას ჩაერთვის.

ის კლდისძირი, ის გზა, სკოლა და ჯამე ხელმეორედ ახსენდება.

დედა ღელავდა. მამა არ ჩანდა.

საღამოს სკოლის ეზოში თოფი ისროლეს და ყიჟინა ასტეხეს. ბავშვებმა მოირბინეს ყველა მხრიდან, რა მოხდაო. გზაზე, თეთრ თოვლზე ვეებერთელა სისხლიანი ტახი იწვა. იქვე იდგა მამამისი, მოგლეჯილ ეშვებს ჯიბეში იწყობდა, ნანადირევი კი იქვე ორთვალ სახლში მცხოვრებ მასწავლებლებს საახალწლოდ აჩუქა. მასწავლებლებმა არ გამოუშვეს, შეეხვეწნენ, შინ შეიპატიჟეს. მაშინ სოფელში ღვინოს ჯერ კიდევ არ აყენებდნენ. ამათ შორიდან მოეტანათ სასმელი. მონადირეს მიაწოდეს. მამას უარი არ უთქვამს. კარი ღია იყო. ბავშვები ეზოდან უყურებდნენ. ამ დროს ეზოში ხოჯამ ჩამოიარა, თავი არც მიუბრუნებია იმათკენ, მაგრამ ეტყობოდა ტახიც დაინახა და მამაც ღვინიანი ჭიქით ხელში.

ბიჭი მოწყვეტით გაიქცა თავდაღმართში. დედას მიახარა, მამა ჩამოვიდა მთიდანო. ღვინის დალევა კი აღარ უთხრა. აღარ გაუფუჭა ბაირამი დედას. გულში კი ბიჭს უხაროდა: მამა მყოლია ასეთი გამოსაჩენი, მართლა კაცი, სიტყვის მთქმელი, მონადირე, ყველაზე მაღალი, ყველაზე დიდი თოფით, ყველაზე ცივ ღამეში უშიშრად მოსიარულე.

შემდეგ?

არც უნდა იმის გახსენება, რაც შემდეგ მოხდა.

მამა შინ აღარ მოსულა.

სკოლიდან მარტო წამოსულიყო, იმ პატარა კლდეზე გადავარდნილიყო...

ყველას უკვირდა, კლდეებზე გაზრდილი კაცი რამ გადააგდო სანამ მთელი სოფელი იქ შეიყარა. ბიჭი მამასთან არ მიუშვეს. ეფრთხილობდა, პირს იკაწრავდა, ცრემლი ლაპალუპით ჩამოსდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახსოვს, უცებ ყველა გაიკრიბა. მამა კი მაინც ვერ დაინახა. მერე კლდის ძირას მივიდა, თოვლზე სისხლი შენიშნა, მამის სისხლი.

ხელი ჩაავლო თოვლს, დიდი, წითელი გუნდა მკერდზე მიიდო და შინისაკენ მოკურცხლა. თბილი იყო თოვლის გუნდა, ძალიან თბილი და თითქოს ცოცხალი...

რამდენიმე დღის შემდეგ, ახსოვს, ეზოში ხოჯა შემოვიდა, კიბის პირველ საფეხურს ფეხი დააბიჯა და გაჩერდა. დედამ გახედა.

— ხომ მიხდით, რა მოდევს ალაჰთან თამაშს. — უთხრა მწარედ დედას და მიბრუნდა.

ქალმა ვეღარ მოითმინა, ბოღმა ახრჩობდა, ტირილს ვერ იკავებდა. ბოლოს, მიაძახა:

— ამფერი რომ ხართ, იმიტომ აღარავინ მოდის ჯამეში...

— თქვენც გაგიავრდით!.. — გინებასავით მიუგდო ხოჯამ და გზა განაგრძო.

მაგრამ მამის დაღუპვის ის ბნელი ამოცანა, რომელიც რატომღაც მაშინ ვერავინ ამოხსნა, ახლა — კაკალთან დაჩაჩანაკებული ნახოჯარის ნახვის შემდეგ — უეცარი სხივით განათდა, გაიხსნა, გასაგები გახდა.

და ფიქრებში წასული შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი გაოცებით თვალს ავლებს უკანასკნელ ორ ათეულ წელიწადს, რომელმაც სოფელში ამდენი რამ გამოცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი სამხარაძე

### სვანეთის გზაზე

მურის ხიდს გასცდა ფრთამალი ავტო,
სამივე ციხე ჩამორჩა უკან...
დაუსრულებლად მე მინდა ვხატო,
ცხენისწყლისა და სვანეთის რუკა.

სამივე ციხე, მიკრული ამ მთებს,
გასცქერის ცაგერს და ფიქრებს მისდევს,
იმ წმინდა იმედს კელაპტრად ანთებს
და ერეკება დაძენძილ ნისლებს.

ვით სამი ბუდე მყივარ არწივთა,
დამზრალი, მაგრამ მდგარი მხნე გულით,
ისე ჩანს ახლა ადგილი წმინდა,
თეთრ კლდეთა მკერდზე მიხუტებული.

მოწყენით დგანან... გასცქერენ მგზავრებს...
ცაში აწვდილნი აგრე რად დუმან!
ტკივილი ცრემლის როგორ ატარეს,
ვერა, ვერასგზით მივუხვდი გუმანს.

გიჟი მდინარე ტალღებს აგორებს,
დაუცქვეტიათ ირმებს ყურები,
დევთა დავსებულ თვალებს მაგონებს
ერთ დროს მრისხანე სათოფურები.

შხარას მწვერვალებს მზის ბადე აკრავს,
ქარში სიმღერა იწყეს კორდებმა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტომობილი წინ მიჰქრის, მაგრამ
ის სამი ციხე თვალს არ შორდება.

ბარის ვარდებმა მე დამაბარეს,
გულში ტრფიალს ნუ გამოილევო,
ძმურად ვეხვევი სულ უცნობ სვანებს
და მერე ერთად ვმღერით „ლილეოს“.

წყარო ჩხრიალებს ბროლივით წმინდა,
ნისლი აშალეს კლდეთა უბნებმა,
ის სამი ციხე დროთა სიღრმიდან,
თითქოს მუნჯურად მესაუბრება.

გზა და გზა ექომ მე გამაჯავრა,
მთაზე გამოჩნდა თოვლის ხალები,
უკან დავტოვე ლურჯი ლაჯანა,
საირმის ქედი და კაშხალები.

ვინ გამოხატავს ამ სილამაზეს,
ვინც მოინდომა, თავი ანება...
წინ გზად შემხვედრი ოცნებით მავსებს,
უკან რაც მრჩება, ის მენანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნურადინ ჩხაიძე

# ხ ო ხ ო ბ ა

სისხამ დილით წამოხტა მეტყევე ხოხობა ლოგინიდან. წაფერდებული ფიცრული გამოაღო და ღელისკენ გაიქცა პირის დასაბანად. ნაყვავილარი, მოგრძო პირსახე ცივი წყლით გაიგრილა, მოშვებული წაბლისფერი წვერი და თმა ძარღვიანი თითებით აივარცხნა და აღიღინდა:

შენ მოწყვიტე ქორფა ვარდი,

გადმომიგდე საყვარელსაოო და...

დიდხანს ღიღინებდა იგი. ბოლოს, სიმღერა შესწყვიტა და ხმას აუწია:

— მამუკა, წამოფრინდი ზედ, თვარა ქოჩრით გადმოგითრევ ლოგინიდან! გაკეთდა ქვეყანა! მკვდრის მეტს ვის სძინავს ახლა?! ჩქარა წავიდეთ კალაშაში, თვარა დაგვაშუადღევდა.

მეტყევემ რძიარძიებზე გასაშრობად გაფენილი ძველი სათევზაო ბადე ნაძვის ძირში მიათრია და თხილის სიმსხო ტყვიებს კანაფით დაუწყო დამაგრება.

ფიცრულის უკანა კარიდან თხუთმეტიოდე წლის თმაგაბურძგნული, ფეხშიშველა ბიჭი გამოვარდა და ისიც ღელისაკენ გაიქცა.

— ჰაიტ, შე ძილის გუდავ! აგია, წუხელის რომ დამეტრაბახე, დილას ადგომას მოგასწრებო? ბეწვზე მომასწარი თვარა, ფეხით გადმოგათრევდი ლოგინიდან. მასე გინდა შენ კალმახები დაიჭირო?! აბა, ცოცხლად დატრიალდი, მომეხმარე ბადის გამზადებაში, თვარა კალმახები მისით არ ამოცივა ჭერეხზე. ხუთმტკავლიანი კალმახები ყოფილა მომრავლებული კალაშაში, ხუთმტკავლიანი!.. გუშხამ მითხრა გარსევანა მწყემსმა. ჰოდა, მოკვდეს ბიჭი ხოხობა, კალმახს ღვინოც მოყობა, დილ, დილაო, დილაო, დილაო, დილაო, დელიააა დაა... — ისევ აკრიმანჭულდა იგი და მისი რაკრაკი ბახვისწყალს გაღმა საყორნიას კალთებზე გადაიკარგა.

ბიჭმა თვალის დახამხამებაში დაიბანა პირი, ზღარბივით აბურძგნილი თმა ძლივს დაიწყო და მეტყეევესთან გაჩნდა. სათევზაო ბადეს ორივე ხელით ჩააფრინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგარაკ ბახმაროს ნისლი ყაბალახივით წამოეხურა. იგი ბახვისწყლის ხეობაში სქელი იყო, ზევით კი, ბაისურაში თხელდებოდა. მაღლა სარკესავით კრიალა ლურჯი ცა მოჩანდა. მზისამოსავალა გორიდან გადმოტყორცნილმა პირველმა სხივებმა ნისლის ზედა ფენები ჯერ ვარდისფრად, შემდეგ ღვინისფრად შეღება.

ბაზარში, მოედანზე, საჯირითო მინდორზე, ბახვისწყლის ხიდზე ხალხი უკვე ჭიანჭველებივით არეულიყო. გამჭვარტლულ სამჭედლოებთან ახალდაჭედილი სადოღე ცხენები ლაგამის გაწყვეტას ლამობდნენ. ყალყზე დგებოდნენ და გაბმით ხვიხვინებდნენ. ბალიანის გორაზე კარგა ხანია პირუტყვი საბალახოდ გამოფენილიყო.

— მამუკია, წუხელის ნაღდად გლახა სიზმარი ნახეს კალაშას კალმახებმა... ხო... ხო!.. რა იციან საწყლებმა, რა დღეი დაადგებათ დღეს, თვარა შავ ზღვას გაცილდებოდნენ... — როხროხობდა მეტყეევე და ბადეს მარჯვედ ატრიალებდა.

ბიჭიც უსიტყვოდ ეხმარებოდა.

ბადე შეაკეთეს, დახვიეს და კანაფით მაგრად შეკრეს. ტანზე ძველი შარვალ-ხალათი გადაიცვეს. ტყავის გახუნებულ ჩანთაში მჭადი, სულგუნი, არაყი და მარილის ნატეხი ჩააწყვეს... ჩანთა მამუკამ გადაიგდო მხარიღლივ. ხოხობამ ფიცრულიდან ახალ გაფიცხებული მჭადი და ჭყინტი სულგუნი გამოიტანა.

— აბა, მამუკია, ცოტა წავიხემსოთ, თვარა გრძელი გზა გვაქვს გასავლელი და გულზე მოგვისინსილებს,—მოკლედ თქვა მან და ბიჭს მჭადი და ყველი გაუწოდა. საუზმე გემრიელად მიირთვეს, ხოხობამ არაყიც დააყოლა, ფიცრული გამოიკეტა და თავდაღმართში დაეშვნენ.

— დღეს კაი ამინდია კალაშაში. ბუნებაც ხელს გვიწყობს, — თქვა ხოხობამ და კანაფით შეკრული ბადე მარჯვენა მხარზე გადაიგდო. მამუკა ჩქარი ნაბიჯით მისდევდა მას. მეტყეევის ერთ ნაბიჯს ორი ნაბიჯით ძლივს ფარავდა. ტყავის გრძელი ჩანთა მუხლებზე ებლანდებოდა და ხელს უშლიდა სიარულში.

ბაზარი შეუჩერებლად აიარეს.

საზამთროებით, ხილითა და ბოსტნეულით მოვაჭრე ნაცნობები შეძახილებით და ხელის ქნევით მიაცილებდნენ მათ. ხოხობაც ბადეს განგებ თავმომწონედ მიაჩხრიალებდა.

— გამარჯობა, ხოხობა! კალმახს ღვინო მოყობა! — დაიძახა საპარიკმახეროს აივანზე გადმომდგარმა დალაქმა ასალომ და გრძელი ულვაშები აიგრიხა.

— ხოხობა, ქოჩორი გაისწორე და ბეჭებში გაიმართე! — გაიხუმრა ტირიდან ვიღაცამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგი ოქროს კაკალივით ბაღანე რომ გადაგირევია, გზაჯვარედინ სათრევად გაგიხდება! — დაუმატა თეთრხალათიანმა სასადილოს გამგემ.

— საღამოს შენი სტუმრები ვართ!

— კალმახი შენი, ღვინო ჩვენი!

— მამუკია, კალმახმა არ გადაგყლაპოს!

მეტყველ ყველას ხელს უქნევდა და ღიმილით პირდებოდა ხუთმტკავლიან კალმახებს.

ერთი მუხლით გადაიარეს ვაკიჯვრისა და ბუკნარის ქუჩები, ბალახით მუხლამდე დაფარული მოყორილის მთა და ერთ რიგში ჩამწკრივებულ მწყემსების კარვებს მიადგნენ.

კარვებს უკან უსიერი ნაძვნარი იწყებოდა, უფრო ქვევით კი უღრანი წიფლნარი რომანტიულად დუმდა. სულ დაბლა, ხეობის ფსკერზე ჩაკარგული კალაშა მიჩხრიალებდა. მისი ხმა ძლივს აღწევდა მწყემსების კარვებამდე.

კალაშა პატარა მდინარეა. ყინულივით ცივი და ცვარივით კამკამა თოვლის წვენით და მორაკრაკე ღელეებით იკვებება. ვეებერთელა კლდეებსა და ლოდებს დიდ მდინარესავით ზათქით ეხეთქება. მისი ხმა შორს გაისმის. სათავეში იმდენად ცივია, რომ კალმახის გარდა, სხვა თევზი ვერ სძლებს მასში.

ცერივით დაკიდებული ნაძვნარი და წიფლნარი კალაშას პირში თხმელებით დაფარულ ვიწრო ჭალას უერთდება. ამ ჭალაში იშვიათად ჩადის კაცისშვილი — თვეში ერთხელ ვინმეს კალმახის გემო თუ მოენატრება. ანდა დაკარგულ პირუტყვს თუ დაუწყებს ძებნას.

მაისის ბოლოს მოყორილის კალთებზე თოვლი იწყებს გაწყვეტას და მწყემსებიც თანდათანობით ამოდიან კარვებში. ხის ფიცრულებს გამოაღებენ, სკამ-ლოგინებს, სამფეხა სუფრებს შეაკეთებენ, პირუტყვს ამორეკავენ. სექტემბრის დაწყებამდე სიცილ-ხითხითით, დოლის დუმდუმით, ფანდურის ჩხაკუნით და ომახიანი შეძახილებით აღვიძებენ მიძინებულ ბუნებას, ბუნებას, რომელმაც ცხრათვიანი ზამთარი და სამთვიანი გაზაფხული იცის.

კარვებთან ხოხობამ ყვირილი ატეხა:

— ამირანა! შე ზარმაცო, გამეიხედე გარეთ!

— შოთაია კეჭეხა, შენს მტერს ტყვია ენჯეხა, წამოხტი ზედ!

— დურუბია, შე ხესავით აყუდებულო, წამოჩანჩალდი კალაშაში, კალმახი დავიჭიროთ!

— გარსევანა, ვახშამი დაგვახვედრე საღამოს!

მაგრამ კარვებში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. სიჩუმე იდგა. კარები მაგრად გამოეკეტათ და სადღაც გამქრალიყვნენ.

— სად გაქრენ ოჯახქორები ამ ცის იალონზე?! შავ ჭირს ხომ არ გაუწყვეტიათ?! — გაიკვირვა ხოხობამ და შეჩერდა. ცხვირსახოცით მტვერი ოფლი ჩამოიწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბახმაროში თუ წაიღეს ბაზარზე კარაქი და ყველი, — ეჭვი აიღო მამუკამ, ჩანთა მხრიდან ჩამოიღო და ზედ ჩამოჯდა. მის ხმელ, შავგვრემან სახეს ოფლი არ მოკიდებოდა ჩქარი სიარულისაგან, მაგრამ ლოყები წამოწითლებოდა.

— კი მარა, ყველა ერთად? ბაღნებიანა-მოხუცებიანა?! გზაზე ვერ უნდა შეგვცილებოდნენ. მიწამ ხომ არ ჩაყლაპა, აგი ხალხი? მოცდის დროიც აღარა გვაქვს, მამუკია! ჩქარა წავიდეთ კალაშაში, თვარა ველარ ჩავასწრებთ. ისე მისწრება კი იყო ჩვენდა ახლა დურუბიე აყლაყუდა, ანდა გარსევანა მაცქაფუნა. საკალმახე ადგილები ზეპირად იციან. მარა მეც მივაგნებ კალმახს. საღამოს დავაყენებ იგენს ცეპად. კარგ ვახშამს გავაწყობიებ... ოღონდ კალმახი დავიჭიროთ და დანარჩენი მე ვიცი! — გულზე ხელი დაირტყა მეტყევემ და ვიწრო ბილიკზე დაეშვა.

მამუკამაც ისევ წამოიგდო ჩანთა ზურგზე და უკან დაედევნა. ოზონით შეზავებულმა ნაძვისა და ფიჭვის საამურმა სუნმა, მოცვით, შქერითა და იელით მოფარდაგებულმა ხშირმა ტყემ მალე აამღერა მეტყევე.

შენ მოწყვიტე ქორფა ვარდი,
გადმომიგდე საყვარელსაო.

მამუკამაც ააყოლა ხმა. ტყემ ექოთი გააძლიერა მათი სიმღერა და სიჩუმეში სიხალისე შეიტანა. დამფრთხალი ფრინველები ნაძვებსა და წიფლებზე აფართხალდნენ. ციყვები ფუღუროებში შეძვრნენ. ბუჩქებში მელამაც გაიცანცალა.

გაზაფხული იღიმებოდა კალაშას ხეობაში. ახალგაფოთლილი წიფლები და თხმელები წყნარად შრიალებდნენ. გულჩასისხლული მოცვის ყვავილები, შავად დაჭორფლილი მთის მსხვილი ყაყაჩოები, აგურისფერი ინგირი და ოქროსფერი ბაია სუსტ ნიავქარზე თამამად ცქრიალებდნენ.

ღელეების შესართავებში ჩახერგილ ვეებერთელა ლოდებს და ქვებს ხავსი მოჰკიდებოდათ და მწვანედ ხასხასებდნენ. ნეკერჩხლების, ცაცხვების, წიფლების ხშირ ტოტებში მზის სხივები ძლივს მიძვრებოდნენ და ცვარს აორთქლებდნენ.

სველ მიწაზე ფეხი უცურდებოდათ. ერთხელ მამუკა კინაღამ არ შეასკდა ბებერ წიფელას!

ღარტაფებში შემორჩენილ გახუნებულ თოვლს სიძველისაგან მატლებიც კი დასეოდა.

ხოხობამ გადაწყვიტა მდინარეს აღმა აჰყოლოდა. იქ ეგულებოდა საკალმახე ადგილები.

მამუკა ქვიდან ქვაზე მარჯვედ ხტებოდა და მოუთმენლად უფანცქალებდა გული პირველი კალმახის მოლოდინში.

ხოხობამ ღრმა ღარისთვალი შეარჩია და ბადე მოიქნია. ძლივს ამოათრიეს იგი. ბადეში გახლართული დიდი კალმახი გველივით იკლაკნებოდა და კანაფის გაგლეჯას ცდილობდა. მზეზე თვალს სჭრიდა მისი დაჭორფლილი სხეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს იწვალა კალმახმა, იხტუნა, იხტუნა და რიყეზე დალია სული. ხოხობამ მაშინვე ჩანთაში უკრა თავი.

— ამას ჰქვია, მამუკია, ხუთმტკავლიანი კალმახიო, რომ იტყვიან. ხომ ხედავ, ჩანთაში არ ეტევა. აქანა კალაშაა. ასე იცის. აბა, რა გგონია შენ? რაფერი ღონიერია მერე, ბადე კინაღამ არ გაგლიჯა?! ახლა ექვსმტკავლიანებსაც დავიჭერთ. საშუალაში იცის. იქით წავიდეთ. გავკეთდით შავი დედალივით, ხო... ხო... ხო... რა კალმახია, ბიჭო!.. — დიდხანს როხროხობდა გახარებული ხოხობა.

ისევ აღმა განაგრძეს გზა, საშუალასკენ.

მამუკა მალე მოიღალა, ველარ შეძლო რიყეზე ჩქარი სიარული და ჩამორჩა. ბრტყელ, ხავსმოდებულ ლოდთან სული დაითქვა. ლოდს გაღმიდან რაღაც კატის კნავილის მსგავსი ხმა შემოესმა. ხმა მისუსტებული იყო და ძლივს მოისმოდა. თითქოს ვიღაცა იხრჩობოდა და უკანასკნელად ხროტინობდა.

„ალბათ, კვერნაა, ან გარეული კატა, ან ჩხიკვი. ჩხიკვებმა იციან ასე კნავილი“, — გაიფიქრა ბიჭმა და ჭალაში ქვა გაისროლა.

ხმა მაინც მოისმოდა, ამჯერად უფრო ჩქარ-ჩქარა.

— არა, არც კატას ჰგავს, არც კვერნას და არც ჩხიკვს. აბა რა უნდა იყოს? — დაიზაფრა ბიჭი და ლოდზე ფრთხილად გადაცოცდა.

ლოდს იქით, ბურთივით მრგვალ ქვაზე სველი თითების ანაბეჭდი შეამჩნია, იქვე ბავშვის გაცვეთილი ფეხსაცმლებიც ეყარა.

— ბაღანას კვალი! ბაღანას ფეხსაცმელი! — წამოიძახა მან და აქეთ-იქით გაფართოებული თვალებით მიმოიხედა, ბავშვი არსად ჩანდა.

— მამუკია! რა წელკავი გაგიდგა, გამოადგი ფეხი!.. ხო... ხო... ხო... რა კალმახები დაშხვართუნობენ ამ ღარისთვალში!—მოისმა შორს წასულ ხოხობას ხმა.

— ხოხობაა! ხოხობაა! — ისეთი ხმით დაიყვირა ბიჭმა, თითქოს ნადირს შეეფეთა და დახმარებას ითხოვსო.

— რა იყო, ბიჭო?! რა გაყვირებს ასე თავგატეხილივით? მგელი ხომ არ შეგეფეთა! — იყვირა ხოხობამ, ბადე რიყეზე დააგდო და მამუკასკენ გამოიქცა.

— ხოხობაა... ხოხობა, ხედავ? ა, ხედავ? აბა დახედე აგერ, ამ ქვაზე... ბაღანას კვალი... ბაღანას ფეხსაცმელიც. — და ძირგამოგლეჯილი ფეხსაცმელი ხელის კანკალით მაღლა ასწია.

— ბაღანას ფეხსაცმელიო? ბაღანას კვალიო? რამ გადაგრია, ბიჭო, შენ?! რა უნდა აქანა ბაღანას?! ამას რას ხედავს ჩემი თვალები? მართლა

9923.

ბაღანას ფეხსაცმელია! ბაღანას კვალია! ახალი კვალია! ალბათ, აქანაა სადმე. ამ ქვაზე გაუთევია ღამე. — ხმას დაუწია ხოხობამ.

— ამ ქვებს იქით რაღაც ხმადაბალი კნავილიც შემომესმა, ეგზომ-იქ არის, — დაუმატა ბიჭმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, მოვნახოთ! — მოკლედ მოჭრა მეტყეველმა, წელში მოიხარა და ქვებზე ოდნავ დაჩნეულ კვალს გაჰყვა. ორმოციოდე მეტრი რომ გაიარეს, პატარა ბრტყელ ქვაზე მიძინებულ ბავშვს წააწყდნენ.

შვიდი-რვა წლის გოგონა კატის კნუტივით მოკუნტულიყო. თვალები მიეხუჭა და მკვდარივით პირაღმა გაშეშებულიყო. შავი, ხუჭუჭი თმა ჩანაღველებულ, დაწვრილებულ თვალებზე ჩამოწეწოდა. დასიებულ ქუთუთოებს ველარ არხევდა. პაწია გაყვითლებული ხელები მკერდზე დაეწყო. იქვე ეგდო ნაფლეთებად ქცეული სარაფანა კაბაც.

ბავშვმა ოდნავ გააღო დახეთქილი ბაგეები და ძლივს წამოიჩურჩულა:

— დედა... დედიკო... მშიაა...

შემდეგ ხმა ჩაუწყდა.

ხოხობამ ბავშვი აიტაცა, მკერდზე მიიკრა და ტიალ ადგილას გაიყვანა. საგზალი გახსნა, სულგუნის ნაჭერი ამოიღო და ბაგეზე დააწურა. ბავშვმა სისველე იგრძნო, ტუჩები გახსნა და რამდენიმე წვეთი სულგუნის რძე გადაყლაპა. დახეთქილი ბაგეებიდან სისხლმა გამოჟონა.

— დედიკოოო!.. მამიკოოო! დათვი!.. მგელი!.. — უფრო გარკვევით ამოიხრიალა მან.

— ნუ გეშინია, ციცუნია! დათვს და მგელს რა უნდა შენთან! ჩვენ ვართ აგერ. გამეიხედე ჩემკენ. მე ვარ, ხოხობა ბიძიე. მამუკიეც აგერაა. აბა, გაახილე თვალი... ხედავ, რამხელა კალმახი დავიჭირეთ?! ვისი ხარ, ბიძიკელა, ასე ოქროს კაკალივით ბაღანა? — თავზე ხელი ფრთხილად გადაუსვა მეტყეველმა ბავშვს და თვალის გახელა დაუპირა.

— დედიკო... მამიკო... დათვი... მგელი... შემეშამეს... — გაიბრძოლა ბავშვმა და ხოხობას მკერდს მჭიდროდ მიეკრა. თვალის გახელა მოინდომა, მაგრამ ველარ შეძლო.

მამუკა ერთ ადგილზე გაშეშებულიყო. ხმას ველარ იღებდა. ბოლოს, აზრი მოიკრიბა, ხალათი გაიძრო და შიშველ ბავშვს შემოახვია. ბავშვმა სითბო იგრძნო და მაშინვე ხმა გაკმინდა, მიიძინა.

ხოხობას ძარღვიან მკერდზე დაფენილ ბავშვის ხშირ ხუჭუჭ თმას საშუალადან მონაბერი სუსტი ქარი ფრთხილად არხევდა.

დასავლეთიდან ნისლი ბურთივით შემოგორდა კალაშას ხეობაში. იგი ჯერ მაღლა-მაღლა წიფლების კენწეროებზე ხეტიალობდა, შემდეგ მდინარეს გველივით შემოერტყა და ჩააბნელა.

დრო შეუმჩნევლად გარბოდა. მზე, ალბათ, საყორნიას გადაღმა მიგორავდა...

ხოხობამ ბადე მხარზე შეიგდო. ბავშვი მკერდზე მაგრად მიიკრა და

აღმართს სირბილით შეუდგა. მამუკა ტყავის გრძელი ჩანთის ხაკუნით უკან მისდევდა.

— ვისია აგი ოქროს კაკალივით ბაღანა? მისი დედ-მამა, ალბათ, ბინ-ნით ხეს და მიწას ასწორებს. აზრიც რომ დაკარგული აქვს? ნეტავი გადარ-ჩებოდეს და... — ფიქრობდა ხოხობა და კარვებისაკენ მიიჩქაროდა. იქ გაიხსნებოდა ბავშვის საიდუმლოება.

კალაშას ხეობისათვის ჩვეული მოკლე დღე თაფლის სანთელივით მალე ჩამოიფერფლა. ტყეში თანდათანობით ჩამობნელდა. ხეობის სიღრმიდან ბნელი ღამე მწვერვალებისაკენ დაიძრა და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ხოხობას და მამუკას ამ სიბნელისათვის გამოეტაცნათ ბავშვი.

კარვებს რომ მიუახლოვდნენ, მოყორილზე უკვე ლუსკუმა ღამე იწვა.

მწყემსებს მინდორზე დიდი ცეცხლი გაეჩაღებინათ, ირგვლივ შემოსხდომოდნენ და დასველებულ ტანსაცმელს იშრობდნენ.

— ამირანაა! ილიკო! გარსევანა მაცქაფუნა! შოთაია კეჭეხა! დურუბია აყლაყუდა! გამეიხედეთ აქით! შემომეგებეთ! — ატეხა ყვირილი ხოხობამ და ნაბიჯს აუჩქარა.

მწყემსები არც კი წამომდგარან. სახემოღრუბლულნი, ცეცხლისპირას მუმიებივით გაშეშებულიყვნენ.

— ხოხობაი ხარ? რა გაყვირებს ამხელას! შენ თვითონ გამოყევი აქით! — ბოლოს ცივად გამოეძახა მეტყევეს მოხუცი მწყემსი კოდრატია.

დურუბიას ძაღლმა ადგილზევე შეიყეფა, ჰაერი შეიყნოსა, წკმუტუნით ხოხობასკენ გაიქცა და ხელებში შეახტა.

მეტყევემ წიხლი კრა ძაღლს. ძაღლი ორ ფეხზე შედგა და ყმუილი ასტეხა. ისევ მეტყევისაკენ გაიბრძოლა. ყმუილზე ბავშვები გამოიქცნენ. ხოხობას მკერდზე მიკრული ბავშვი რომ დაინახეს, სიხარულისაგან აზღრიალდნენ:

— ხოხობა ბიძიას ქეთინო მოჰყავს!

— ქეთინო ცოცხალია!

— ქეთინო არ შეუჭამია დათვს!..

და მეტყევეს კალთებზე ჩამოეკიდნენ.

კარვიდან კარავში ტალღასავით გადავიდა სასიხარულო ამბავი. ლამპრის ირგვლივ შემომჯდარი მწყემსები ჯერ შეჩოჩქოლდნენ, შებურთდნენ და შემდეგ გაიშალნენ. მეტყევისაკენ გაიქცნენ. გარბოდნენ კაცები, ქალები, მოხუცები, ახალფეხადგმული ბავშვებიც კი.

ყველაზე უწინ აყლაყუდა დურუბია მიიჭრა მასთან და ბავშვი ხელიდან გამოგლიჯა.

— ქეთუნია, ჩემი ქეთუნია ცოცხალი ყოფილა! შენ გენაცვალე, ხოხობა! სამი დღე-ღამეა ვეძებთ ამ ბაღანას, არ იქნა მისი ნახვა! ძროხას გასდია, იმ სამგლეს კალაშასკენ და დაგვეკარგა. მთელი კალაშას პირი გავასწორეთ.

იმედი გადაწურული გვქონდა. ქეთუნია, ქეთინო... ჩემო გოგო... ჩემო სიცოცხლევ!.. ჩემი სიხარული ცოცხალი ყოფილა! ქეთუნა... რაფერ ... სტებულა საწყალი ბაღანა!.. — მამაკაცური ბოხი ხმით ვიშვიშებდა — გულდაგ... მიძინებულ ბავშვს კოცნიდა.

ბავშვს ისევ მკვდარივით ეძინა.

მალე ქეთინოს დედა ნატალიაც თმაგაწეწილი მოიჭრა. სიხარულის ცრემლები ჩამოსდიოდა სახეზე. ქმარს შვილი ხელიდან გამოსტაცა. მკერდში ჩაიკრა და კარვისაკენ გააქროლა, თითქოს შეეშინდა, კიდევ არ დამეკარგოს ჩემი ქეთუნიაო...

— სიწყნარე უნდა ახლა ამ ბაღანას და თავისით გამოშუშდება. სიწყნარე და ძილია მაგის პირველი წამალი. თავისით მოვა ჭკუაზე. დედამისის გარდა, არავინ მიეკაროს ახლოს. ძილი არ გაუტეხოთ! — გაიძახოდა კარვის კართან მოხუცი კოდრატია და შიგ არავის უშვებდა.

კარავში ლამპის მკრთალ შუქზე ბალიშებში ჩაგორებულ ბავშვს დიდხანს ეძინა გაუნძრევლად, გვერდი არ მოუცვლია ისე. ნაშუაღამევს თვალი ოდნავ გაახილა და იქვე თავსასთუმალთან მჯდომ დედას შეხედა.

— დედიკო! — ძლივს ამოიხრიალა მან და დასუსტებული ხელები მშობლისკენ გაიშვირა. თვალებზე ცრემლი ჩამოეკიდა.

— დედიკო! — უფრო ხმამაღლა გაიმეორა მან.

დედამ შვილი მკერდში ჩაიკრა და ჩაკოცნა.

— აზრი დაუბრუნდა! გადარჩა ბაღანა! აწი აღარაფერი უჭირს! სიწყნარე მაინც დიდხანს დასჭირდება. ძალიან დასუსტებულია. კიდევ იძინოს, იძინოს რამდენიც უნდა, სანამ წამოდგომას ვერ შეძლებს. საჭმელი ცოტ-ცოტა აჭამეთ, მაგარი ნაშიმშილებია და ერთად და ბევრი ჭამა აწყენს, — გამოცდილი ექიმივით დაარიგა ქალები კოდრატიამ და კარავს მოშორდა.

კოდრატიას იმედიანმა სიტყვებმა მწყემსები ხასიათზე მოიყვანა. აქეთ-იქით გაფანტული ბავშვები ლამპართან შეგროვდნენ. ზეიმი გაიმართა, ზეიმი გადარჩენილი ლორთქო სიცოცხლისა, სამ დღე-ღამეს ტყეში მშიერ-მწყურვალედ მოხეტიალე სიცოცხლისა.

სანახევროდ მიმქრალი ლამპარი ვამოაცოცხლეს. კვარი დააყარეს და ცეცხლის დაგრეხილი ალი ნაძვის კენწეროებს ასცილდა. ლამპრის შუქზე, დურუბიას კარვის წინ, ლხინი გაიმართა.

ლხინი ცეკვა-თამაშით დაიწყო.

ქეთინოს ძებნისას ეკალ-ბარდებით დაბღოტილი ბავშვები ჩიტებივით გამოფრინდნენ. ფანდურისა და დოლის ხმამ მოყორილის კალთები გამოაცოცხლა და დაბლა, საგვერდულეებამდე ჩააღწია.

ნისლმა გადაიღო, მზისამოსავალა გორაზე გადმოგორებული შევახშმებული მთვარე მორცხვად იზიარებდა მწყემსების სიხარულს და შავი ზღვისაკენ მიფონავდა.

კვარი ტკაცანებდა და ირგვლივ ძინთის მძაფრ სუნს აყენებდა.

ცრემლებივით გადმონადენი ძინთი ხმამაღლა შიშინებდა და ცეცხლს სიმ-
ხურვალეს მატებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მამუკიეა იმ ბაღანას გადამრჩენელი. მაგან გაიგონა მ[illegible]ეგ-
გი რომ არ მხლებოდა, ქეთინოს ვერ ვნახავდით! — სახალხოდ განაცხადა
ხოხობამ და მამუკაც ქეთინოს გადამრჩენლად ადღეგრძელეს.

— ბარში რომ ჩავალთ, ჩემს გაუხედნელ კვიცს ჩემი ხელით დაგიბამ
ჭიშკართან, მამუკია. შენთვის მიჩუქებია! შენ გადამირჩინე ჩემი ქეთუნიე
და ალალი იყოს! ორ წელიწადში ნამდვილი სადოღე ცხენი დადგება. სა-
ყენზე ხტება ახლა. — თქვა დურუბიამ და ბიჭი მაგრად გადაკოცნა.

მამუკას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დურუბიას გაუხედნელი
კვიცი მისი დიდი ხნის ოცნება იყო. რამდენიმეჯერ მამამისიც კი მიუგზავნა,
მოგვყიდეო, მაგრამ ვერ დაითანხმა...

მთვარის შუქზე ნაძვებისა და წიფლების ჩრდილები თანდათანობით
დაგრძელდნენ. სათიკნიაზე საბანივით დაკეცილიყო სქელი, მოყვითალო
ღრუბელი. მოყორილზე თავის ნებად მიშვებული პირუტყვი ღამითაც ბა-
ლახობდა. დრო-გამოშვებით გაისმოდა გახვითქული ულაყების ხვიხვინი
და ძროხების შებღავლება.

შორს, დაბლა, კოლხეთის დაბლობზე ელნათურები ციცინათელები-
ვით გაბნეულიყვნენ. უფრო ახლოს კი, კალაშას ხეობაში, სქელი ნისლი
და ბნელი ღამე ისევ უძრავად ჩაჯორგილიყო.

ლხინსა და ალავერდობაში ზაფხულის მოკლე ღამე ხელში შეუმჩნევ-
ლად შემოადნათ.

— აბა, წამოხტი, მამუკია, გვეყოფა პატივისცემა. წასვლის დროა. კაი
ფეხის ვყოფილვართ. კალმახიზა წამეევედით და დაკარგული ბაღანა გადა-
ვარჩინეთ. ჩვენს ტყეს მივხედოთ. ბახმაროში წავიდეთ. — ხმას აუწია ხო-
ხობამ, უკანასკნელი ყანწი ცერზე დაირეკა და წამოდგა.

მზისამოსავალა გორაზე უკვე ახალი დილა იღიმებოდა. შეზარხოშე-
ბული მწყემსები სიმღერითა და ხვევნა-კოცნით მიაცილებდნენ ხოხობას
და მამუკას. ყველაზე მეტად დურუბია ეხვეოდა ყელზე შვილის გადამრ-
ჩენლებს.

შენ მოწყვიტე ქორფა ვარდი,
გადმომიგდე საყვარელსაო და...

დიდხანს გაისმოდა ხოხობას ტკბილი სიმღერა პატარა ბახმაროს გა-
ღალმა, მოყორილის კალთებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯემალ ქათამაძე

# ეს თეთრონი ვისია?

ეს თეთრონი ვისია?!
ჩემ და ჩემი ძმისია!
ეს გოგონა ვისია?!
ვინც აკოცებს, მისია!
ვაკოცე და...
გოგომ უთხრა მამასა,
მამა ავარდ-დავარდა,
ხალხი მოჰყვა დავასა,
დავას კიდევ დავა და —
დედაჩემიც ავარდა,
არ ღირდაო, ამადა.
მაგრამ...
გოგო გახდა ავადა,
შევუყვარდი თავადა.
მამამისის ეზოში
მაჭახელა გავარდა,
ჩემს ეზოში „მაყრული“
შემოსძახა თამადამ.
დრო თაფლობის თაფლივით
მიჰყვა დღეებს ვნებიანს,
დედამ სოფელს ახარა —
ბიჭი დამბადებია.
დედას ახლა დედები
მოწიწებით ხვდებიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუშინდელი დედილო
უცებ გახდა ბებია.
ეს ბიჭუნა ვისია?
ვინც აკოცებს, მისია.
ეს სიმღერა ვისია?!
ვინც იმღერებს, მისია...
ეს ქვეყანა ვისია?
ჩემი გული ვისია?
დედის გული ვისია?
განა ვინმე სხვისია?! —
ყველაფერი მისია!

* * *

იავ!.. ო, იავ, სულის ტარიგო,
ეს ცრემლია თუ ნამის ბროლია?
რა ვქნა, ყაყაჩომ მახე დამიგო,
დამიმონა და დამიყოლია.
ვიყავი ფიქრი მარტის წვიმაში
და შენი სევდა მდევდა
მთა-ბარად.
მე რასმე მთხოვდა შენი სინაზე,
მაგრამ ყაყაჩომ არ გამაკარა.
ჩემმა თვალებმა ზეცა მოლიეს
და მიილია დრონი მწიფობის.
რომ დაჭკნებოდით ერთ დროს
ორივე,
რად არ ვიცოდი,
რად არ ვიცოდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნოდარ ჯოდებაძე

# ავადმყოფი

ავადმყოფი მძიმედ სუნთქავდა. გამხდარ, მოგრძო სახეზე ყვითელი ფერი ედო. ტუჩები ჩათეთქოდა. დამღრალი ხელები მკერდთან, საბნის კიდეზე ეწყო.

ავადმყოფის სასთუმალთან შუა ტანის მამაკაცი იჯდა. დაკოჟრებული, ვეებერთელა ხელის მტევანი მუხლისთავზე ედო. შარვლის ტოტები წინდებში ჰქონდა ჩატანებული. ფეხზე ძველი წაღები ეცვა — ტალახში ამოსვრილი. ტილოს პერანგის გულისპირი შეხსნოდა. გაუპარსავ, ნერვიულობისაგან დაძაბულ სახეზე ფერი ხშირად ეცვლებოდა. სკამზე ძლივს ჩერდებოდა, ავადმყოფს ხანგამოშვებით მაჯას უსინჯავდა და შეწუხებული თავს აქნევდა.

გარეთ ბნელოდა. ადრე გაზაფხულის საღამო იდგა. წინა ოთახის ფანჯარა ღია დაეტოვებინათ და ქარი ფანჯარასთან ალუბლის ტოტს არხევდა. ოთახის სინათლეზე ყვავილებს ავადმყოფსავით გაყვითლებული ფერი ედო. გარედან ზღვის გაავებული შორეული შხუილი შემოდიოდა. გაწვიმებას აპირებდა.

ავადმყოფმა ქუთუთოები ნელა ასწია, თვალი გააღო.

— შენ კიდევ აქ ხარ, ლევან?

— ჰო, დედა.

ოთახში ათიოდე წლის გოგონა შემოვიდა, ფეხაკრეფით გაიარა და კუთხეში სკამზე ჩამოჯდა. ხელები კალთაში ჩაიწყო და გაიყუჩა.

ავადმყოფმა გამშრალი ტუჩები ენით დაისველა.

— აკი გითხარი, წადი-მეთქი!

— ერთხელ ვიყავი, — გაღიმება სცადა ლევანმა, რომ ავადმყოფი დაემშვიდებინა.

— ღამეა, შვილო, ნათესი საქონელმა არ გააფუჭოს.

— კი, დედა, მივხედავ.

ლევანი ადგა. ცდილობდა თავი ჩვეულებრივ დაეჭირა, მაგრამ ფეხებში გულზე აწვა, სუნთქვა ეხუთებოდა. ამ ორიოდე დღის წინათ მეველედ დანიშნეს. ყანები და ბოსტანი ჩააბარეს მოსავლელად... ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და გოგონას გადახედა, მერე წყნარად კითხა:

— ნახე ექიმი?

— კი, ახლავე მოვა.

— ბავშვს რატომ არ სძინავს?! — თქვა ავადმყოფმა. — ხვალ სკოლაშია წასასვლელი.

— კარგი, დედა, დამშვიდდი. ნუ ჯავრობ, ბავშვი ახლავე დაწვება. — შვილს მიუბრუნდა და უთხრა: — ძილის დროა, დაწექი. ხვალ ადრე უნდა ადგე.

— მამა, შენ წადი, ბებოს მე მივხედავ.

მამამ ახლა ჟესტით აგრძნობინა, დაწექიო.

— თქვენ თქვენს თავს მიხედეთ, მე არაფერი მიჭირს, — თქვა ავადმყოფმა.

გოგონა ადგა, ფეხაკრეფით გაიარა და ოთახის კარები ნელა გაიხურა.

ოთახში მძიმე სევდა იდგა. ლევანი აივანზე გავიდა. ალაგესთან ძაღლი მოკალათებულიყო და თავაწეული შარას გაჰყურებდა. შარაზე კაცი არ ჭაჭანებდა. სოფელს ეძინა. ქოჩორა მთები სიბნელეში ისე მოჩანდნენ, თითქოს სცივათ და ერთმანეთს ჩახუტებიანო. უახლოეს ფერდობზე, ერთგან, თითქოს ციცინათელები შექუჩებულანო, ისე ციმციმებდნენ ელნათურები. იქ კოლმეურნეობის კონტორა იყო. იქვე მედპუნქტია, აფთიაქიც. ექიმი გამოღმა ცხოვრობს. ლევანმა მიდამოს გადახედა, მაგრამ სიბნელეში ვერაფერი გაარჩია — მთვარესაც დაავიანდა ამოსვლა. თხელ, გაცრეცილ ღრუბლებს ქარი მიერეკებოდა. ზღვა არ ისვენებდა, ავადმყოფივით შფოთავდა. ლევანმა სიჩუმეს ყური მიუგდო, ხმაური რამ ხომ არ აღმოეჩინა.

ოთახში შებრუნდა, ავადმყოფს წყალი მიაწოდა,

უცბად ძაღლმა დაიყეფა. ლევანი კვლავ აივანზე გავიდა. სიბნელეში ექიმი შეიცნო და კიბეზე მიეგება. ექიმი ახალგაზრდა ქალი იყო. მესამე წელია ამ სოფელში მუშაობს... ოთახში შემოსვლისთანავე თავზე შემოხვეული ხილაბანდი მოიხადა და ავადმყოფს გადახედა.

— ტკივილები აქვს? — კითხა ლევანს.

— არა.

— როდის გახდა ცუდად?

— ნაშუადღევს თავის ტკივილი დაეწყო, მერე გააცივა და სიცხე მისცა. სტრეპტოციდი დავალევინე.

ექიმმა ხალათი გადაიცვა. სასინჯი ყურმილი აიღო და ავადმყოფს მიუახლოვდა. ლევანმა საწოლის წინ სკამი დაუდგა. სნეულმა თვალები გაახელა და ექიმს შეხედა. სიტყვა არ უთქვამს. ექიმმა მაჯა გაუსინჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი მეუღლე სად არის? — კითხა მან ლევანს.

— თბილისში.

ექიმმა ცნობისმოყვარეობით შეხედა.

— თბილისში, — გაიმეორა ლევანმა, — ჩაის მკრეფავთა რესპუბლიკურ თათბირზე.

ოთახში კვლავ დუმილი ჩამოვარდა. ექიმმა ავადმყოფი ლოგინზე წამოაყენა. როცა გასინჯვას მორჩა, ავადმყოფს დაწოლაში დაეხმარა და ყელთან თავისი ხელით საბანი შემოუკეცა.

— საშიში არაფერია. — თქვა მერე. — გაციებულია, ამალამ ოფლის წამალი მივცეთ, დილით უკვე კარგად იქნება.

ექიმმა მიიხედა, მაგრამ ლევანი ოთახში აღარ იყო. გვერდით კარებში გოგონა შემკრთალი თვალებით უყურებდა. ექიმს სახეზე მკრთალ ღიმილთან ერთად თანაგრძნობა გამოეხატა.

— მამა წავიდა, — თქვა გოგომ.

— სად?

— ფართობის შემოსავლელად წავიდოდა. — მძიმედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქვა ავადმყოფმა. — ბავშვს რატომ არ სძინავს?! — ოხ, ღმერთო ჩემო! ექიმო, მე არაფერი მიჭირს.

— ნუ ღელავთ, დაიძინეთ.

ექიმმა ბავშვი შეათვალიერა, ჩემოდნიდან საოფლე წამალი ამოიღო და ავადმყოფს დაალევინა. მერე ბავშვი ოთახში გაიყვანა, სასთუმალთან დაუჯდა და, ვიდრე არ ჩაეძინა, ხმადაბლა ლექსებს უკითხავდა. მას ჰქონდა ნაზი, სანდომიანი სახე, თეთრი ვით თოვლი, და ლოყებზე მკრთალი სიწითლე გადაკრავდა, ბავშვს რომ ჩაეძინა, ექიმი ავადმყოფთან დაბრუნდა. ოთახის სიჩუმეს კედლის საათის ტიკტიკი არღვევდა. ზღვის შხუილიც მიწყნარებულიყო. ოთახი სუფთად იყო დალაგებული. მაგიდის ნათურა მკრთალად ანათებდა და ყველაფერს ვარდისფერი გადაკრავდა. ექიმი ფანჯარასთან მივიდა. იგი ხედავდა, როგორ ირხეოდა ალუბლის აყვავებული ტოტი. მას ძლიერ მოუნდა ყვავილოვანი რტოს მოწყვეტა. მის სურვილში იყო ალერსი და სიყვარული, მაგრამ იგი შებრუნდა და შეხედა ავადმყოფს, რომელსაც სახეზე კვლავ ყვითელი ფერი ედო და მძიმედ სუნთქავდა.

აივანზე ფეხის ხმა გაისმა. იმავე წამს კარებში ლევანი გამოჩნდა, სახე გაწითლებოდა. ეტყობოდა, ერბინა.

— მაპატიეთ, ცოტა დამაგვიანდა, — სული მოითქვა და განაგრძო: — ვიფიქრე ვიდრე ავადმყოფს გასინჯავს, ფართობის შემოვლას მოვასწრებ-მეთქი.

ექიმმა კეთილი ღიმილი შეანათა თვალებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ იჩქარეთ, მე აქ არ ვიყავი?

— არა, როგორ გეკადრებათ!

— ლევან, თუ საქმე გაქვთ, ნუ მოგერიდებათ, ავადმყოფს ბოლოდროინდელ-
დავ.

ერთ წუთს დუმილი ჩამოვარდა. ლევანმა ექიმი შეათვალიერა და უნ-
დოდა ეთქვა, ნუ სწუხდებითო, მაგრამ ამ დროს ორივე ფეხის ხმამ შეაკრ-
თო. კიბეზე ვიღაც ამოვიდა. ლევანი მაშინვე აივანზე გავიდა. ორიოდე
წუთის შემდეგ დაბრუნდა და ექიმს უთხრა:

— დიმიტრის ქალიშვილია, უმცროსი და ცუდად გამხდარა. უნდა გა-
ჰყვეთ.

ექიმმა სწრაფად წამლები გამოწერა. ლევანს უთხრა, დილით გამოი-
ტანეო. ხალათი გაიხადა, სასინჯ ყურმილთან ერთად ჩემოდანში ჩადო და
კარი გაიხურა. ლევანი აივანზეც არ გაიყოლია. ოთახში მკაფიოდ ისმოდა,
როგორ ჩადიოდა ექიმი კიბეზე. მერე კარი გაიღო და დიმიტრის ქალიშვი-
ლი შემოვიდა.

— ექიმს არ გაჰყევ? — გაკვირვებით კითხა ლევანმა.

— არა. მე აქ დავრჩები. თქვენ წადით, საქმეს ნუ მოსცდებით.

ლევანს სახეზე კმაყოფილება გამოეხატა.

— თქვენი და?

— დედა შინ არის.

ლევანის თვალებში მადლობა გამოკრთოდა. სკამზე გადადებულ ქურ-
თუკს ხელი დაავლო და გარეთ გავიდა. ქალიშვილმა ჯერ ავადმყოფს გადა-
ხედა, მერე მაგიდაზე დაწყობილ რეცეპტებს. სკამზე ჩამოჯდა და ნიდაყვი
მაგიდას ჩამოაყრდნო. ღია ფანჯარაში მოჩანდა ალუბლის ტოტი, რომელ-
საც ქარი არხევდა და ყვავილებს სინათლეზე ყვითელი ფერი დაკრავდა.
ქალიშვილი ადგა, მიუახლოვდა კარადას და წიგნი გადმოიღო. მაგიდასთან
დაჯდა და კითხვა დაიწყო. მერე შენიშნა, რომ ავადმყოფს შუბლზე ოფ-
ლი დაასხა. ქალიშვილმა საწოლის თავზე გადადებული პირსახოცი აიღო
და სნეულს შუბლი მოსწმინდა. მერე ერთხანს დაჰყურებდა მას. აკრ-
ობდა ავადმყოფის მძიმე სუნთქვა და უფერო სახე. კვლავ მაგიდასთან
დაჯდა და წიგნის კითხვა განაგრძო. იგი კითხულობდა მოთხრობას დიდ
სიყვარულზე. მაგრამ მალე ძილმა დასძლია, თავი დაუმძიმდა, თვალები
აუწყლიანდა და სტრიქონებს წაუკითხავს ტოვებდა. ქალიშვილი ადგა.
პირზე წყალი შეისხა, რომ მოცოცხლებულიყო. მერე წიგნი გვერდზე გა-
დადო და ავადმყოფს მიაჩერდა. მან იცოდა, რომ ძილი უნდა დაეძლია.

ალუბლის ტოტი კვლავ ნელა ირხეოდა. ღია ფანჯარაში შემოდიოდა
გრილი ნიავი, მთელ ოჯახს სურნელს აფრქვევდა. მერე იმ ტოტის მიღმა
ღამე გაიბზარა და ცის დასალიერზე გამოჩნდა სინათლის მკრთალი ზოლი.

ავადმყოფმა უცებ გაიღვიძა. სახეზე ყვითელი ფერი აღარ ედო, სხეულში სიმსუბუქეს გრძნობდა. ქალიშვილმა სხეულის გაკვირვებულ მზერას ცისფრის ფერებით შემკობილი ღიმილი შეაფრქვია და უძილობისგან წამოსიებული თვალები გაუბრწყინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ ალუბლის ტოტს ნიავი კვლავ არხევდა. ცოტა ხნის შემდეგ ცის დასალიერზე მზემ გამოიხედა და ყვავილები ოქროსფრად აბრწყინდა.

## „ნ უ ს ხ ა“

თვალი გავახილე. ფანჯარაში მზე სხივებს აფრქვევდა. ნებიერად გავიზმორე და, ხელები უკან რომ გადავწიე, ბალიშის ქვეშ ქაღალდი მომყვა. მყისვე გამოვიღე. ქაღალდი ოთხად ნაკეცი იყო. გავშალე. ზედ რაღაც არაბული ასოებით ეწერა. „ნუსხა“, უნებლიეთ წამოვიყვირე და საწოლიდან წამოვვარდი.

— თინა! — მთელი ხმით დავიძახე.

ხმა არავინ გამცა.

— თინა! — დავიძახე ისევ.

ცოტა ხნის შემდეგ კარებში ჩემი ცოლი გამოჩნდა.

ხელში რომ „ნუსხა“ დამინახა, საქციელი წაუხდა, ფერი დაეკარგა და აკანკალდა.

ქაღალდი მაღლა ავწიე და ცოლს თვალისწინ ავუფრიალე:

— რა არის ეს?

მან აწყლიანებული თვალი ქაღალდს შეავლო და ჩემს ფეხებთან დაეცა.

მე არ გავნძრეულვარ, მაგრამ გული კინაღამ შემიღონდა. იგი მთელ ჩემს სიცოცხლეს მერჩივნა. მეგონა, ხელს მიწყობდა, ჩემთვის ზრუნავდა, თურმე... სხვა ვერაფერი მოვიგონე და გავიმეორე:

— რა არის ეს?

— ლევან, დამნაშავე ვარ, ლევან! — ქვითინით აღმოხდა მას.

— არ იტყვი, რა არის ეს?! — მრისხანედ გავიმეორე.

თინამ თავი ასწია და ნაღვლიანი, სველი თვალებით ამომხედა. სახეზე სიმტკიცე აღბეჭდოდა. ადგა, დივანზე ჩამოჯდა, ხელები კალთაში ჩაიწყო და თქვა:

— ნუ გეშინია, არაფერი არ მოგივა: უკვე გამოვცადე, მას არავითარი ძალა არა აქვს.

— ეს როგორ?

— რაც შენ დისერტაციაზე მუშაობ, ცივი და უყურადღებო გახდი, — განაგრძო თინამ, — დილით ცისმარე გასული, ღამით გვიან ბრუნდები შინ.

მე მთელი დღე მარტო ვარ, გვერდით არავინ მყავს, გულის ტკივილი რომ გავანდო. რა ვქნა, შენ ასეთი გულჩათხრობილი არასოდეს ყოფილხარ, ისადილებ თუ არა, ჩაუჯდები წიგნებს და თავს ერთხელაც ზემოთ ვერ ასწევ. შენ ვერ გრძნობ, მე კი შენზე ფიქრში ძილი გამიტყდა. წავიფარებ თავზე საბანს და ჩუმად ვტირი. ოჯახში არაფრის გაკეთების თავი არა მაქვს. სულ იმის ლოდინში ვარ, აი ახლა, აი ახლა მოვა გონს ლევანი და დაგვიბრუნდება ძველი სითბო-მეთქი. ამ ხნის მანძილზე ერთხელაც კინოთეატრში არ ვყოფილვართ, ქუჩაში ერთად არ გაგვივლია. მრცხვენია ნაცნობების. მეგობრებს შეპარვით არაერთხელ უთქვამთ, ქმართან უკმაყოფილება ხომ არ გაქვსო. არ ვიცი, რა ვუთხრა მათ და ვდუმვარ. პირველ ხანებში ვფიქრობდი, თავისი საქმე აქვს და ჩემთვის არ სცალია-მეთქი. რაც შემეძლო ხელს გიწყობდი, თუმცა შენ ამასაც ვერ გრძნობდი. რა ძვირფასია ჩემთვის შენი ერთი სიტყვა, შენი ერთი შემოხედვაც კი. მე ეჭვიანი გავხდი... შენ ამასაც ვერ ხედავ.

ერთ დღეს უკან გამოგყევი. მინდოდა გამეგო სად მიდიოდი. იმავე ღამეს გკითხე სად და ვისთან იყავი-მეთქი. შენ გულახდილად თქვი, ჩემს მეცნიერ ხელმძღვანელთანო, მაგრამ არ დაგიჯერე. მეორე დღეს შენი ამხანაგისაგან გავიგე იმ ქალის ვინაობა. შენ არ ტყუოდი, მაგრამ მე?.. დაგდევდი ფეხდაფეხ და გაკვირდებოდი. შენ მასთან გულგახსნილი საუბრობდი, ოხუნჯობდი, ერთად კინოშიც იყავით... შინ წარბშეკრული ბრუნდებოდი, ჩემთან ლაპარაკი არ გინდოდა. ჩემს ხმას რომ გაიგონებდი, სახეზე უკმაყოფილება გეხატებოდა.

ჩემი გულისტკივილი ერთ ჩემს მეგობარ ქალს გავანდე. შევებრალე, მთელი დღე ორივე ვიცრემლებოდით. ბოლოს, მან მკითხავთან წასვლა მირჩია. ქალაქგარეთ ერთ ბერძენ ქალთან წავედით. ისეთი რაღაცეები მითხრა, კინაღამ ჭკუაზე შემარყია. გონება ამერია. შენს თავს უკვე დაკარგულად ვთვლიდი. ქვეყნად აღარაფერი მინდოდა. მეორედ წავედი მკითხავთან. მან ოდნავ დამამშვიდა და მითხრა, ისეთ წამალს გაგიკეთებ, ქმარი სულ თვალებში შემოგციცინებდეს, ოღონდ სიტყვა არსად წამოგცდესო. მთელი ჩემი საფიცარი დავიფიცე, კრინტს არ დავძრავ-მეთქი.

— კარგი, გასწავლი, — მითხრა მან, — სულ იოლი საქმეა — შენი საკუთარი თმა ჩუმად ქმრის ტანისამოსში—პერანგში ან შარვალში ამოაქსოვე ისე, რომ მან არაფერი იცოდეს! ახლა წადი და თუ არ გასჭრას ამ წამალმა, რაც გინდოდეს, ის მიყავი.

ისე მოვიქეცი, როგორც დამარიგა. მაგრამ შენ ისევ ცივი და უყურადღებო იყავი. კვლავ იმ ქალთან გავიქეცი, მიშველე და ფულებით აგავსებ-მეთქი, დავპირდი. მან მხარზე ხელი დამკრა და მშვიდად მითხრა, ნუ

გეშინია, უფრო უტყუარ წამალს მოგცემო. წითელი მიწა, ქათმის ბალბული და ნივრის ქუჩეჩა ძველ კონკებში შეხვია. ეტყობა, შენს ქმარს ძალიერი ნერვები ჰქონია, პირველმა წამალმა იმიტომ არ გაჭრაო. ეროვნული ბიბლიოთეკა ღვთის ნაბოძები სახლში. როცა შენ მუშაობდი, მიწას მაგიდის ქვეშ ჩუმად გიყრიდი, ბუმბულსა და ნივრის ქუჩეჩას კი ვწვავდი და კვამლს ზემოდან ვეფარებოდი. ასე ვეწვალე მთელი ათი დღე. მაგრამ წამალმა არ გასჭრა.

— იცი, რა ვქნათ. — მითხრა ჩემმა მეგობარმა, — ის ქალი და შენი ქმარი ერთმანეთს წავკიდოთ.

— როგორ?! — გაოცებით ვკითხე, თანაც შემეშინდა, ამით შენთვის არაფერი მევნო.

— ბებიაჩემიდან გამიგონია, — განაგრძო მან, — ძაღლები ერთმანეთს რომ წაეკიდებიან, იმ ადგილას მიწა უნდა აიღო და ნაწილი ერთის სახლის წინ დაყარო, ნაწილი კი მეორის სახლის წინ. ისინი ერთმანეთს იმ ძაღლებივით წაეკიდებიანო.

დავუჯერე. სად არ ვიარე, რომ ასეთი მიწა მეშოვა. ბოლოს, როგორც იქნა, ვიშოვე იგი. დღე დღეს სცვლიდა. კარებში შემოსულს რომ დაგინახავდი, სახეში შემოგაჩერდებოდი, აი ახლა, აი ახლა მეტყვის თავის ამბავსმეთქი, მაგრამ თქვენ ჩვეულებრივ განაგრძობდით ერთად მუშაობას...

იგი დაფიქრდა, ტუჩები ჩაეთეთქა და ყელზე მომდგარი ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. ეტყობოდა, სიტყვის თქმა უჭირდა. მერე ნაღვლიანად შემომხედა. მე ვერ გავუძელი მის შემოხედვას და პირი მოვარიდე. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. ჩემთვის უკვე ყველაფერი გასაგები იყო.

— აქ რა სწერია? — ქაღალდი ვუჩვენე ჩემს ცოლს.

— არ ვიცი.

— აბა, ჩემი სასთუმალის ქვეშ რატომ დადევი?

იგი ისევ დაფიქრდა და განაგრძო:

— როცა არაფერმა გასჭრა, კვლავ ბერძენ ქალთან გავიქეცი. იმ ბერძენმა ქალმა ვიღაც დედაბერზე მიმასწავლა. დედაბერს ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. მან გაიცინა და მითხრა, ნურაფრის ვეშინიაო. მომცა ეს ქაღალდი და მასწავლა, შენი სასთუმლის ქვეშ დამედო, შენ არაფერი გცოდნოდა, ისე.

— რამდენი დღეა, აქ დევს?

— ოცი.

დუმილი ჩამოვარდა. უეცრად ვიგრძენი, რომ გავწითლდი. ჩემს ცოლს ქვითინი აღმოხდა.

— რაც შენ თქვი, ყველაფერი მართალია? — ვკითხე ბოლოს.

— მართალია, ყველაფერს გეფიცები, მართალია. მე მინდოდა შენი სი-ყვარული, შენი სითბო. ეს კია, სისულელე ჩავიდინე, მაგრამ გეფიცები მიგო მე, გამიგო შენ, ჩემო ლევან! ჩემს ოჯახში თავს მარტო არ მინდა ვგრძნობდე.

აი ეს არის ჩემი დანაშაული, ლევან, მხოლოდ ეს.

ქაღალდი დავკუწე და ვთქვი:

— იქნებ, მე უფრო მეტი დამნაშავე ვარ, თინა!

თინა უცებ წამოხტა, ყელზე მომეხვია და აქვითინდა. ცრემლი ვერც მე შევიმაგრე.

ჩვენ ორივენი ვგრძნობდით ჩვენს დანაშაულს და ერთმანეთისათვის თვალებში შეხედვის გვრცხვენოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლადო სეიდიშვილი

### გათუმის ნაპირებთან

აქედან იწყება ზღვა უზარმაზარი...
ზღვაში თევზებია, ქვიშაზე ნაკვალევი;
ზღვას გამოუგდია დაგლეჯილი მაზარა,
ომის დროს რომ წაუღიათ მატარებლით.
ზღვა უზარმაზარი იწყება აქედან...
აქეთ ქვიშაა, იქვე პატარები
თამაშობენ დიდხანს. მერე ლაქებად
ქვიშაზე რჩება ნაკვალევი.

* * *

შენ იცი ღამის იდუმალება...
შენ იცი ღამის ტკბილი საუბარი...
აქ არაფერი არ იმალება, —
ასეთს საუბარს სხვასაც გაუბამდი.
მაგრამ მე მინდა შენი სიჩუმე,
შენი ჩურჩული და შენგან დაღლა...
ამ სიჩუმეში მე არ ვიჩემებ
რაღაც სხვა დიადს და უფრო მაღალს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გიორგი სანაღირაძე

# ველური

ველურს იმ მაღალსა და გაზინთულ კაცს ეძახდნენ, რომელიც ყოველ განთიადზე ჩექმების ბრახუნითა და მხარზე გადებული წყვილი ნიჩბით მიემართებოდა ნაპირისაკენ. მთელ დაბაში მხოლოდ ორ კაცს ესალმებოდა — მეთევზეთა კაფეს მზარეულსა და კოჭლ ფოსტალიონს. მათთან თამამად ეჭირა თავი. სხვებს კი გაურბოდა და ერიდებოდა. საღამოობით მარტო ჯდებოდა კაფეს სარკმელთან, დაიდგამდა წინ ლიტრა ღვინოს და ნელ-ნელა წრუპავდა. შინ ყოველთვის იმ დროს ბრუნდებოდა, როცა შუქურის კოშკზე ნაშუაღამევის ზარს ჩამოჰკრავდნენ.

მაგრამ აი, ორი დღე გავიდა, რაც ველური შინიდან არ გამოსულა. სანაპირო კაფეში სულ უფრო ხშირად ახსენებდნენ ამ პირქუშ მეთევზეს.

როცა თევზაობიდან ბრუნდებოდა, ნავს თავთხელ წყალში გააჩერებდა, რათა ადვილად აეთრია ნაპირზე. ნავი დიდი იყო, მძიმე. ფსკერი ფისის საცხით ამოეპოხათ და წყალს არ იკარებდა. ნავს მაღალი ქიმი, ოდნავ წაწვეტილი ცხვირი და პატარა, კნაჭა ანძა ჰქონდა. ამ ანძას ლადიმე იშვიათად ხმარობდა. იგი ფსკერზე ეგდო, ხის მძიმე ყუთთან, რომელშიც ათასნაკერიანი აფრა ჩაეჭუჭკა. აქ ნაპირი ყვითელი იყო. სილა ნავების შემკეთებელ სახელოსნომდე აღწევდა და მერე ვიწრო ზოლად გასდევდა ნაპირს. ლადიმე პაპიროსს გააბოლებდა, სულს დაითქვამდა და თევზის დახარისხებას შეუდგებოდა. დიდ თევზებს ცალკე გადააწყობდა, პატარებს ნავის ფსკერზე ყრიდა და მერე დაბის ბიჭებს ურიგებდა, რომლებიც ამ თევზებს სატყუარებად ჭრიდნენ. დაბის ბიჭებს არ ეშინოდათ ლადიმესი. ისინი ჯგროდ ტრიალებდნენ მის ნავთან, ეხმარებოდნენ ხარიხების დადგმაში და უცხოური სიგარეტებით უმასპინძლდებოდნენ. ლადიმეს უცხოური სიგა-

რეტების გემო იმდენად არ მოსწონდა, რამდენადაც ბრჭყვიალა ცელულოიდის კოლოფები, რომლებშიაც ისინი ეწყო. ბიჭებმა იცოდნენ ეს და სიგარეტები კოლოფებიანად მოჰქონდათ. ბავშვები ხიდამდე აცილებდნენ მუდამ. ზოგი ნიჩაბს წაუღებდა, ზოგი სათევზაო საჭურვლით სავსე კალათს. ლადიმე უყურებდა მათ და თვალებში უცნაური შუქი უკრთოდა. ხიდთან ერთბაშად შეჩერდებოდა, გამოართმევდა ბავშვებს ნიჩბებსა და კალათს, ნაღვლიანად გაიღიმებდა: „აბა, გეყოფათო“, და უკან მოუხედავად მიდიოდა მეთევზეთა კაფესაკენ. იქ ფინჯან ყავას, იაფ სადილს და ბოთლ ღვინოს მიირთმევდა. ბევრი თევზი არასოდეს დაუჭერია. არც ცდილობდა. ზღვაში დილაბნელზე გადიოდა და უკან მაშინ ბრუნდებოდა, როცა შუადღის მზე გაათბობდა თავთხელ წყალს და ყვითელ ფსკერზე, ნიჟარებსა და წყალმცენარეებს შორის, პატარა ათასკვები დაიწყებდნენ ხტომასა და რიალს. ნადავლს — ერთ აცმა თევზს ყავარივით გამხმარი მზარეული თორნიკე ყიდულობდა. თორნიკე უხმოდ გადაუთვლიდა ფულს, გაჰკეცავდა და თეფშის გვერდით დაუდებდა. ლადიმე ჭამდა აუჩქარებლად, ჩანგალს ძალზე ფრთხილად ამოძრავებდა და ცდილობდა პურის ერთი ნამცეციც არ გავარდნოდა. როცა ყავას მორჩებოდა და ღვინოს გადაჰკრავდა, ფულს დაუთვლელად ჩაიდებდა გულის ჯიბეში, პირს უზარმაზარი ჭრელი ცხვირსახოცით შეიწმენდდა.

— წავალ ახლა შინ, — იტყოდა შეწუხებული, თითქოს მართლა აკავებდა ვინმე, და გახუნებულ შლაპას თვალებამდე ჩამოიფხატავდა.

მისი სახლი დაბის ბოლოს იდგა, ბორცვაკზე. ამ ბორცვაკს იქით ღელიანი და სიმინდის ყანები იწყებოდა. ჯახველისა და მაყვლის ხოკერა ბუჩქებში გარეული გვრიტები ბუდობდნენ. ზამთარში, როცა თოვლს დასდებდა, გვრიტები ლადიმეს სახლთან მოფრინდებოდნენ, ჩამოჯდებოდნენ ლამფებშემპალი საბძლის სახურავზე და დაფეთებული აცეცებდნენ თვალებს. გვრიტებს გარდა, არავის გაახსენდებოდა იმ თოვლუხვსა და ქარიან ზამთარში პირქუში მებადური. იყო მასში რაღაც ისეთი, რომელიც შიშს გგვრიდა, გაფრთხობდა და უსიამო გუნებაზე გაყენებდა. ვერავის აეხსნა, რად აირჩია საცხოვრებლად ეს უმეზობლო და მივარდნილი სახლი, რომელიც წინანდელი პატრონისაგან ჩალის ფასად იყიდა, რად დააღო ჭიშკარს მძიმე ურდული და რად ჩააყოლა ღობეს რკინის წვეტიანი ბუნიკები. მეთევზეებმა პირველი დღიდანვე აითვალისწუნეს იგი, აითვალისწუნეს და ზურგი შეაქციეს, რადგან ლადიმემ, მეთევზეთა კოლმეურნეობაში შესვლის ნაცვლად, სამადგილიანი ნავი დაუკვეთა, აიღო ნებართვა და მარტოდმარტო გავიდა ზღვაში. ცარიელი არასოდეს დაბრუნებულა ზღვიდან. ხანდახან, ყინვიანსა და ქარიან ამინდში, თევზი ორმოებს აფარებდა თავს, ან ჩრდილოეთისაკენ დაიძრებოდა. თევზის ქარავნებს ამაოდ დაეძებდნენ აჩენილ წყლებში სეინერთა ექოლოტები. მაგრამ ლადიმე მუდამ ერთსა და იმავე დროს მოაყენებდა ნავს სანაპიროზე, გაკეცავდა აფრას, გა-

ბოლებდა პაპიროსს და ცოტა ხნის შემდეგ, სულდათქმულად და დამშვიდებით, შეუდგებოდა ნადავლი თევზის დახარისხებას. ერთხელ უკვე ზამთარში, ორი უზარმაზარი ქამბალა დაიჭირა და მზარეული თორნიკე საშუდამოდ მოხიბლა ამ უკარება და გოროზმა კაცმა.

— როგორაა შენი ველური, — ეკითხებოდნენ მეთევზეები თორნიკეს.

— რა უჭირს, ალბათ, კარგადაა.

— რაზე ლაპარაკობდით გუშინ?

— არაფერზე.

— კაი, ერთი, აბა, მუნჯებივით იჯექით მთელ ღამეს?

— ჰო.

— მართლა არაფერი უთქვამს?

— სინდისს გეფიცები... იჯდა და ღვინოს სვამდა მარტო.

— რაცხა მაი არ უნდა იყოს მთლად დაწყობილი ჭკუის.

— რა ვიცი...

დაბაში ხმები დადიოდა, თითქოს იქ, სხვა სოფელში, სადაც წინათ ცხოვრობდა, ცოლი ჰყოლია, თითქოს იქ, სხვა სოფელში, მეგობრების მოყვარე და პატივისმცემელი ყოფილა. იმასაც ამბობდნენ ჩუმად, რომ ერთხელ, როცა გვიან დაბრუნებულა შინ, ცოლს წასწრებია თურმე... ამის შემდეგ მთელი ორი თვე იავადმყოფა, დაჩიავდა, თვალები ჩაუცვივდა, გულჩათხრობილი და უკარება გახდა. გაზაფხულზე აკრიბა თავისი ბარგი-ბარხანა, დააწყო დანჯღრეულ ფურგონზე და, არავის რომ არ დამშვიდობებია და არავისთვის სიტყვაც რომ არ უთქვამს, სოფლიდან წავიდა.

ლადიმეს ზღვა უყვარდა. ზამთარ-ზაფხულ ბანაობდა. ნაწვიმარზე ზღვამ გადარევა იცოდა. დაბაში შორიდან ისმოდა, როგორ შხუოდა წყალი, როგორ ეხათქუნებოდა კლდეებს. ასეთ ამინდში ლადიმე მარტოდმარტო დაჯდებოდა პატარა ფანჩატურში, სახეს ტალღების მტვერს მიუშვერდა და ფიქრობდა. მეთევზეები კარგა ხნის შემდეგ შეეჩვივნენ მის არსებობას. უკვე აღარ აღიზიანებდათ მისი გამოჩენა, აღარ გააყოლებდნენ ეჭვიან მზერას, როცა კაფეში ძეხვისა და ღვინის საყიდლად შევიდოდა. ლადიმე იშვიათად თუ იპარსავდა წვერს. შავი, ზიმზიმა წვერი ჰქონდა. მაგრამ ორ თვეში ერთხელ, ისიც დიდ თავსხმაში, დალაქთან შეივლიდა, მორიდებით მიესალმებოდა იქ მყოფთ და სკამზე ჯდებოდა. ამის შემდეგ ყველამ იცოდა, რომ ლადიმე კლუბშიც შეივლიდა. კინო უყვარდა. ერთი სკამი ჰქონდა ამოჩემებული უკანა რიგში. დაჯდებოდა, ჭუჭყიან, გაცრეცილ შლაპას იღლიაში ამოიჩრიდა, ფეხს ფეხზე გადაიდებდა და ასე უჩუმრად, გალურსული იჯდა ფილმის დამთავრებამდე. მერე, როცა სინათლე იფეთქებდა, წამით შეცბებოდა, საჩქაროდ დაიხურავდა შლაპას, ზედ თვალებზე ჩამოიფხატავდა და გასწევდა გასასვლელისაკენ.

— ველური მოსულა, — იტყოდა ვინმე.

— ფილმები უყვარს.

— რავა მოგეწონა, ლადიმე, ფილმი?

ლადიმე არც მობრუნდებოდა, გაწითლდებოდა, თავს ჩაღუნავდა-ბიჯს აუჩქარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს ორი დღეა ველური აღარ მოსულა კაფეში.

ზღვაზე ნამდვილი სათევზაო ამინდი იდგა. ღამით წვიმდა, დღისით კი მზის მცხუნვარე სხივები ლიცლიცებდნენ ზღვის ზედაპირზე. თორნიკემ შებინდებას დაუცადა, მერე მეზობლის ბიჭს დაავალა, გაეგო რას აკეთებდა ველური. ბიჭმა პირველად შორს დაიჭირა თავი, მერე უცებ დათანხმდა და გაიქცა.

რკინის ვეება ლოგინზე იწვა ველური. იწვა და მძიმედ სუნთქავდა. როცა ცა გამუქდა, წვიმამ წამოუშინა. ფანჯარა ღია იყო. დავხურავო, — იფიქრა ლადიმემ, წამოიწია, მაგრამ თავი საშინლად ტკიოდა. რაღაც მძიმე და უსაშველო გასრესით ემუქრებოდა, და ამ მუქარას სწორედ მაშინ გრძნობდა, როცა წამოდგომა ეწადა. ღია სარკმლიდან მთებიც ჩანდა, ჩანდა ბაღის ბოლოში აღმართული ხეთა მწვერვალები. ლადიმემ ჩასთვლიმა. და როცა თვალი გაახილა, გაიგონა, როგორ ბრახუნობდა საწვიმარი მილი. გონება ებურებოდა. რაღაც ხმა შორეულ და უცნაურ საგალობელივით ჩაესმოდა. ხანდახან იგი ხედავდა გზას, აგურის პატარა ნამტვრევებითა და ხვინჭით დაფარულს. ამ გზით იგი მიდიოდა ნავების შემკეთებელ სახელოსნომდე, ამ გზით მიდიოდა იგი კაფემდე, ამ გზით ბრუნდებოდა უკან. მას ესმოდა საკუთარი ნაბიჯების ხმა და უკვირდა... წვიმა მატულობდა. წვიმა წკანწკარებდა ფანჯრის რაფაზე. „მწყურია, — გაიფიქრა მამაკაცმა, — რახანია მწყურია". გრძნობდა, როგორ უხურდა მკერდი, სასა გაუშრა. „ხვალ გადაიღებს წვიმა, — ფიქრობდა. — მზე ააშრობს გზას და თავთხელ წყალში ლიფსიტები დაიწყებენ ბოყირს".

უცებ რაღაც ფაჩუნი მოესმა. ეს ფაჩუნი მან ხეებისა და საწვიმარი მილის ხმაურისაგან გამოჰყო და ყური ცქვიტა. სარკმელზე პატარა ბიჭი იჯდა. ამდენი ხნის მანძილზე პირველად ესიამოვნა ადამიანის დანახვა. „რა ლამაზი თვალები აქვს ამ პატარა ადამიანს", — გაიფიქრა. მერე რაღაც გაახსენდა და მოიღუშა. „წვიმა შეწყდება და მეც დავიძინებ. რა სისულელეა".

— ძია, — დაუძახა ბიჭმა, — ძია!

— ჰო, რა გინდა? — კითხა ველურმა. — მომეცი წყალი, მანდ, კასრში, წყალია, მომაწოდე.

ბიჭს შეეშინდა. იფიქრა, შემიტყუოს უნდაო, და ჩასახტომად მოემზადა.

— ავადა ხართ? — კითხა ჭოჭმანით.

— საიდან მოიგონე?! — გაბრაზდა ველური, — ჰმ, საიდან მოიგონე, ა? — ცარიელ კათხას წაეტანა.

ბიჭს ეგონა — ახლა მესვრისო და გაქრა. მაგრამ ჭიშკართან მისულს, საშინელი ხმაური და ამოხვნეშა მოესმა. ისევ მიბრუნდა, აბობღდა ფანჯარაზე და იატაკზე გაშხლართული მამაკაცი დაინახა. დაინახა და შეშინდა.

ათი წუთის შემდეგ ნახევარი დაბა ლადიმეს ჭიშკართან მოგროვდა. ვერავინ ვერ ბედავდა შიგ შესვლას.

— ადამიანები არა ხართ, იქნებ კვდება, — თქვა მსუქანმა ქალმა, რომელიც თევზის მიმღებ წერტში მსახურობდა. — თქვენ კი აქ დგახართ და ხვრელიდან უციცქირებთ. — მერე მაგრად ჰკრა ხელი ჭიშკარს. ჭიშკარი გაიღო. კიბე ხისა იყო და ჭრაჭუნებდა. კარი გადარაზული დახვდათ. შეყოყმანდნენ. ერთხანს ქლიბი უჯახუნეს საგდულს, იქნებ ავარდესო, და, როცა ამან არ გაჭრა, ნაჯახით შეამტვრიეს კარი.

ველური იატაკზე იწვა. საშინელი სანახავი იყო. თვალები დაეხუჭა და მძიმედ სუნთქავდა. სიცხისაგან იწვოდა და ბოდავდა.

— ფილტვების ანთებაა. — თქვა ექიმმა, როცა ავადმყოფი ნახა.

ქალებმა მიმოიხედეს. „ცოდოა", — ამოიოხრეს და სახლის დალაგებას შეუდგნენ. ვიღაცამ ქათმები დააპურა და ეზოში გაუშვა... აყლაყუდა დალაქი და მისი ჩოფურა ბიჭი აფთიაქში აფრინეს წამლებისათვის, ხოლო კოშლმა ფოსტალიონმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცა დაბელებს, რომ არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მუხლმაგარ ვაჟკაცებს. შინიდან თვალის დახამხამებაში ამოარბენინა თხის ქონი. ეზოში წყალი იდგა. მამაკაცებმა თოხები მოიმარჯვეს და არხი გაიყვანეს. გამოცოცხლდა კერია. ვინ თაფლი მოუკითხა ავადმყოფს, ვინ ლობიო და სიმინდის ფქვილი, ვინ ყველი და კვერცხი... ოთახში ფეხაკრეფით დადიოდნენ. მორიგეები — ღამისმთევლები გამოჰყვეს და დამშვიდდნენ.

ერთხელ წვიმამ გადაიღო. მაგრამ მზე არ ამოსულა. ზღვა კიდევ უფრო გადაირია, ბეტონებში დატანებული აკაციის მორები მოგლიჯა და წაიღო.

როცა ლადიმემ თვალი გაახილა, პირველად ცა დაინახა, დაინახა ჩიტვამლას აყვავებული რტოები და თეთრი ღრუბლები. ოთახში ახალგამომცხვარი მჭადისა და წვნიანის საამო სურნელი იდგა.

კუთხეში ვიღაცეები ისხდნენ.

შეშინდა. მიმოიხედა. თვალები აემღვრა და აუსიორდა. წამოიწია. მკლავები მოუდუნდა. თავი დაუბრუვდა და ბალიშს მიენდო. ბალიშიც საოცრად რბილი ეჩვენა. კარგა ხანს იყო ასე, თვალი არ გაუხელია. მძიმედ სუნთქავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მალე ექიმი მოვა, ნემსის გაკეთების დროა, — თქვა ვიღაცამ.

— სიცხემ დაუკლო? — იკითხა ვიღაცამ.

— კი, დაუკლო.

— აბა, აწი არაფერი უჭირს.

ლადიმეს ესმის ზღვის შხუილი, გრძნობს, როგორ ეხმიანება გული ზღვის ბობოქარ რიტმს. თვალდახუჭული წევს. შორს, გონების კუნჭულში იგი ხედავს მზის თბილი ჩქერალებით ალიცლიცებულ ზღვის ფსკერს, რომელიც მომწვანო ფერის ნიჟარებითაა სავსე. ხედავს მეთევზეთა ნავებს, ხედავს ბავშვებს, რომლებსაც მისი ნიჩბები მოაქვთ, და იღიმება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვლადიმერ მაიაკოვსკი

# წერილი მოლჩანოვის მიერ მიტოვებულ სატრფოს

იმ ამბავს, თუ როგორ მიატოვა **მოლჩანოვმა** თავისი სატრფო, იტყობინებოდა „**კომსომოლსკაია პრავდის**“ 219-ე ნომერი ლექსით „**პაემანი**“.

მოლჩანოვმა რომ
მიგატოვათ,
გამიგონია,
ვიცი მიზეზიც,
რისთვის მოხდა
საქმე აგეთი:
შემოდგომისთვის
არა გქონიათ
გადასარევი
თურმე
ჟაკეტი.
ლურჯ თავსაფარს
გირხევს ქარი,
ეგეც თვალში
ეკლად ესო:
რად გხურავსო
თავსაფარი,
თანაც...
გამჩნევ
სიბერესო.
მიყვარს
ქალის
მკვრივი მკერდი,
მოელვარე
მიყვარს
ბაგე,
მაგრამ ასეთს
თუ ვერ შევხვდი,
მაშინ ვნახავ
ისეთ ვინმეს,
ვინც ატარებს
ძვირფას ჟაკეტს.
მეწვრილმანის
უდგას სული,
სისაძაგლე
ლექსში ჩადო,
სურს ბაზისი
მარქსისტული
ქალის ჟაკეტს
შეუფარდოს.
„მწარე წლებისთვის
და წამებისთვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ მეკუთვნოდა
სიმშვიდე მინდად?
ამ მოკამკამე,
ლაჟვარდი ცისქვეშ
მინდა ვიცინო,
მიყვარდეს მინდა.
ვასწორებდი დღის და ღამეს
ხან ქვეითად, ხანაც რაშით,
გზას ვკაფავდი,
ხიდს ვაგებდი,
სოციალიზმს ვაშენებდი.
ვაშენე და დავიღალე,
დავისვენე ხიდის თავში.
აქ ბალახი იწევს მაღლა,
ხიდზე ვხედავ ლამაზ ბატკნებს.
ჩვენ უბრალოდ გვინდა ახლა,
ამ ცხოვრების ეშხით დავტკბეთ.
შეახვიეთ ეს დროშები.
წყალს ჩავყურებთ
გამჭვირვალეს.
იღერებენ ყელს შროშნები.
მაღლა ლურჯი ცა კრიალებს".
მიტოვებულო,
ნუ გაშინებს,
რომ დადაფნულმა
პოეტმა
ოქროს სიტყვებით
დაგჭრათ.
მჭევრმეტყველებდა
ის
გაწაფულად,
თქვენ
უპასუხეთ
უბრალოდ,
მკაცრად:
— კმარა,
ტკბილად ნუღარ
მღერით.
ვთქვათ,
მე არა ვარ
ნორჩი ქალი.
თქვენ —
ნამდვილად ხართ
ბებერი.
თქვენ
და
თქვენი
პასტორალი.
ამ ჟაკეტით
ფერხულს
უვლის
პეტროვკაზე
ქალთა
ბანდა.
ეს ჟაკეტი
პოლონური
ჩვენში
მოაქვთ
კოტრაბანდად.
შეგისყიდათ
მუზამ
ფულით?
ჩემს თავსაფარს
ჩვარად
თვლიდით?
სესხით
ინდუსტრიალურით
სჯობს
გვიშველოთ —
ვქსოვოთ ჩითი.
თქვე
ჩერჩეტო
მოლჩანოვო,
ჭკვაში
როდის
ჩავარდებით?
გესიზმრათ, თუ
მოგეჩვენათ
ეს ულრუბლო
ლაჟვარდები?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენს ოხვრაში,
ცრემლის თქეშში
მდინარესთან ყვავილებში,
სადაც ნატრობთ
სატრფოს ტუჩებს,
უცხოეთის სუნი თუ გცემთ?
იქ, სად დაჰქრის ტრფობა
ქარად,
თუ მოგესმის მტრის მუქარა?
სიმშვიდეზე
რომ ოცნებობთ,
თქვე უნიჭო
კალმოსნებო,
ფუყე გული გიცემთ მკერდში,
არ უდგახართ ჩვენს დროს
მხარში,
ხელს ნუ გვიშლით
მანევრებში,
ხალხის
მობილიზებაში.

თარგმნა **გიორგი სალუქვაძემ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სერგეი მიხალკოვი

# შტილი

სანაპიროზე წყალმცენარეების, ფისისა და თევზის სუნი იდგა.

სანკა და მიტიაი დამხობილ სათევზაო ნავებსა და გასაშრობად გაფენილ ბადეებს შორის იდგნენ. ჩამავალი მზე მკრთალად ანათებდა: ერთს თვალებში, მეორეს — ზურგზე.

— აბა, მოიტა! — გაიმეორა სანკამ. — ა?

— სჯობს, ნაპირს გავყვები, — უპასუხა მიტიაიმ.

— შეხე!.. ნავით უკეთესია.

— უფრო შორსაა...

— შენც ამბობ, რა... „უფრო შორსაა". მე და ჩემი ძმა ერთხელ მეთევზეთა უბნამდე საათნახევარში მივედით. ესეც შენი „შორსაა".

— ფეხით კი ერთ საათში შეიძლება მივიდეთ, — ყოყმანით თქვა მიტიაიმ.

— მაინც ნავით სჯობს...

სანკამ გადმოაბრუნა ნავი, ჩააწყო შიგ ნიჩბები და წყლისკენ უბიძგა.

— მაგ ნავისათვის კარგად მოგვხვდება ძმისაგან! — მოგვიანებით უთხრა მიტიაიმ, რომელიც კვლავ გვერდზე იდგა.

— მე მომხვდება? შენც ამბობ, რა. — ჩაიცინა სანკამ. — როგორ მომხვდება, როდესაც ის სამი დღით ქალაქს გაემგზავრა, შოფრის საბუთებისათვის... აბა, რას უცდი, მომეშველე!

შიშველი ფეხებით სილაში ჩაეფლნენ, ნავს მიაწვნენ და წყლისკენ ქაჩვა დაუწყეს.

— აბა, ერთი კიდევ, მივაწვეთ.

— მარტო შენ წყალშიც გაგიჭირდება, ხედავ, როგორი მძიმეა!

— მძიმეა? ამბობ რაღა! ოღონდ წყალზე დადგი და მერე მისით წადა, აბა, მიტიაი, მივაწვეთ ერთხელ კიდევ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვარდნილმა ტალღამ მსუბუქად აიტაცა ნავი, დაარწია და ... ტალღას მიაჯახა. სანკა უკვე შიგ იჯდა და ნიჩბებს ამაგრებდა, როცა ნაპირზე დარჩენილ მიტიაის თავისი ჩანთა მოაგონდა.

— ჩანთა! ჩანთა მომეცი! — დაუყვირა მან.

— რომელი ჩანთა? — ვერ მიხვდა სანკა.

— ნავშია, კიჩოზე დავაგდე!

სანკამ ნავი ნაპირისკენ მოაბრუნა. მიტიაი მუხლამდე შევიდა წყალში. ცდილობდა ხელი ნავის ქიმისათვის წაევლო და თავისკენ მოეწია, მაგრამ ნავი ტალღებზე ირწეოდა, თითქოს აღიზიანებდა ბიჭს. ბოლოს, მიტიაიმ მოახერხა, გადახტა, მუცლით გადახოხდა ნავის კიდეზე და მეგობრის გვერდით აღმოჩნდა. აქ მათ ერთდროულად დაინახეს ნაპირზე მიმავალი ქალიშვილი. ხელში მას წიგნებიანი ბადურა ეკავა. თავსაფრიდან ორი ქერა ნაწნავი მოუჩანდა.

— შენ საით? — დაუყვირა სანკამ გოგონას და ნავი კვლავ ნაპირთან შეაჩერა.

— თქვენ კი საით? — ნავს გაუსწორდა და კითხა გოგონამ.

— თქვენთან, მეთევზეთა დაბაში! ჰაიდა, მოდი ჩვენთან.

— არ ტყუით?

— ამოცოცდი, ამოცოცდი, ტატიანკა! წაგიყვანთ!

— უკეთესად მიგიყვანთ! — დაუდასტურა მიტიაიმ და ნაყიდებით სავსე ჩანთა კიჩოზე დასაჯდომის ქვეშ შეინახა.

გოგონამ ბევრი აღარ ახვეწინა, კალთა აიკეცა, გაბედულად შევიდა წყალში და მარდად ჩახტა ნავში. ახლა სანკამ უკვე მთელი ძალით მოუსვა ნიჩბებს. ნაპირს თანდათან შორდებოდნენ.

— მეთევზეთა დაბაში მივდივარ, ბიძია პეტრო უნდა ვნახო. როგორ ცხოვრობს, — თქვა სანკამ და გოგონასკენ მიიხედა. — მიტიაი კი სახლში მივიოდა, — თავით ანიშნა მეგობარზე, რომელიც კიჩოზე საჭესთან იჯდა.

— მე კი თქვენს ბიბლიოთეკაში ვიყავი, ჩაწერა მინდოდა. ჩვენი სასკოლო უკვე მთლიანად გადავიკითხე, — თქვა გოგონამ.—შენ ყველა წიგნს დამისველებ! — გულმოსულად დაუმატა მან. — რისთვის უტყაპუნებ ასე! უკეთესი იყო ფეხით წავსულიყავი სახლში...

მან თავსაფარი მოიხადა, წიგნები შეახვია და ისევ ბადურაში ჩადო.

— „ფეხით“... — ჩაიბუზღუნა სანკამ და უფრო კოხტად მოუსვა ნიჩბები. — რატომ უნდა დაქანცო ფეხები? უკეთესია ნავში იჯდე. შენ სხვას მიჰყავხარ.

ახლა ნავი ისე მიდიოდა, რომ ნაპირიდან კარგად ჩანდა. ბავშვები ერთხანს დუმდნენ.

— დედამ ასანთისათვის გამგზავნა, — მოულოდნელად თქვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიტიაიმ, — და კიდევ სარეცხი სოდა უნდა მეყიდა. ჩვენს დუქანში ისეც რალაც აღწერაა. სამი დღით დაკეტეს.

— იქნებ, გაფლანგეს? — შეეკითხა სანკა.

— ვინ იცის, — გაურკვევლად უპასუხა მიტიაიმ.

სულ დაბლა, ნავის თავზე, უხმაუროდ გადაიფრინა თოლიამ.

— წყალი თბილია! — თქვა ტატიანკამ, ქიმზე გადაიხარა და ხელები წყალში ჩაყო.

— ფრთხილად, არ გადავარდე! შენი გადარჩენისთვის საც მცალია! — მკვახედ შენიშნა სანკამ.

— ნუთუ არ გადამარჩენ? — გაიღიმა გოგონამ.

— ცურვა იცი? — კითხა მიტიაიმ.

— ცოტა! — თვალების ეშმაკური ციმციმით უპასუხა გოგონამ. ხელს წყლიდან არ იღებდა და ახლა უკვე განგებ იხრებოდა ნავის ქიმიდან.

— ნუ ცელქობ! — მკაცრად დაუყვირა სანკამ.

— შენ კი ნუ ყვირი! — შეიშმუხნა გოგონა, წყლიდან ხელი ამოიღო და წვეთები სახეში მიაშხეფა სანკას. სანკამ სახელოთი მოიწმინდა სახე, მაგრამ არაფერი თქვა.

— ნუ წრიალებ, უძნელებ ნიჩბების მოსმას! — უთხრა გოგონას მიტიაიმ.

ჩამავალი მზე ჩაიფერფლა, ჰორიზონტზე გადაჭიმულ ღრუბლებს მიეფარა. დუმილი მიტიაიმ დაარღვია.

— აი რა, რატომ ქურდობენ ადამიანები? ვინ იტყვის? — იკითხა მან ჩაფიქრებით.

— რომელი ადამიანები? ქურდები? — ვერ მიხვდა ტატიანკა.

— მე ქურდებზე არ ვლაპარაკობ. იმათზე ვამბობ, ვისაც საშუშაოც აქვს, ხელფასიც და მაინც ქურდობს. სხვები კი ხედავენ და გაჩუმებული არიან. ეშინიათ იმათი თუ რა?

პასუხი დააყოვნეს.

— ჩემი ძმა ამბობს, რომ ასეთ ადამიანებს მალე დაუდგებათ აღსასრული. მან რადიოთი მოისმინა, — თქვა ბოლოს სანკამ და დაუმატა: — ეჰა, მიტიაი, მომიჯექი გვერდით! ხელები დამეღალა. ტატიანკა, საჭის მართვა შეგიძლია?

— შემიძლია, — ხალისიანად უპასუხა გოგონამ და კიჩოზე გადავიდა. მიტიაი მეგობართან გადაჯდა და ნიჩაბს მოჰკიდა ხელი. ერთხანს მეგობრები ცდილობდნენ ერთმანეთისათვის შეეწყოთ ხელი და ერთდროულად მოესვათ ნიჩბები, მაგრამ ვერ მოახერხეს. შემდეგ საქმე აეწყო და ნავი სწრაფად გასრიალდა.

— ერთი! ერთი! ერთი! — კომანდრობდა სანკა.

— ჭრრ! ჭრრ! ჭრრ! — უპასუხებდნენ ნიჩბის პალოები.

ასე უსვამდნენ და უსვამდნენ ისინი ნიჩბებს, ერთდროულად იხრებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ წინ, შემდეგ კი მთელი ტანით უკან გადაიზნიქებოდნენ, წინ არ იწ-
ედებოდნენ, თვითეული მხოლოდ თავისას ფიქრობდა. უცებ მათ
შეცბუნებული ხმა ჩაესმათ:

— სადღა არის ნაპირი?

ბიჭებს ნიჩბები ჰაერში გაეყინათ. ნაპირი, რომელიც ცოტა ხნის წინათ
გვერდით ჩანდა, ახლა ნისლის მიღმა გამქრალიყო, ერთი სიტყვით, ნაპირი
დაიკარგა. დარჩა წყალი და ნისლი. ბინდი და ისინი, სამნი ნავში. ზღვაში...

— სად დაიკარგა ნაპირი? — როგორღაც უცხო ხმით იკითხა სანკამ.

— მოვუსვათ უკან! — თქვა მიტიაიმ.

— უკან? შენც ერთი რა... — უკვე უფრო მტკიცედ წარმოთქვა სან-
კამ. — წინ უნდა ვიაროთ.

— საით წინ?

— მე რა უნდა ვქნა? — წყნარად იკითხა ტატიანკამ.

— იჯექი, იჯექი! ნუ აბრუნებ საჭეს! დაიჭი მიმართულება! — უბრძანა
სანკამ და კვლავ მოუსვა ნიჩბები.

— საით უსვამ? ნავი ბრუნავს! ასე სულ ავცდებით გზას, — გაბრაზ-
და მიტიაი.

— მასწავლე, მასწავლე! — იმავე ტონით უპასუხა სანკამ. — ნაპირი
სად იყო? მარჯვენა მხარეს! გასაგებია?

— ჩემგანაც მარჯვნივ იყო? ჩვენ ხომ გვერდიგვერდ ვიჯექით!

— გაიგონე! ჯობია, ნუ მაცდენ! — გადაჭრით უთხრა სანკამ. — უკე-
თესია ნიჩაბს მოუსვა!

— კეთილი! — თქვა მიტიაიმ და ნიჩაბი მოიქნია. — მოვუსვათ!

ნავი კვლავ წინ გაქანდა. ასე მიცურავდნენ ისინი კიდევ ხუთ, ათ
წუთს... და კიდევ ხუთ, შემდეგ კიდევ ათს... სანამ თითქმის სრულიად არ
დაბნელდა და ირგვლივ ყველაფერი არ დაბურა საიდანღაც მოსულმა ნი-
სლმა.

— აი, ჩვენ რომ კომპასი გვქონოდა... — ინატრა მიტიაიმ.

— ბარემ მოტორიც ინატრე, — მოუჭრა სანკამ და მაშინვე სულ სხვა
ხმით მიმართა გოგონას: — ტატიანკა! შენ ნუ გეშინია. ზღვა წყნარია. შტი-
ლია! ასეთ ნისლში ღელვა არ იცის.

— მე არ მეშინია. ვფიქრობ მხოლოდ უკეთესი იყო ფეხით წავსუ-
ლიყავი...

— ტყუილად ჯდომას აჯობებს, რაიმეს მოგვითხრობდე წაკითხული-
დან. ან იმღერებდე, — უთხრა სანკამ.

— იმღერე, იმღერე! — მხარი მისცა მეგობარს მიტიაიმ.

— თქვენ გგონიათ, თუ ვიმღერე, ვინმე გაიგონებს?!

გოგონას არ უპასუხეს. მაშინ მან სიმღერა დაიწყო. მისმა წვრილმა
ხმამ ზარივით დაიწკრიალა წყალზე, თითქოს ცდილობდა გაერღვია გარ-
შემოხვეული ნისლის კედელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიტიაი! სადა გაქვს ასანთი?

— ჩანთაშია. მოსწიო გინდა?

— „მოსწიო“... ერთი შენც... რომელი მწეველი მნახე! ფარანი მინდა ავანთო. ტატიანკა, ფარანი შენთან არის?

— აქ არის.

— მომეცი!

— დაიჭი!

— მიტიაი! ასანთი!

— აჰა!..

სანკამ გაჰკრა ერთი ღერი, შემდეგ მეორე. წყნარად, თავისთვის შეიგინა... — დასველდა თუ რა მოუვიდა?

მხოლოდ მეხუთე ღერით აანთო სანკამ სტეარინის სანთლის ჩამდნარი ნამწვი და ნავის ცხვირზე დადგა ფარანი.

— ფიქრობ, რომ ფარანს შეამჩნევენ? — კითხა ტატიანკამ.

— არაფერსაც არ ვფიქრობ. ასე მოითხოვს წესი, თორემ ამ სიბნელეში დაეჯახები ვინმეს, — თითქოს აქ არაფერიაო, უპასუხა სანკამ და თავის ადგილას დაჯდა. — სწორია ხომ, მიტიაი? სდიე მერე, როცა მთელი სვლით დაეჯახები.

— ჩვენ კი არავითარი სვლა არა გვაქვს! — მოწყენით შენიშნა მიტიაიმ.

— ჰოდა, შეიძლება ჩვენ დაგვეჯახონ!

— კარგი კი იქნებოდა... — იმედიანად თქვა მიტიაიმ.

და კვლავ აჭრიალდნენ პალოები: ჭრრ... ჭრრ... ჭრრ...

— მოიცა, ნუ უსვამ ნიჩბებს,—მათ გარკვევით გაიგონეს მოტორის ხმა.

— მეთევზეები მოდიან! — სწრაფად განსაზღვრა სანკამ, ადგილიდან წამოიჭრა და ფარანს მივარდა. ნავის ცხვირზე შედგა, ფარანი მაღლა ასწია და უნდოდა გაექან-გამოექნია, მაგრამ ბოლომდე ჩამწვარი სანთელი ერთიორჯერ ახამხამდა და ჩაქრა...

— ჰე-ჰე-ჰე-იიი! — მთელი ხმით აღრიალდა სანკა.

— ჰე-ჰე-ჰე-იიი! — დაიყვირეს მიტიაიმ და ტატიანკამ.

მოტორის ხმაური თანდათან ჩაინთქა ნისლში...

— რა არის ამ ქილაში?

— რომელ ქილაში?

— აგერ, ჩემს ფეხებთან რომაა.

— დაყნოსე! დაყნოსე!

— ფისი უნდა იყოს!

— ფისი? მიტიაი, ჩქარა მოიტა ასანთი! იცი, ფისი როგორ იწვის!

— ასანთი აღარა მაქვს. სოდაც არ არის, სულ გაიხსნა წყალში. მოიბეზდება ამისათვის დედისაგან...

— უიმე! ყველა ჩემი წიგნი წყალშია! თითქოს ნავში წყალი მოდინებ-ბა! — მოისმა ხმა კიჩოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა არის? შენ ჯერ არ გინახავს, როგორ ივსება ნავი წყალი? — მშვიდად უპასუხა სანკას ხმამ, — სად არის ხაპია? აქ იდო.

— აქ არის. აი.

— მოუსვი ნიჩაბი, მე მანამ წყალს ამოვხაპავ.

— სად არის ნიჩბები?

— შენ რა, გაგიჟდი?

— შენ თვითონ გაგიჟდი! ერთი აქ არის, მეორე სადღაა? ახლა უკვე ყველაფერი გათავდა...

— მერე რა?

— ყველაფერი გათავდა...

— მერე რა?

— ჰოდა, არაფერი!..

ორივემ მძიმედ ამოიოხრა და გაჩუმდნენ. სიჩუმეში ისმოდა, თუ როგორ ხაპავდა ერთი წყალს, შემდეგ სანკამ თქვა:

— სადმე გავირიყებით! აქ ხომ შავი ზღვა არ არის. იქ დინებას შეეძლო თურქეთში წაველეთ. აქ კი ირგვლივ საკუთარი ნაპირებია! აი, უკვე მეტი სიმშრალეა. შემდეგ კი, მიტიაი, შენ ხაპიათი გათბები! ჩვენ როგორმე ღამე უნდა გავათიოთ. როგორც კი ინათებს — ყველაფერი ცხადი გახდება! ტატიანკა! შენ მაქ რას აკეთებ?

კიჩოდან წყნარი სლუკუნი მოისმა.

— ტატიანკა! შენ ტირი?

— თქვენ კი რა გითხრათ... როგორღა ჩავაბარო ეს წიგნები?

— გაშრება! — დაბეჯითებით უთხრა სანკამ. — ხომ სწორია, მიტიაი? ხომ გაშრება? როგორც კი მზე გამოიხედავს, გაშრება... გესმის რეაქტიული დაფრინავს!

ღამის სიბნელეში თვითმფრინავმა ზღვას გადაუარა. ზღვა კი დაბურული ნისლით მძინარესავით სუნთქავდა და ტალღებზე არწევდა მარტოხელა სათევზაო ნავს. ძნელი სათქმელი იყო, მიცურავდა ეს ნავი, თუ ადგილზე იდგა...

ტატიანკა დახეული ბრეზენტის ნაჭერში მობუზულიყო სიცივისაგან, სველი ფეხები აეკრიფა. მიტიაი ზარმაცად ხაპავდა წყალს სიბნელეში და ნავის ძირს ურახუნებდა.

სანკამ ყელში მომდგარი ნერწყვი გადაყლაპა:

— ...და ეს ჯარისკაცები, თავიანთ კარჭაპზე საშინელი შტორმის დროს მარტონი ოკეანეში, ათასობით მილზე ხმელეთიდან მიცურავდნენ გაურკვეველი მიმართულებით. მათ ოკეანე აქეთ-იქით აგდებდა... — სანკას ხმა შეუთრთოლდა, მაგრამ მან დაფარა მღელვარება... — საჭმელიც არაფერი ჰქონდათ... და შეჭამეს თავიანთი გარმონი... ჰოდა, შემდეგ თქვენ იცით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ისინი ამერიკელებმა გადაარჩინეს?

— ამერიკელმა სამხედრო მეზღვაურებმა. მე წავიკითხე, — წყნარად თქვა ტატიანკამ.

— საინტერესოა! ამერიკელების ნაწილი ადამიანებს შველის, სხვები კი პირიქით, — გაჭიანურებით თქვა მიტიამ და ხმამაღლა დაამთქნარა.

— ჩვენთან ერთ ბიჭუნას მიმოწერა აქვს ინგლისელ გოგონასთან, — მძინარე ხმით თქვა ტატიანკამ. — ისიც ომის წინააღმდეგია.

— არ დაიძინოთ, ბავშვებო! — თქვა სანკამ, თვითონ კი ძლივს იკავებდა მთქნარებას. — მოდით, ერთმანეთს შეკითხვები მივცეთ. ტატიანკა, დაიწყე! მიტიაი უჯიკავე, რომ არ დაიძინოს, თორემ ყველას დაგვეძინება, ვინღა ამოხაპავს წყალს? ჩავიძირებით... ტატიანკა!

— რა გინდა? — მოგვიანებით უპასუხა გოგონამ.

— გაიგონე რა გითხარი?

— გავიგონე.

— შეკითხვა არა გაქვს? შეგვეკითხე!

ტატიანკა შეირხა, დააცხიკვა და მოულოდნელად მხიარული ხმით იკითხა:

— რითაა დამაგრებული ვარსკვლავები ცაზე?

კითხვა დაისვა, მაგრამ როგორ ეპასუხათ არავინ იცოდა.

— აი, მე მაქვს კითხვა! — თქვა მიტიამ. — ადამიანები მაიმუნისაგან წარმოიშვნენ, ხომ ასეა?

— ასეა... — დაეთანხმა სანკა.

— ჰოდა, აი რა, — განაგრძო მიტიამ. — რატომ ყველა მაიმუნმა არ მოისურვა ადამიანად გახდომა?.. ა?..

— მე უკვე სიზმარს ვხედავ... — ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა ტატიანკამ.

ირგვლივ სიბნელე და სიწყნარე გამეფებულიყო. მხოლოდ ხანდახან ისმოდა წყლის მსუბუქი ტლაშუნი. ეს სანკა უშვებდა წყალში ერთადერთ ნიჩაბს.

* * *

განთიადზე ზღვამ ნავი ქვიშიან ნახევარკუნძულზე, პირდაპირ მეთევზეებთან გაიტანა. ბავშვებს მაგრად ეძინათ. გოგონას მიეხუტებინა თავისი დასველებული წიგნები. თეთრფეროვან ყმაწვილს მაგრად ჩაებღუჯა ხელში ხაპია...

თარგმნა **ტიტე ხინთიბიძემ.**

გიორგი ურუშაძე

# ჩვენ დაგიგრუნდით, მშობლიურო მიწავ!

„შოთა რუსთაველი“! — პირველი ქართული ტრაულერი. რამდენ სიხარულსა და აღტაცებას მოგვრის ამ საამაყო სახელის გაგონება ქართველ კაცს! „შოთა რუსთაველი!“ განუწყვეტლივ წკრიალებდა ჩემს გონებაში იდუმალი ხმა. ოცნებაში წარმოვიდგენდი ამ გემის სიდიდეს, ფერს, ანძებს და ვნატრობდი მის ნახვას, მით უმეტეს, რომ მისი ეკიპაჟის წევრი გახლდით. მახარებდა მოგზაურობაც შორეულ მხარეებში, ვნახავდი ჯერ ჩემთვის უხილავ და უცხო ნაპირებს, მონაწილეობას მივიღებდი ეკიპაჟის დავალებათა შესრულებაში.

მახარებდა და მაღელვებდა კიდევაც.

ხმები მოგვდიოდა — „შოთა რუსთაველი“ უკვე ჩამოდგა კალინინგრადის ნავსადგურში, ყოველდღე მოსალოდნელია ეკიპაჟის გამოძახება და მზად იყავითო.

დადგა სანატრელი დღეც. 1963 წლის მარტის მიწურულს ჩვენ ვავემგზავრეთ. შორი გზა ფუსფუსით გავლილეთ... აი, კალინინგრადის არხიც. აქ ამაყად აღმართულა „შოთა რუსთაველი“. ქათქათა და რძისფერ ანძებიანი, იგი ერთობ მომხიბვლელი გვეჩვენა. ეკიპაჟის ყველა წევრი ჩქარობდა გემის კიბეზე ფეხის შედგმას, იმ სიმდიდრის ახლოდან ხილვას, რაც „შოთა რუსთაველის“ საკუთრებად აქციეს ოქროსხელიანმა ოსტატებმა. გემი ხომ უკვე ჩვენს განკარგულებაშია და მის ყოველ

დეტალს. ჩვენი თითები შეეხება. და მერე რამდენჯერ! ჩვენ დავძრავთ მას ზღვებსა და ოკეანეებში, დარსა და ქარიშხლიან დღეებში. მაშ, რად ვჩქარობთ? რად ვიჩენთ მოუთმენლობას? მართალი უთქვამთ, კაცის გული და თვალი ყოველ ახალს მოზღვავებული გრძნობით ეხარბებაო. ჩვენც ასე... და მიედინება მეზღვაურთა ძლიერი ნაკადი გემის შუაგულისაკენ. თითქოს ვეება კლდეს ჩანჩქერი ჩამოკიდებია, არ ვაცლით ერთმანეთს კიბეზე ასვლას.

გემზე შემოგვხვდნენ კაპიტან-დირექტორი აბესალომ ზენაიშვილი — ზღვის შტორმებსა და ქარიშხლებში გამობრძმედილი ვაჟკაცი, ინჟინერი ვალერიან დონაძე, კონოოპერატორი ალექსანდრე აჯიბეგაშვილი და ბევრი სხვა. რა გულთბილი იყო ეს შეხვედრა! გემი სახელდახელოდ დავათვალიერეთ. იგი აშენებულია თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გამოყენებით.

„შოთა რუსთაველი“ განკუთვნილია ტროპიკულ ზონაში საცურავად. მასზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, მოვიტან რამდენიმე ციფრობრივ მონაცემს: გემის სიგრძე შეადგენს 79-80, ხოლო განი — 13-20 მეტრს, წყალწყვა — 20.950 ტონას და საათში შეუძლია განავითაროს 12 მილი. თვითეული კაიუტა გათვალისწინებულია ორი კაცისათვის, ხოლო ეკიპაჟი შედგება ოთხმოცი მეზღვაურისაგან. კაიუტებში მოწყობილია ჰაერის კონდესატორი, დადგმულია რადიო, ელექტროსანი, მაგიდა და რბილი სკამები. დიდებული სანახავია თევზის დასაფქვავი და დასამუშავებელი საამქროები. გემის მაცივარი 450 ტონა ტვირთს იტევს.

ძალიან მოგვეწონა ჩვენი გემი, ხარბი თვალებით ვათვალიერებდით მას. თან დაგვყვებოდა კონოოპერატორი. სურათებს გვიღებდა. იგი რეისში მოგვყვებოდა დოკუმენტური ფილმის შესაქმნელად.

მეორე დღეს შევუდექით მზადებას შორეული რეისისათვის. გემს ვტვირთავდით თევზსაჭერი მოწყობილობით, საწვავით, პროდუქტებით და ა. შ. კაპიტან-დირექტორი გვაფრთხილებდა — ადრე წასვლა, ადრე დაბრუნებას ნიშნავსო, და ჩვენც მონდომებით ვმუშაობდით. 14 აპრილს ქართულმა გემმა „შოთა რუსთაველმა“ ომახიანი გადაძახილით ქალაქს აუწყა შორეულ რეისში გამგზავრება. მას სხვა გემებიც გამოეხმაურნენ. ნაპირზე აუარებელი გამცილებელი მოვიდა. მოვიდნენ და მოგვიტანეს ვარდ-ყვავილების თაიგულები, გვისურვეს წარმატებები თევზჭერაში და შინ მშვიდობით დაბრუნება. გვიღებდნენ სურათებს.

გემი დაიძრა. აფრიალდნენ ცხვირსახოცები, ვინ ხელს გვიქნევდა. ჩვენც გემბანიდან მხურვალედ ვემშვიდობებოდით ქალაქის მცხოვრებლებს, მეზღვაურებს.

ექვსი თვე შორეულ რეისში უნდა დაგვეყო. ექვსი თვის განმავლობაში ველარ ვნახავდით უსაყვარლეს მშობლიურ ნაპირებს, ნაცნობებს, მეგობრებს, ოჯახის წევრებს. მელანდებოდა ჩემი პატარა, წამოსვლისას ფუნჩულა ხელები რომ დავუკოცნე და გულში ჩავიკარი. აი, თითქოს ისიც მანდილს მირხევს და ბავშვური აღტაცებით მომძახის: „მამი, ჩქარა დაგვიბრუნდი, უშენობა გაგვიჭირდებაო“. ამ ოცნებაში ჩაფლულს, გული ამიჩუყდა, თვალზე ცრემლი მომერია. რატომღაც შემრცხვა და სახე ცხვირსახოცში ჩავმალე. ცოტა ხნის შემდეგ მიმოვიხედე, ვინმემ ხომ არ შემნიშნა-მეთქი. მეგობრების გაკილვას ვერიდებოდი. თურმე გულჩვილობას სხვებიც დაეძლია. მათ თვალზეც შევნიშნე კურცხალი და დავმშვიდდი.

„შოთა რუსთაველი“ კი ნელნელა მიცურავდა და თანდათან შორდებოდა ნაპირს... ენაზე მომადგა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის მარად ცოცხალი სტრიქონები: „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა, სადაურსა სად წაიყვან“... ვიმეორებდი ამ სტრიქონებს სიამაყით და დარდიანად. მერე ეს სტრიქონები სევდიან სიმღერად აღმოვთქვი. ქართველი მეგობრებიც ამყვნენ... ენა მებორძიკებოდა, როცა ვამბობდი: „სად აღუფხვრი სადით ძირსა“. არა, ჩვენ კვლავაც დავუბრუნდებით მშობლიურ მადლიან მიწას და მოწყურებული დავეწაფებით მის ცივციველა წყაროებს. დავბრუნდებით პირველივე ვალმოხდილნი სამშობლოს წინაშე. ჩვენ ეს გვწამს, ჩვენ ეს გვჯერა.

...და მიიწევდა წინ „შოთა რუსთაველი“, თითქოს რუსთაველის ნაკვალევის საპოვნელად.

ახალ შეხვედრამდე, ძვირფასო მეგობრებო!

ნახვამდის, მშობლიურო მიწავ!

ღამით ბალტიისკი გავიარეთ. დილით უკიდეგანო ზღვაში ამოვყავით თავი. არც ხმელეთი ჩანს, არც ფრინველი ჭაჭანებს სადმე. ნისლი, მხოლოდ ნისლი. ზღვა საფარში ჩამალულა. გზა და გზა გვხვდებიან გემები.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო...
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები“.

ასე ნებიერად ვიხსენებთ ჩვენი ერის ბულბულის აკაკის სტრიქონებს „განთიადიდან“ და ვღიღინებთ ქართველი ბიჭები.

ყველას გვაინტერესებს კილის არხის ხილვა. მისი გაჭრა 1880 წელს დაიწყეს, ხოლო 1909-1914 წლებში გააღრმავეს და ახლა მის ფართო კალაპოტში თავისუფლად დადიან დიდი და პატარა გემები. არხის სიგრძე ოთხმოცდათვრამეტი კილომეტრია. მას სერავენ ხიდები, რომელთა რაოდენობა სამოცდაათს აღწევს. არხს ჩვენ ჩრდილოეთიდან ჩავუარეთ. საათის ისრები ერთი საათით უკან გადავწიეთ. 16 აპრილს გავიარეთ დანიისა და შვეციის

არხები. საკმაოდ ცივა. ვინ იცის, რამდენი ლამაზი ევროპული ნავსადგური ჩამოვიტოვეთ უკან. ადრე გაზაფხულის მიუხედავად, შენობები მწვანეში ჩაფლულან.

ვუახლოვდებით კოპენჰაგენს. აქ უკვე ყინული შეთხელდა. ნისლიც გაიფანტა. საამოდ გამოიყურებიან ზღვაზე გადმომდგარი შენობები. მომრავლდნენ თოლიებიც.

17 აპრილი. მივცურავთ გაშლილ ზღვაში. ვუახლოვდებით ინგლისის სანაპიროებს. სულს გვიფფრიალებს ნისლი, ამ სანაპიროების ხშირი სტუმარი. სვლა გვიძნელდება. ტალღებიც ყალყზე შემდგარან. გემი საგრძნობლად ინჯღრევა. ალაგ-ალაგ ნისლი თხელდება და ხანდახან მზეც გამოაჭიტებს ხოლმე.

18 აპრილს ჩავუარეთ ჰაგის ნავსადგურს, მაგრამ თვალი ვერაფერს ვკიდეთ, რადგან ბურუსი იდგა.

დაღამდა. ძალიან ბევრია შემხვდური და თანამგზავრი გემი, გაჩირაღდნებული ლამპიონებით რომ მიიკვლევენ გზას. ამდენი გემი ერთად!

19 აპრილი. ზღვა კრიალებს, მაგრამ წყნარი როდია. გემს აკვანივით არწევს. დღეს დილით გადავსერეთ გრინვიჩის მერიდიანი. იგი, როგორც ცნობილია, დედამიწას ჰყოფს აღმოსავლეთ-დასავლეთად. საათის ისრები კიდევ ერთი საათით უკან გადავწიეთ. ახლა თბილისის დროს ოთხი საათით ჩამოვრჩით.

მზე აცხუნებს.

ლამანშამდე მშვიდობიანად ჩავედით. ღამით ზღვა [illegible] და მერე როგორ! გემი ძლიერ ირყეოდა, ბოცმანს გადასცეს კაპიტნის განკარგულება, ყველაფერი მოესინჯა, დაემაგრებინა, რათა შტორმებს მზად დავხვედროდით. წამოვდექი. რამდენიმე მატროსიც ამყვა. ჩვენი საქმე რომ მოვათავეთ, კვლავ დავუბრუნდით კაიუტებს. გვწყუროდა ძილი, ვთვლემდით, მაგრამ რა დაგვაძინებდა! საწოლში ვეღარ გავძელით, ერთმანეთი მოვინახულეთ. თითქმის ყველა გაეღვიძებინა ღელვას. გამოცდილი მეზღვაური გვაღიზიანებდა: ჯერ სადა ხართ, ჯეელებო, წინ დიდი გამოცდა გელით, თან გვამშვიდებდა, გამაგრდით, კაცი რას არ აიტანს, უარეს შტორმებში მოვხვედრილვარ, მაგრამ ხომ ხედავთ, ზღვის სტიქიამ ვერაფერი დამაკლო. მართლაც, ღელვა ხუთ-ექვს ბალს თუ აღწევდა, ხვალ, ზეგ კი მოსალოდნელი იყო უფრო მეტი და საშინელი ღელვა. დილით ტალღა ნაფოტივით ათამაშებდა გემს. მესამე სართულზე, ჩემი კაიუტის ილუმინატორს ტალღა რეცხავდა. პირქარი მედგარ წინააღმდეგობას გვიწევდა. საათში, ალბათ, ორ მილს თუ გავდიოდით.

ეს ბისკაის ყურეა. იგი ცნობილია შტორმების სიავით და გემების სასაფლაოს ეძახიან. ფიქრებმა ამიტანა.... ხომ შეიძლება... და დაუმთავრებლად წყდება აზრი გონებაში. ნაშუადღევს ღელ-

ვამ საგრძნობლად იმატა, რვა ბალს მიაღწია. ქარი წამში ოცდახუთი მეტრი სიჩქარით ქრის. ისე დაღამდა, ზღვა ოდნავაც არ დამშვიდებულა. გამთენიისას ღელვამ ცხრა ბალს გადააჭარბა, ქარი კი თორმეტი ბალის სიჩქარით ქრის. გემს მძლავრად ეჯახება ტალღები. ჭვინტი ტალღებში ერჭობა, მერე ნელ-ნელა დააღწევს თავს, გასწორდება და დაყინებით მიიწევს წინ. კაპიტანმა განკარგულება გასცა, გემის ცხვირზე არავინ გასულიყო. მატროსები მთვრალებივით ბარბაცებდნენ. სამზარეულოში რომ შევედი, გავოცდი: იღვრება კერძები, დაცურავს ჯამ-ჭურჭელი. ასეთ დროს განა შეგერგება პურის ჭამა?! და უკანვე გამოვბრუნდი.

სელა თითქმის შეჩერდა. კურსი ვიცვალეთ. გამოცდილმა კაპიტანმა, გვერდით დარტყმებს რომ ავცდენოდით, გემი ტალღების წინააღმდეგ ოკეანის სიღრმისაკენ შეაცურა. მეორე დღესაც ოკეანის სიღრმეში მივცურავდით. საღამოს შემოვბრუნდით გიბრალტარისაკენ. დილით ღელვამ იკლო. შუადღისას საგრძნობლად მიწყნარდა ზღვა. გემის ეკიპაჟი გამხიარულდა. მალე გიბრალტარში შევედით. წინ კიდევ რამდენი სანახაობაა!

25 აპრილის დილაა. ჩვენ უკვე გიბრალტარში ვართ. ეს ულამაზესი ქალაქი-ნავსადგური გაშენებულია პირინეის ნახევარკუნძულის სამხრეთში, მთის ძირას, მაგრამ მთის კალთებზეც გაჭრილა. გიბრალტარი აფრიკას ოცდაათი კილომეტრით შორავს. მისი ფართობი ექვსი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა ოცდახუთი ათასს (1954 [illegible] აღწერით) აღწევს. იგი მსხვილი სავაჭრო ცენტრი და სამხედრო ბაზაა, რომელსაც ინგლისისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, კონტროლს უწევს რა გემების მიმოსვლას ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაში. აქ საშუალება მოგვეცა მოგვენახულებინა ქალაქი. გადავიღეთ სურათებიც.

ღამე გზა განვაგრძეთ.

უკვე ცხელა. მგზავრობაში განვიცადეთ ზამთრის სუსხიც და ზაფხულის პაპანაქებაც. რაც წინ მივდივართ, პაპანაქება უფრო და უფრო მატულობს. მატროსები მოკლესახელოიანი მაისურებით, პანამის ქუდებით ფაციფუცობენ. ზღვა დუღს.

ვემზადებით სამაისოდ. ეს დღეც დადგა. დილის რვა საათზე ეკიპაჟი ორ მწკრივად დაეწყო. საპირველმაისო სიტყვა წარმოთქვა კაპიტან-დირექტორმა აბესალომ ჭენაიშვილმა... სადილზე ღვინოც მოგვართვეს. ვილოცებოდით, ვმღეროდით, ვცეკვავდით, „შოთა რუსთაველი“ კი გზას განაგრძობდა. უკან მოვიტოვეთ კანარის კუნძულები, სენ-ლუი, მწვანე კონცხის კუნძულები...

ჩვენს ეკიპაჟს დაკისრებული ჰქონდა კვლევითი სამუშაოების ჩატარებაც. ამ მიზნით გზა და გზა ვუშვებდით ტრალს, ვეუფლებოდით თევზის ჭერის ოსტატობას, ვიკვლევდით თევზის

ახალ რაიონებს. უნადავლოდაც არ ვრჩებოდით. საღამოს დაკარს ჩავუარეთ. სიცხემ უფრო იმატა, კაიუტებში კი გრილა. ვუახლოვდებით ეკვატორს. საზღვაო ტრადიციის მიხედვით, ეკვატორის გადალახვა საზეიმო ვითარებაში ხდება. ჩვენც მოვემზადეთ. 8 მაისს 12 საათზე გემის საყვირის ხმა გაისმა. ეს ნიშნავდა დედამიწის სარტყლის გადალახვას. საყვირის ხმას გულშემზარავი ჭყივილი, დაფდაფის ხმა დაერთო. ზღვიდან ამოვიდა ოკეანეებისა და ზღვების მბრძანებელი ნეპტუნი. მას ხელში სამთითა უკავია. მოყვებიან ექიმი, პარიკმახერი, მთავარი ეშმაკი და რამდენიმე მხლებელი ეშმაკი. ჩაცმულობა ველურისას ჰგავს. ნეპტუნი გემბანის შუაში დადგა ოთხთვალაზე და კაპიტანი გამოიძახა. კაპიტანმა მოახსენა, რომ „შოთა რუსთაველი“ მიდის თევზის საჭერად და კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. ნეპტუნმა სია წაიკითხა და ბრძანა, ვინც პირველად გადალახა დედამიწის სარტყელი, უნდა განიბანოსო. ეშმაკები ჭყივილ-კივილით მიცვივდნენ ახალბედებს და სათითოოდ აბანავეს ყველანი. რა თქმა უნდა, ეს არც მე ამცდა და კარგადაც მანჯღრიეს ოკეანის წყალში. შემდეგ ყველა განბანილს ღვინო დაგვალევინეს და დაგვირიგეს დიპლომები. მეორე დღეს ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღვნიშნეთ. ეს ყველაფერი რეწვის ადგილისაკენ შეუჩერებელი სვლის ვითარებაში კეთდებოდა.

16 მაისს ჩავედით სამხრეთ აფრიკის რაიონში. მაშინვე, როგორც იტყვიან, წყალს მოვეკიდეთ პირი. ტრალს ბევრი თევზი ამოყვა. საქმე კარგად დაიწყო. დაიწყო მძიმე, მაგრამ საპატიო, შრომა. ყველა თავდადებით მუშაობდა. როცა ტრალს ოცი-ოცღახუთი ტონა თევზი ამოყვება, ეს უფლებას ართმევს კოკსაც და აკუსტიკოსსაც, რადისტსაც და კინოოპერატორსაც თავისი „სპეციალური“ საქმე განაგრძონ. კაპიტანიც ტოვებს ხიდურს და თევზის დამხარისხებელ საამქროებში შრომის მაგალითს იძლევა. წარამარა ტრიალებენ მეზღვაურები. მანქანების გუგუნში საამოდ გაისმის ომახიანი სიმღერა.

ვადაზე რამდენიმე დღით ადრე ავიღეთ პირველი ტვირთი და პორტ უოლფიშ-ბეის ახლოს დავდექით ბაზის მოლოდინში. მალე ტვირთი დიზელელექტრომავალ „სევასტოპოლს“ ჩავაბარეთ, იქიდან კი გადმოვიტანეთ ბათუმიდან გამოგზავნილი სურსათი, ქართული ღვინო. ბევრ ბოთლს ნაცნობ-ამხანაგების წარწერა ჰქონდა. ძალიან გაგვახარეს მეგობრებმა, რომ არ დაგვივიწყეს შორეულ მხარეში გაჭრილები.

უოლფიშ-ბეი გერმანიის ყოფილი კოლონიაა. ნაციონალური ლიგის მანდატით იგი ეკუთვნის სამხრეთ აფრიკის კავშირს. მისი ფართობია 823 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა უდრის 458 ათასს (1955 წლის აღწერით), აქედან ევროპელია

მხოლოდ ოცდათერთმეტი ათასი. სტეპიანი და ხრიოკიანი ლანდშაფტის გამო მოსახლეობა ეწევა მოხეტიალე ცხოვრებას. უოლფიშბეი მდიდარია იშვიათი ლითონებით, განსაკუთრებით სპილენძით. ჩვენ რომ პორტში შევედით, ზანგები სწორედ მაშინ სპილენძით ტვირთავდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გემს.

„თეთრები“ ბატონებენ ზანგთა მიწა-წყალზე. ზანგები უმწეოდ ცხოვრობენ. საღამოს შვიდი საათის შემდეგ მათ უფლებაც კი არა აქვთ ქალაქში გაისეირნონ. როცა გაიგეს ჩვენ საბჭოთა ქვეყნიდან ვიყავით, ზანგები შემოგვეხვივნენ. ჩვენთან მოვიდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი. გვიღიმოდნენ, გვეალერსებოდნენ.

ისევ სარეწ რაიონისაკენ მივემგზავრებით. მატროსები თანდათან დახელოვნდნენ თევზის ჭერაში, აითვისეს ახალი ტექნიკა, რომელიც მათ განკარგულებაში იყო. ზღვა უხვად გვიმასპინძლდებოდა თევზით. 18 ივლისს სარეისო დავალება გადაჭარბებით შევასრულეთ—ცამეტი ათასი ტონა თევზი და თევზის ფქვილი დავამუშავეთ.

გეგმის გადაჭარბებით ვიკისრეთ ოთხი ათასი ცენტნერი თევზის დაჭერა. მოხალისე თევზმჭერ ბრიგადებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ვიბრძოდით პირველობისათვის. კაპიტანი ყოველდღე გვაცნობდა თვითეული ბრიგადის წარმატებას, გვაქებდა და გვაქეზებდა მოწინავეებს. 2 აგვისტოს წარმატებით გავანაღდეთ ნაკისრი ვალდებულებაც. კაპიტან-დირექტორმა ეკიპაჟს საჯაროდ მიულოცა გამარჯვება და გვაუწყა, დადგა სამშობლოში დაბრუნების ჟამი.

ჩვენი დიადი ქვეყნის რომელი კუთხიდან არ იყვნენ ჩვენს კოლექტივში: ჭიათურელი ჭიჭიკო კაპანაძე, სუხუმელები ვალერიან აქუბარდია და ოთარ ნადარეიშვილი, ფოთელი გურამ ცისკარავა, კალინინგრადელი ანატოლი დიმიტრიევი, ქერჩელი ივანე ჩიკუნოვი, ბათუმის თევზკომბინატის წარგზავნილები დუხუნა ბაღდავაძე, გრიგოლ აკოპიანი, მიხეილ დიმიტრიევი, ევგენი ალიხანოვი, ნუგზარ ჯორბენაძე, ნოდარ ძნელაძე, თბილისელი შოთა მარუაშვილი, კინოოპერატორი ალექსანდრე აჯიბეგაშვილი და ბევრი სხვა. ყველას როგორ ჩამოთვლი!

ჩვენი წარმატება მოპოვებული იყო მთელი კოლექტივის თავდადებული შრომით. თვითეულმა ჩვენგანმა ვიცოდით, რომ ვასრულებდით საყვარელი სამშობლოს დავალებას, რომ დაბრუნებისთანავე ჩვენი მშობლიური ხალხი მოგვთხოვდა ანგარიშს რა გავაკეთეთ.

თავი არ შეგვირცხვენია და პირნათლად ვბრუნდებით სამშობლოში.

25 აგვისტო ხმელთაშუა ზღვაში გავითენეთ. უკან ვიტოვებთ ალჟირს, ტუნისს, ბიზერტას, პალერმოს ნავსადგურს. გამოჩნდა კუნძული საგანძური. აქ არის მთა, რომელიც ამერიკელ ფერმერს ეკუთვნის და სადაც თვითმფრინავებით მიდიან. მთა ღამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლავრად ელავს ამოფრქვეული ლავით. ჩვენს გზაზე დიდხანს მოჩანდნენ საბერძნეთის მთები, მთა-პირამიდები. უკან მოვიტოვეთ პელოპონესისა და ლაკონიის კუნძულები...

31 აგვისტოს დავუახლოვდით დარდანელს. იგი აერთებს ეგეოსისა და მარმარილოს, ხმელთაშუა და შავ ზღვებს. სამოცდახუთი კილომეტრია მისი სიგრძე, ხოლო განი 1,3-დან 7,5 კილომეტრამდე აღწევს. როგორც ცნობილია, დარდანელს დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

პირველი სექტემბრის დილამ სტამბოლში მოგვისწრო. თურქეთის ამ ლამაზ ქალაქში მოჩანს ცათამბჯენები, თერთმეტ-თორმეტ სართულიანი სახლები. მივუახლოვდით სულთნის ურჩი ცოლების საპატიმროს, ზღვაში რომ აუგია ოტომანთა იმპერიის მბრძანებელს. მოჩანს ჯერ კიდევ ნირშეუცვლელი ძველისძველი ციხეები, რომელთა რიცხვი უამრავია.

ბოსფორის გავლის შემდეგ „შოთა რუსთაველმა“ კურსი აიღო მშობლიური ნავსადგურისაკენ... სახელდახელოდ თავი შეგვიყარეს. კაპიტანმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა. მადლობა გადაგვიხადა შრომითი მამაცობისათვის, დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის და, ბოლოს, დასძინა: — მეგობრებო, ჩვენ უკვე მშობლიურ ზღვაში მივცურავთ. მალე მივაშურებთ ჩვენს საყვარელ ნაპირებს. მოგილოცავთ შინ მშვიდობით დაბრუნებას!

მეზღვაურებს ღიმილის შუქი დასდებიათ.

მღერიან, ცეკვავენ, ერთობიან.

2 სექტემბერი. კიდევ ერთი ფურცელი მოაკლდება კალენდარს და ჩვენ მშობლიურ ქალაქში აღმოვჩნდებით. ეკიპაჟი ფაციფუცშია: აუთოებენ ტანსაცმელს, იპარსავენ წვერს, ალაგებენ საჩუქრებს....

ხუთი თვე თითქოს არც ისე ღიდი დროა, მაგრამ ვისაც შორს უმოგზაურია, მან იცის, რა არის თუნდაც მცირე ხნით მოშორდე სამშობლოს. ღამით თვალი არავის მოუხუჭავს. ყველა სიხარულმა აიტანა. დილით გამოჩნდა მთები, ჩვენი გონიოს მთები, მარად ტკბილი მამულის მიწა.

დინჯად მიიწევს წინ „შოთა რუსთაველი“, უკრავს მუსიკა.

აი, გამოჩნდა ჩვენი მშობლიური ქალაქი, ჩვენი ბათუმიც.

ჩვენ კვლავ დაგიბრუნდით, მშობლიურო მიწავ! დიდება შენ!

# იმ მღელვარე დღეებში...

1941 წლის გაზაფხულზე აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხახვრძლივი საგასტროლო ტურნე დაიწყო. გარდა საქართველოს რაიონებისა, კონცერტები უნდა მოგვეწყო აზერბაიჯანში და სხვა მოძმე რესპუბლიკებში.

უკვე თბილისში ვმართავდით კონცერტს, როცა ომი გამოცხადდა. მაშინვე უკან, ბათუმში დავბრუნდით. ბევრი ჩვენი მსახიობი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. ანსამბლი დაიშალა.

დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, აჭარის ხელოვნების სამმართველოს დავალებით, შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის მინიატურული საესტრადო ანსამბლი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ა. ჯიჯიეშვილი (ხელმძღვანელი), ე. ხაბაძე, ტ. მიქელაძე, გ. ჩიხლაძე, ლ. ლუკაშვილი, ნ. დოლიძე (მოცეკვავეები), ნ. სანადირაძე, ა. შალაძე (მომღერლები), ე. დერვიჩი, ა. ქუთათელაძე, ტ. სტეპანიანი, ა. ბოლქვაძე, ლ. მაკალათია, ჟ. რეზელიანი, კ. კამაიჯიანი, ზ. ბაგიროვი და სხვანი, სულ 22 კაცი. ბევრმა მათვანმა სწორედ ამ ანსამბლში დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა.

გულდასმით შემუშავდა მრავალფეროვანი საესტრადო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს, ქართულ ხალხურ სიმღერებს და ცეკვებს, მხატვრულ კითხვას. პროგრამა მკვეთრად გამოხატავდა საბჭოთა ზურგისა და ფრონტის გმირულ მონოლითურ სულისკვეთებას, რწმენას მტერზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

პირველი კონცერტი გავმართეთ ბათუმში. კონცერტს დიდი მოწონება ხვდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოცეკვავეთა ჯგუფი ა. ჯიჯიეშვილის, ე. ხაბაძის, ტ. მიქელაძის, გ. ჩიხლაძის, ფარიკ კიშლიოღლის შემადგენლობით.

1942 წელს ანსამბლი საშეფო კონცერტებს მართავდა ბათუმის საგარნიზონო ნაწილებში, მოგზაურობდა აჭარის რაიონებში: გამოსვლები მოგვიხდა ისეთ მაღალმთიან სოფლებში, სადაც მანამდე არც ერთ მსახიობს ფეხი არ დაედგა. დიდ დახმარებას გვიწევდნენ პარტიის რაიკომები, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები. გვწამდა, რომ ჩვენი საქმიანობით ხელს ვუწყობდით საყვარელ დედა-სამშობლოს მტრის განადგურებაში და არავითარ სიძნელეებს არ ვუშინდებოდით.

### ჩვენ დაჭრილებთან ვართ...

1942 წელს ბათუმის სასტუმრო „ინტურისტი“ ჰოსპიტლად გადაიქცეოს. აქ პირდაპირ ფრონტიდან მოჰყავდათ დაჭრილი მეომრები. ჩვენი ქალაქის მშრომელები ჰოსპიტლის ხშირი სტუმრები იყვნენ. დაჭრილებთან მიჰქონდათ ყვავილები, თამბაქო, ხილი, სურსათი. ბევრი მათ შორის ეძებდა თავის ახლობელს — მამას, ძმას, დას, მეუღლეს.

ჩვენი ანსამბლი დაჭრილებისათვის კონცერტებს ჰოსპიტალში მართავდა. ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ მეომრებს სწყუროდათ გართობა-დასვენება, მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, რომ დროებით მაინც დაევიწყათ ტკივილები, ომის მთელი საშინელება. დაჭრილ მეომრებს განსაკუთრებით მოსწონდათ ქართული ცეკვები „ფერხული“, „ქართული“ და სხვ. უნდა გენახათ, როგორი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ისინი ყოველ ჩვენ-ცერტო ნომერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგონდება ასეთი შემთხვევა. ჩემს რეპერტუარში ბევრ სხვა სიმღერასთან ერთად იყო კომპოზიტორ ბლანტერის „მიწურში“. აი, მე ვასრულებ ამ სიმღერას. მასში ისეთი სიტყვებია, ისეთი სითბო და სინაზე, რომ ძალაუნებურად თვალზე ცრემლი მოგადგებათ. დავამთავრე თუ არა სიმღერა, დარბაზში ნამდვილი ოვაცია გაიმართა. ზოგი ყავარჯენს ურტყამდა იატაკს, ზოგი კიდევ ფეხს უბაკუნებდა, რადგან ხელი არ ჰქონდა და ტაშს ვერ დაუკრავდა. მსახიობებს სევდა გვაწვებოდა გულზე, თანაც გვიხაროდა, რომ ჩვენ, ხელოვნების მუშაკებს, შეგვეძლო, თუნდაც რამდენიმე წუთით, გვესიამოვნებინა მათთვის და გაგვემტკიცებინა მათში სიცოცხლისა და ბრძოლის სურვილი. და ეს ხომ ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო!

ასეთივე ჰოსპიტალი იყო ქობულეთშიც. იქ კონცერტებს დარბაზში ვმართავდით, ხოლო ვისაც სიარული არ შეეძლო, მათ პალატებში ვაკითხავდით. აკორდეონის თანხლებით ვმღეროდით, ვასრულებდით დუეტებს. გამოდიოდა მეჩონგურეთა სამეულიც.

### „გატაცებული პიანინო“

ჩვენ ხშირი სტუმრები ვიყავით შავი ზღვის ფლოტის იმ სამხედრო გემებისა, რომლებიც 1942 წელს ბათუმის პორტში შემოდიოდნენ. თითქმის ყოველდღე ორი-სამი და მეტი კონცერტის ჩატარება გვიხდებოდა.

ერთხელ კონცერტის გამართვა დაგვევალა საესკადრო ნაღმოსანზე „ხარკოვი“, რომლის კაპიტანი ტ. შევჩენკო იყო. ჩვენ დანიშნულ დროს ადგილზე ვიყავით. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო გამოგვაკლდა აკორდეონისტი, რომლის შეცვლა არც ერთ ჩვენგანს არ შეეძლო. რაღაც უნდა გვეღონა. მაგრამ რა?! მალე გამოსავალი ვიპოვეთ... და სახელმწიფო ცირკის პიანინო გემბანზე ავიტანეთ. კონცერტი თითქმის საათნახევარს გაგრძელდა. მეორე დღეს, როცა „ხარკოვს“ ჩვენი პიანინოსათვის მივაკითხეთ, იგი ნავსადგურში აღარ დაგვხვდა. გვიამბეს, რომ ჩვენი წამოსვლისთანავე გემის ეკიპაჟს ბრძანება მიუღია და ზღვაში გასულა. ორმოცი დღის განმავლობაში ასრულებდა გემი საბრძოლო დავალებას. და ორმოც დღეს სახელმწიფო ცირკის პიანინო მოგზაურობდა შავ ზღვაში. ნაღმოსანმა „ხარკოვი“ პირნათლად შეასრულა დავალება და კვლავ დაუბრუნდა ბათუმის პორტს. გავიგეთ თუ არა ეს, მაშინვე პიანინო მოვიკითხეთ. ნაომარი ნაღმოსნის ეკიპაჟმა კვლავ კონცერტის გამართვა გვთხოვა. ჩვენც აღვუსრულეთ სურვილი... შემდეგ კაპიტანი ტ. შევჩენკო მღელვარედ გვიამბობდა ეკიპაჟის საბრძოლო „გასტროლებზე“ და, ბოლოს, ღიმილით დასძინა: „პიანინოს არაერთხელ ჰქონია შემთხვევა წყალქვეშა სამეფოში საგასტროლოდ გამგზავრებულიყო. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. უვნებელს გაბარებთ მას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უარს როგორ ვეტყოდით**

1942 წელს, დიდი ოქტომბრის რევოლუციის საზეიმო დღეებში, ჩვენს ანსამბლს სხვადასხვა სამხედრო გემზე უნდა გაემართა სამი კონცერტი. დილის ათ საათზე ჩვენ უკვე ნაპირს მივადექით. თხუთმეტი წუთის შემდეგ სამხედრო კატარღამ გადაგვსხა „ლვოვზე“.

ჩვენს კონცერტს წარმატება ხვდა. გადავინაცვლეთ კრეისერზე „კრასნი კავკაზი“. გულთბილი საუბარი გვქონდა ჩვენს თანამემამულე მ. ჯინჭარაძესთან, კრეისერის კაპიტნის მთავარ თანაშემწესთან. უნდა ითქვას, რომ დაუფარავი სიხარულით ელოდა ქართველი მსახიობების გამოსვლას კრეისერის მთელი შემადგენლობა. ჩვენც არანაკლებ ვღელავდით და ვემზადებოდით. კონცერტმა აქაც დიდ საზეიმო განწყობილებაში ჩაიარა. კაპიტნის მთავარმა თანაშემწემ, კრეისერის მებრძოლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის სახელით, მადლობა გადაგვიხადა და შემოქმედებითი წარმატება გვისურვა. შემდეგ მიგვიწვიეს სადღესასწაულო მაგიდაზე. იმ საზეიმო დღეებში შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებს ქართველი კოლმეურნეებისაგან საჩუქრად მიეღოთ ხილი, საუკეთესო ღვინო, კონიაკი, ჩურჩხელები, ყურძენი და ბევრი სხვა პროდუქტი. წარმოითქვა სადღეგრძე-

ლოები ხალხთა მეგობრობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის, ჩვენი დიადი საბჭოთა არმიისა და ფლოტის სადიდებლად.

როდესაც სარეისო გემზე „სევასტოპოლი“ წასასვლელად მოვემზადეთ, მ. ჯინჭარაძემ გვთხოვა „სევასტოპოლზე“ კონცერტის გამართვის შემდეგ მათთან დამატებითი კონცერტი ჩაგვეტარებინა. ეს, როგორც იტყვიან, ზეგეგმითი კონცერტი იყო. უარს როგორ ვეტყოდით. მაგრამ ამ კონცერტის ჩატარება უფრო იოლ ფორმებში მოგვიხდა — მხოლოდ ოფიცერთა შემადგენლობისათვის. კონცერტის დროს ძნელი იყო გაგერჩიათ მასპინძელი და სტუმარი: ერთად ვცეკვავდით და ემღეროდით. გვიან ღამით გემი დაეტოვეთ, მაგრამ ქალაქში უსაშვებოდ ვინ გაგვიშვებდა! ჩვენ კი არც ერთს არ ალმოგვაჩნდა იგი. მაშინ კრეისერის მეზღვაურებმა სათითოდ შინ მიგვაცილეს.

მუდამ მოსაგონრად დაგვრჩა ანსამბლის წევრებს ეს საზეიმო საოქტომბრო შეხვედრები საბჭოთა ფლოტის წარმომადგენლებთან.

### ჩაშლილი კონცერტი

ჩვენი ანსამბლი ქობულეთში მიიწვიეს შავი ზღვის ფლოტის მფრინავებთან. ანსამბლის შემადგენლობაში მოხდა ცვლილება, შემოგვიერთდნენ არმავირის სახელმწიფო თეატრის მსახიობი გ. ბელეცკარა და აკომპანიატორი რ. გოლდინა.

ჩვენს პირველ კონცერტს ესწრებოდა შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერთა შემადგენლობა. ბევრი ძალიან მოიწონეს და დაჟინებით მოითხოვეს ანსამბლს ერთი თვის მანძილზე კონცერტები გაემართა შავი ზღვის ფლოტის მფრინავებისათვის. თანხმობა მალე მივიღეთ პარტიის ადგილობრივი ორგანოებისა და აჭარის ხელოვნების სამმართველოსაგან. დაგვირიგეს მშრალი კერძები, გადმოგვცეს ბრეზენტით დახურული სატვირთო ავტომობილი და დავიწყეთ მოგზაურობა. თან გვახლდა შავი ზღვის ფლოტის სამმართველოს წარმომადგენელი ვ. ვერთანიანი.

ძნელია ჩამოთვალო ყველა სამხედრო ნაწილი, სადაც ჩვენ კონცერტები გავმართეთ, მაგრამ ერთი მათგანი არასოდეს დაგვავიწყდება.

სუხუმის მახლობლად აეროდრომზე გამოვდიოდით. სცენას წარმოადგენდა ორი სატვირთო ავტომობილი, რომელთა გადახსნილი ძარები ერთმანეთზე იყო მიდგმული. უცბად, საკონცერტო პროგრამის შესრულებისას, გამოცხადდა საჰაერო განგაში. რა თქმა უნდა, კონცერტი ჩაიშალა. მფრინავები ჰაერში აიშვნენ. მალე მტერი განიდევნა და ჩვენც ჩვენი საქმე განვაგრძეთ.

მეორე დღეს სუხუმში ვიყავით. ქალაქის ხელმძღვანელების თხოვნით, ერთი კონცერტი სუხუმელებისათვის გავმართეთ. მაყურებელი გულთბილად შეგვხვდა. რამდენიმე საკონცერტო ნომერი გან-

მეორებით შევასრულეთ. შემდეგ მიგვიწვია სუხუმის გარნიზონმა. ეს კონცერტიც რიგგარეშე იყო. აფიშები ერთი ღამის განმავლობაში დამზადდა. დილის თორმეტ საათზე სუხუმის საზაფხულო თეატრი მებრძოლებითა და ოფიცერთა შემადგენლობით აივსო. კონცერტს აქაც დიდი წარმატება ხვდა. იმავე საღამოს დამატებით ერთი კონცერტი კიდევ ჩავატარეთ სუხუმელებისათვის, ხოლო დილით ჩვენ უკვე გზაში ვიყავით გათვალისწინებული გრაფიკის მიხედვით.

ბათუმიდან გამოგზავრების წინ ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ანსამბლს გამოსვლა მოუხდებოდა საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ნაუმოვის ნაწილში, სადაც იმჟამად მსახურობდა საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი ე. რიჟოვი. ჩვენი კოლექტივი ამ კონცერტისათვის განსაკუთრებით მოემზადა. გოგონებს გმირის საჩუქრად აბრეშუმის ცხვირსახოცებზე ამოექარგათ მისი სახელისა და გვარის ინიციალები. მომზადდა დუეტი, მიძღვნილი კაპიტან ე. რიჟოვისადმი. ჩვენი გამოსვლა პოლკოვნიკ ნაუმოვის ნაწილში სწორედ ამ დუეტით დაიწყო. მაყურებელი მქუხარე ტაშით შეგვხვდა. სცენაზე ამოვიდა კაპიტანი ე. რიჟოვი და დამსწრეთა გუგუნში ყველა ჩვენგანი გადაკოცნა. მადლობა გადაგვიხადა ამ დიდი სიამოვნებისათვის. სცენიდან ჩავიდა თუ არა, მაყურებელმა იგი ხელში აიტაცა და ჰაერში ისროდა. მოულოდნელად გამოცხადდა საჰაერო განგაში. დარბაზი დაიცალა. ჩვენ მხოლოდ ორი საათის შემდეგ ვიხდა კონცერტის განგრძობა. როგორც შევიტყვეთ, თავს დაგვესხა გერმანელთა თვითმფრინავები. ამ ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა მტრის ორი თვითმფრინავი და დაზიანდა ერთი. ბრძოლას ხელმძღვანელობდა კაპიტანი ე. რიჟოვი.

და, აი, ყველანი კვლავ ადგილზე ვართ, მაგრამ არ ჩანს კაპიტანი ე. რიჟოვი. გაგვაფრთხილეს, მის მოსვლამდე კონცერტი არ დაგვეწყო. ცოტა ხნის შემდეგ დარბაზში ბანდით შეხვეული ხელით შემოვიდა ე. რიჟოვი. აღმოჩნდა, რომ მტრის ორი თვითმფრინავი პირადად მას ჩამოუგდია. იგი მსუბუქად იყო დაჭრილი. როცა კონცერტი დამთავრდა, ჩვენმა გოგონებმა მას აბრეშუმის ცხვირსახოცი გადასცეს. კვლავ ხვევნა, მადლობა. კონცერტის შემდეგ მიგვიპატიჟეს ვახშამზე. კაპიტანი ე. რიჟოვი გველაპარაკა თავის საბრძოლო გაფრენაზე. ამხანაგებმა ხუმრობით დააყვედრეს, წითელი ვარსკვლავის ორდენი არ დაგისველებიაო. მაშინ ჩვენმა სახელოვანმა გმირმა ორდენებით სავსე მკერდიდან მოიხსნა წითელი ვარსკვლავის ორდენი, ჩადო ჭიქაში, ააავსო არაყით და დასცალა. ამრიგად „დაასველა“ თავისი მეორე წითელი ვარსკვლავის ორდენი. მთელი საღამო მხიარულებაში გავატარეთ. დილით ისევ გზაში ვართ. მივდივართ ტუაფსეში. ისევ კონცერტები... და აქ დამთავრდა ჩვე-

ნი „სამხედრო-საგასტროლო“ მოგზაურობაც. დავბრუნდით ჩვენს მშობლიურ ბათუმში.

მცირე ხნის შესვენების შემდეგ კვლავ მოგზაურობა სამხედრო ნაწილებში, გემებზე, წყალქვეშა ნავზე „ნევა“, კრეისერზე „ვოროშილოვი“, სოფლებში, ქალაქებში, შემდეგ ბაქოში, ორჯონიკიძეში, მახაჩკალაში, დერბენდში. ასე გაგრძელდა ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე. ანსამბლმა ადგილობრივ მცხოვრებთათვის მოამზადა უ. ჰაჯიბეკოვის მუსიკალური კომედია „არშინ მალ-ალან“, რომლის დადგმა განახორციელა ბალაძემ. ეს სპექტაკლი იდგმებოდა 1944 წლის დასასრულამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის წლებში სანიმუშო მუშაობისათვის ანსამბლის წევრები ა. ჯიჯიეშვილი, ე. ხაბაძე, ა. შალაძე, ნ. სანადირაძე, ლ. ლუკაშვილი, ტ. მიქელაძე და სხვები დაჯილდოებულ იქნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ქების სიგელით და მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

**ა. შალაძე,**

აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი.

ფილიპე მახარაძე

# ოცნებიდან სინამდვილისაკენ

ადამიანები უხსოვარი დროიდან ოცნებობდნენ ისეთ საზოგადოებაზე, სადაც არ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, გაჭირვება და სიღატაკე, სადაც არ იქნებოდნენ არც მდიდრები და არც ღარიბები, სადაც ყველა იშრომებდა და ცხოვრება ყველასათვის საამური იქნებოდა.

დიდი მოაზროვნეები ადგენდნენ იდეალური საზოგადოების შექმნის გეგმებს, თავისებურად ხატავდნენ და ასაბუთებდნენ კომუნისტური საზოგადოების შესაძლო საწყისებს. ასეთი მოაზროვნენი იყვნენ სოციალ-უტოპისტები.

სკკპ XXII ყრილობაზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა: „უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლებმა მწვავედ გააკრიტიკეს ექსპლოატატორული წყობილება და მისი მანკიერებანი. ისინი ხატავდნენ მომავალი საზოგადოების სურათებს... ჩვენ მადლიერებით ვიგონებთ დიდ სოციალისტ-უტოპისტებს სენ-სიმონს, ფურიეს, ოუენს, კამპანელას, მორს, ჩვენს რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს ჩერნიშევსკის, გერცენს, ბელინსკის, დობროლუბოვს, რომლებიც სხვებზე ახლოს მივიდნენ მეცნიერულ სოციალიზმამდე“.

სოციალისტური აზრის ცისკარი ამობრწყინდა სადღაც ოკეანეში მდებარე კუნძულ „უტოპიაზე“, რომლის შესახებაც 1516 წელს მოგვითხრო ინგლისელმა ჰუმანისტმა თომას მორმა (1478-1535 წ.წ.) თავის სახელგანთქმულ წიგნში „ოქროს წიგნი ანუ უტოპია“ („უტოპია“, რომლის სახელითაც მორმა ბედნიერი კუნძული მონათლა, ბერძნულად ნიშნავს ადგილს, რომელიც არ არსებობს. ამ დროიდან „უტოპიას“ უწოდებენ ისეთ იდეალურ საზოგადოებრივ წყობილებას, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია). მორი „უტოპიაში“ გვიხატავს საზოგადოებას, სადაც ყველა სრულასაკოვანი ადამიანი, როგორც მამაკაცი, ისე ქალი, სასარგებლო ფიზიკურ შრომას ეწევა, გარდა იმ პირებისა, რომლებიც სამეცნიერო მუშაობას მისდევენ ან დროებით მმართველობის ორგანოში არიან არჩეული. უტოპიელებს მხოლოდ ექვსი საათი სამუშაო დღე აქვთ. თავისუფალ დროს ისინი იყენებენ მეცნიერებისა და ხელოვნების დაუფლებისათვის. რომ არ იყოს განსხვავება სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის პირობებს შორის, უტოპიელები პერიოდულად იცვლიან ადგილს: ქალაქის მუშაკები სოფლად მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიან სამუშაოდ და სოფლისა — ქალაქად.

თომას მორის ამ იდეალურ საზოგადოებაში არიან მონებიც, რომლებიც ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებენ, რაც ცხადია, უარყოფს ადამიანთა თანასწორუფლებიანობას, რასაც თომას მორი დამახასიათებლად თვლიდა უტოპიისათვის. სხვა უტოპისტების მსგავსად, მორსაც მიაჩნდა, რომ გადასვლა ახალ წყობილებაზე განხორციელდებოდა არა რევოლუციური, არამედ მშვიდობიანი გზით.

ბედნიერი „მზის სახელმწიფოს" ბრწყინვალე კონტურებს ხედავდა საპყრობილის საკნის რიკულებიანი ფანჯრიდან იტალიელი რევოლუციონერი და დიდი მოაზროვნე თომაზო კამპანელა (1563–1639 წ.წ.).

ამ პერიოდში იტალია ესპანეთის უღელქვეშ იმყოფებოდა. კამპანელა შეეცადა აემხედრებინა ხალხი უცხოელი მჩაგვრელების წინააღმდეგ. იგი ოცნებობდა მშობლიურ მთებსა და ველებზე შეექმნა ბედნიერების ქალაქი — „ქალაქი მზე". ამ მიზნით სათავეში ჩაუდგა ფარულ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა სამშობლოს განთავისუფლებას. ღალატის შედეგად ორგანიზაცია დაარბიეს, კამპანელა შეიპყრეს. იგი ოცდაშვიდი წლის განმავლობაში ჰყავდათ გამომწყვდეული ორმოცდაათ სხვადასხვა საპყრობილეში. მკაცრი პირობების მიუხედავად, მან მიაღწია წერის ნებართვას. ამის ნება იმიტომ დართეს, რომ სურდათ შეეტყოთ, რას ფიქრობდა მათი ტყვე. და აი კამპანელა 1602 წელს საპყრობილეში წერს განთქმულ ნაწარმოებს „მზის სახელმწიფო", რომელშიც უარყოფილია კერძო საკუთრება, საზოგადოების ყველა წევრი თანასწორია, ყველა შრომობს და კმაყოფილია. მათ უხდებათ დღეში ოთხი საათი მუშაობა. დანარჩენ დროს ისინი ანდომებენ საუბრებს, კითხვას, მეცნიერული ცოდნის შეძენას, სეირნობას, გართობას, სპორტს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერულ და ტექნიკურ გამოგონებებს.

დრო გადიოდა, ოცნება კელავ ცოცხლობდა, მოუწოდებდა ადამიანებს ებრძოლნათ ამ ოცნებისაკენ.

სამართლიანობის საწყისებზე აგებული მშვენიერი მთელი მსოფლიოს სურათის დახატვას შეეცადნენ XVIII-XIX საუკუნეთა ერთ-ერთი დიდი სოციალ-უტოპისტი, ფრანგი ხალხის გამოჩენილი შვილი სენ-სიმონი (1760–1825 წ.წ.) და მისი მიმდევრები. მსოფლიოს მომავალი მათ წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც მშრომელთა საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც შეიქმნება ზნეობრიობისა და ცოდნის პრინციპებზე. ივი გააერთიანებდა მშრომელებს და უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციას მსოფლიო მასშტაბით. ადამიანთა მდგომარეობას ამ ასოციაციაში „განსაზღვრავს საზოგადოება მათი დამსახურების მიხედვით და გასამრჯელოს მიიღებენ მათ მიერ შესრულებული საქმის მიხედვით..." სენ-სიმონი არ იყო კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგობათა რევოლუციური გზით გადაჭრის მომხრე.

ბურჟუაზიული სახელმწიფოების ბრწყინვალე კრიტიკა მოგვცა ავრეთვე ახალი საზოგადოებისათვის მგზნებარე მებრძოლმა, სენ-სიმონის გამოჩენილმა თანამემამულემ შარლ ფურიემ (1772–1837 წ.წ.). ის ხატავს მომავალი საზოგადოების წარმტაც პერსპექტივებს და სთხოვს მდიდარ ადამიანებს, დააფინანსონ მისი ორგანიზაცია, რომელიც ამ საზოგადოების აშენებისათვის იბრძოლებს. ფურიეს მიერ გაზეთებში გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ყოველ კაპიტალისტს, რომელიც გაიღებს სახსრებს მსოფლიოში უდიდესი გამოგონების განსახორციელებლად, მეუძლია ინახულოს გამომგონებელი ყოველდღე დღის 12 საათზე. შარლ ფურიე, რომელიც ლიონის ერთ-ერთ სავაჭრო კონტორაში მუშაობდა, ყოველდღე სახლში მიიჩქაროდა დანიშნული დროისათვის... მაგრამ ამაოდ. მის განცხადებას არც ერთი კაპიტალისტი არ გამოეხმაურა. შარლ ფურიე, ისევე, როგორც სენ-სიმონი, რევოლუციის წინააღმდეგი იყო.

XIX საუკუნის უდიდესი სოციალ-უტოპისტი იყო გამოჩენილი ინგლისელი მოღვაწე რობერტ ოუენი (1771-1858 წ.წ.). იგი განაგებდა მსხვილ ძაფსახვევ საწარმოებს ნიუ-ლენარკში (შოტლანდია). თავის ფაბრიკაში მან სამუშაო დღე 14-15 საათიდან შეამცირა 10,5 საათამდე. გარდა ამისა, ოუენი ფაბრიკაში არ იღებდა ათ წლამდე მოზარდს და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ ოუენი გამოდიოდა მიტინგებზე, ყიდულობდა და ავრცელებდა ასობით გაზეთსა და ბროშურას, რომლებშიც იბეჭდებოდა ამ მიტინგების ანგარიშები. მალე მან თავისი ოცნების პრაქტიკულად განხორციელება დაიწყო. საჭიროა, ამბობდა იგი, რომ მთელ ინგლისში შეიქმნას დასახლებული პუნქტები ღარიბი და უმუშევარი ადამიანებისათვის, მოათავსონ ისინი საერთო საცხოვრებლებში და ამუშაონ საზოგადო მინდვრებსა და ფაბრიკებში. რადგან ინგლისში ამის საშუალება არ მისცეს, რობერტ ოუენი ამერიკაში გაემგზავრა და იქ შექმნა კომუნისტური კოლონია „ახალი ჰარმონია". ამ საქმეს მან მთელი თავისი ქონება მოახმარა. მართალია, ცდამ სასურველი შედეგი არ გამოიღო, მაგრამ რ. ოუენმა გული მაინც არ გაიტეხა, კვლავ დაბეჯითებით განაგრძობდა კომუნიზმის იდეების ქადაგებას. მოაწყო გაზეთის გამოცემა, საჯაროდ გამოდიოდა სიტყვებით, თავის პროექტებსა და მოწოდებებს უგზავნიდა ნიკოლოზ პირველს, საფრანგეთის მეფეს და ა. შ.

რობერტ ოუენს არ უსმენენ, დასცინიან... დრო კი მიდის. მას უკვე ოთხმოცდაშვიდი წელი შეუსრულდა, მაგრამ კვლავ დაუღალავად განაგრძობს ბრძოლას კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის... აი უკანასკნელად ადის ტრიბუნაზე, ლაპარაკობს სუსტი ხმით, ლაპარაკობს ახალ საზოგადოებაზე, სადაც არ იქნება სიღატაკე. და უეცრივ წყდება მისი ხმა, ძალა ელევა, უგრძნობლად ეცემა...

როგორც ყველა სოციალისტ-უტოპისტს, რ. ოუენსაც საზოგადოებრივი ბოროტების ძირითად მიზეზად მიაჩნდა არა წარმოების კაპიტალისტური წესი, არამედ ადამიანების უვიცობა, ის, რომ მათ თითქოს არ იცოდნენ თავისი ბუნება. რ. ოუენი გადაჭრით წინააღმდეგი იყო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისა.

სოციალისტური თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აგრეთვე დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა ბელინსკიმ, გერცენმა, ჩერნიშევსკიმ და დობროლუბოვმა, რომლებიც ყველაზე ახლოს მივიდნენ მეცნიერულ სოციალიზმამდე.

დასავლეთ ევროპის უტოპისტებისაგან განსხვავებით, რუს რევოლუციონერ დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ ისტორიაში მთავარ როლს ასრულებენ ხალხთა მასები და რომ სოციალიზმზე გადასვლის აუცილებელი პირობაა სახალხო რევოლუცია.

სოციალიზმი უტოპიიდან და ოცნებიდან მებრძოლი პროლეტარიატის რევოლუციურ მოძღვრებად გადააქციეს მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადებმა კარლ მარქსმა, ფრიდრიხ ენგელსმა, ვლადიმერ ლენინმა. მათ შექმნეს კომუნიზმის მეცნიერული თეორია. მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს და დაასაბუთეს პროლეტარიატის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავის, მსოფლიო ისტორიული როლი, შეიმუშავეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ მისი კლასობრივი ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა.

დიდმა ლენინმა შემდგომ განავითარა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება კომუნისტური საზოგადოების აშენების შესახებ, შეიმუშავა სოციალიზმის მშენებლობის გეგმა და კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლის კანონზომიერებანი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენი ახალგაზრდა ქვეყანა მხოლოდ იწყებდა პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომებით გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღორძინებას, ვ. ი. ლენინი უდიდესი რწმენით ამტკიცებდა, რომ ჩვენ გვაქვს ყოველივე აუცილებელი სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. „...თუმცა ეს ამოცანა ძნელია, — ამბობდა ლენინი, — თუმცა იგი ახალია ჩვენს ძველ ამოცანასთან შედარებით, თუმცა

იგი მრავალ სიძნელეს გვიქმნის, — ჩვენ ყველანი ერთად, არა ხვალ, არამედ რამდენიმე წელიწადში, ჩვენ ყველანი ერთად გადავწყვეტთ ამ ამოცანას რადაც უნდა დაჯდეს, ასე რომ ნეპური რუსეთიდან გვექნება სოციალისტური რუსეთი“ (თხზ., ტ. 33, გვ. 524).

ცხოვრებამ საესებით დაადასტურა ვ. ი. ლენინის გენიალური წინასწარგანჭვრეტა. საბჭოთა ხალხმა დაძლია ყოველგვარი სიძნელე და წინააღმდეგობა, უმოკლეს ისტორიულ ვადაში განახორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია. სოციალიზმი, რომლის გარდუვალობა იწინასწარმეტყველეს მარქსმა და ენგელსმა და რომლის აშენების გეგმა ლენინმა დასახა, ჩვენს ქვეყანაში უკვე განხორციელდა.

კომუნისტური საზოგადოების შექმნა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ პრაქტიკულ ამოცანად იქცა. პარტიის XXII ყრილობამ, შეაჯამა რა ჩვენი ხალხისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ტიტანური მუშაობის შედეგები, მიიღო ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერულად დასაბუთებული დიადი პროგრამა.

ახლა კომუნიზმი ოცნება კი აღარ არის, არამედ რეალური სინამდვილეა, კაცობრიობის ნათელი გზა და მომავალია. სოციალიზმის გზით ადრე თუ გვიან წავა ყველა ხალხი და შორს არ არის ის დრო, როცა კომუნიზმი იზეიმებს თავის გამარჯვებას მთელ ჩვენს პლანეტაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პავლე ნაცვლიშვილი

# სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ნოვატორული ხასიათი

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა დღითი დღე მკვიდრდება და ძლიერდება, იპყრობს ახალ-ახალ მწერალებს. იგი უკვე კარგა ხანია მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა და, რაც დრო გადის, სულ უფრო პოპულარული ხდება. ბუნებრივია, ამ გარემოებამ გამოიწვია რეაქციონერთა გაფთრება. ბურჟუაზიის ისეთი დაქირავებული მჯღაბნელები, როგორიც არიან ვ. სიმონსონი, მ. სლონიმი, ვ. ერლიხი, გ. სტრუვე, ა. ლეფევრი და სხვანი, თავს ესხმიან რა სოციალისტურ რეალიზმს, ცდილობენ დაამტკიცონ მისი ხელოვნური ხასიათი. მათი აზრით, სოციალისტური რეალიზმის მეთოდი თითქოს „კაბინეტში შემუშავებული“ დოქტრინაა, რომელსაც ძალით ახვევენ თავზე მწერლებს კომუნისტური იდეების პროპაგანდის გასაწევად. ამავე დროს ისინი უსირცხვილოდ გაიძახიან, თითქოს ჯერ ტერმინი „სოციალისტური რეალიზმი“ დაიბადა და შემდეგ დაიწყო ამ მეთოდის დანერგვა.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა წარმოიშვა კომუნისტურ იდეებთან მჭიდრო კავშირში, თითქმის მათთან ერთად, და ამიტომ ახალი ეტაპი, ნოვატორული მოვლენაა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. მაგრამ იგი არ წარმოშობილა ცარიელ ადგილზე და არც ხელაღებით უარუყვია კაცობრიობის მხატვრული განვითარების მონაპოვარნი. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ფართოდ იყენებს წარსულის მემკვიდრეობას — კრიტიკული რეალიზმისა და საერთოდ პროგრესული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს, თავისებურად ამუშავებს და ახალ სახეს აძლევს მათ.

რეალიზმი, ცხოვრებისეული სიმართლე. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის მთავარი, ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია. საბჭოთა მწერლებმა ამ მხრივ ბევრი რამ შეიძინეს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებისაგან, გამოიყენეს მათი მდიდარი გამოცდილება. მაგრამ კონკრეტულმა ისტორიულმა პირობებმა ახალი ტიპის მწერალს უკარნახა რეალური ცხოვრება დაენახა მის რევოლუციურ განვითარებაში, პერსპექტივაში. გენიოსმა ლ. ტოლსტოიმ მოგვცა რუსული ცხოვრების შესანიშნავი, მარად

* განხილვის წესით.

უკვდავი სურათები, რისთვისაც დიდმა ლენინმა მას „რუსეთის რევოლუციის სარკე“ უწოდა. ეს ტოლსტოის უდიდესი დამსახურებაა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მან ვერ მონახა ჭეშმარიტი რევოლუციური გზა, ვერ დაინახა ცხოვრების სარბიელზე გამოსული ახალი სოციალური ძალა — პროლეტარიატი, რომელსაც შეეძლო სინამდვილის ძირფესვიანი გარდაქმნა. ერთი სიტყვით, ტოლსტოი კმაყოფილდებოდა მხოლოდ კაპიტალისტური გარემოს კრიტიკით, ვერ ხედავდა კლასს, რომელიც შეძლებდა ექსპლოატატორთა ბატონობის დამხობას.

არსებული წყობილებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ახასიათებდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასაც ადრეულ ეტაპზე, მაგრამ კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავებით იგი მკაფიოდ ხედავდა განვითარების პერსპექტივებს, სოციალურ ძალას, რომელიც თვით კაპიტალიზმის წიაღში წარმოიშვა და უნდა დაესაფლავებინა ეს უკანასკნელი ექსპლოატატორული საზოგადოება. მაქსიმ გორკი პირველი მწერალი იყო, რომელმაც ამ ახალი კუთხით შეხედა ცხოვრებას და მასში დაინახა კაპიტალიზმის მიერ შობილი, მაგრამ მისდამი ანტაგონისტურად დაპირისპირებული კლასი — პროლეტარიატი. იგი, ეს კლასი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, თუმცა ძლიერი და მომავალიც მას ეკუთვნოდა. მაქსიმ გორკის „დედა“, ამ რომანის გმირები პავლე და პელაგია ვლასოვები, ანდრეი ნახოდკა და სხვები ცხადყოფენ, რომ საზოგადოებას მოვლინა მისი გარდამქმნელი ძალა, რომ ჩაისახა ახალი ლიტერატურა, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, რასაკვირველია, აღარ იბრძვის არსებული წყობილების წინააღმდეგ, აღარ არის მისდამი ანტაგონისტურად განწყობილი. მართალია, მან შეინარჩუნა კრიტიკული დამოკიდებულება სინამდვილისადმი, მაგრამ ეს კრიტიკა უკვე ემსახურება აღმზრდელობით ამოცანებს, იგი მიზნად ისახავს არა სინამდვილის უარყოფას, არამედ მის განმტკიცებასა და გაძლიერებას, ახლისა და პროგრესულის გამარჯვებას, ძველისა და დრომოჭმულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკვიდაციას. საბჭოთა მწერალი როდი ერიდება კომუნიზმის მშენებლობის გზაზე არსებულ დაბრკოლებათა ჩვენებას და სრული სიმართლით ხატავს მოვლენებს. კრიტიკული რეალიზმის თხზულებებში ხშირად კეთილი ბოროტის მსხვერპლი ხდებოდა, ზოგჯერ ისტორიულ-კონკრეტული პირობების, ზოგჯერაც თვით მწერლის იდეური პოზიციის გამო. კომუნისტური მსოფლმხედველობით შეიარაღებული ხელოვანისათვის კი არ არსებობს ამგვარი წინააღმდეგობა. მან იცის, რომ ახალი საზოგადოებრივი წყობილება ვითარდება ცხოვრების კანონებით და, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, კეთილი საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს. ეს ტენდენცია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის აუცილებელი ატრიბუტია და ამაშია სწორედ მისი ნოვატორული ხასიათიც.

ცხოვრებისეული მოვლენების მართალი სურათების ჩვენება დაკავშირებულია სახეების, ტიპების შექმნასთან. წინათ მწერალი, ეყრდნობოდა რა კონკრეტულ პირობებს, ქმნიდა ტიპებს „მხატვრული განზოგადებული აზროვნების“ უშუალო გამოყენებით. რუსმა მწერალმა ნ. ვ. გოგოლმა კარგად შეისწავლა ცხოვრება, ღრმად ჩასწვდა მისი განვითარების ტენდენციებს და მკვეთრად გამოქანდაკებული, განზოგადებული სახეები შექმნა. ასევე საყოველთაო მნიშვნელობა მოიპოვა გონჩაროვის მიერ გამოძერწილმა ობლომოვის ტიპმა. დეკადენტურმა ლიტერატურამ დაამცირა, დააკნინა და გადაგვარების გზაზე დააყენა „ტრადიციული“ ტიპიზაცია. იგი გაცოცხლდა, აღდგა და კვლავ გაძლიერდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურულ ნიმუშებში. მ. გორკიმ, დ. ბედნიმ, ა. სერაფიმოვიჩმა და სხვ. ისტორიული პერსპექტივების სწორი შეგრძნებით აამეტყველეს რევოლუციური სინამდვილე.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერა-

ტურაში, კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავებით, ტიპიურობის პრობლემა უშუალოდ უკავშირდება დადებითი გმირის პრობლემას. დადებითი ადამიანის სახეს იცნობს მსოფლიო ლიტერატურის მრავალი თვალსაჩინო ნაწარმოები. იგი უმეტესად რეალისტური ხელოვნებისათვისაა დამახასიათებელი, რადგან რეალიზმი მოითხოვს სინამდვილის ასახვას, ხოლო სინამდვილე ობიექტური კანონების მიხედვით ვითარდება. მაგრამ ამ ობიექტური კანონების ბოლომდე შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის მომარჯვებით. ამიტომ, როცა ვმსჯელობთ კლასიკურ ლიტერატურაში ახალი ადამიანის შესახებ, მხოლოდ მის ელემენტებს ვგულისხმობთ. დადებითი გმირის, როგორც მთლიანი, მონოლითური სახის ფორმირება სოციალისტური ლიტერატურის საკუთრებაა და იგი კომუნისტურ მსოფლმხედველობას უკავშირდება.

დადებითი გმირის შექმნა სცადა დიდმა ქართველმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ, რომლისთვისაც უცხო არ იყო რევოლუციური იდეები. დადებითი ადამიანები მან ნახა როგორც გლეხთა, ისე სხვა სოციალურ წრეებში. მაგრამ ილია ვერ ამაღლდა კლასობრივი ბრძოლის რევოლუციურ შეგნებამდე. იგი გლეხთა წრიდან გამოსული ადამიანების ბედნიერებას წვრილბურჟუაზიულ იდეალებში ხედავდა.

კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის დადებითი გმირი, როგორც წესი, საზოგადოებასთან კონფლიქტში იმყოფებოდა და სოციალურ უკუღმართობასთან ბრძოლაში მარტო რჩებოდა, რაც განაპირობებდა მისი ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულს. ახალი ადამიანის ტრაგიკული ბედი მთელი სიძლიერით გამოიხატა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. მან "მოგვცა მშრომელ ადამიანთა დაუვიწყარი სახეები, რომლებიც მსოფლიო ჰუმანიზმის ტრადიციების უბადლო განსახიერებას წარმოადგენენ. მაგრამ ვერც გენიოსმა ვაჟამ შეძლო ბოლომდე გადაეჭრა დადებითი გმირის პრობლემა. მისი მინდია, ალუდა და სხვები განწირული აღმოჩნდნენ საზოგადოებასთან კონფლიქტში. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ძალა და ძლიერება კი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრინციპში მდგომარეობს. მათ მორის უკვე აღარ არის ძირეული წინააღმდეგობა.

ხალხის წიაღში შობილი დადებითი გმირის იდეალი იგივე საზოგადოების იდეალია და პირიქით. გორკის რომანი „დედა" ამ დებულების ნათელი დადასტურებაა. პელაგია ნილოვნას, პაველ ვლასოვის, ანდრია ნახოდკას კრისტალიზებულ დადებით სახეებთან ერთად გორკიმ ხსენებულ რომანში დიადი მომავლის მქონე პროლეტარიატი გამოიყვანა. არა ერთი და ორი პიროვნება, არამედ მთლიანი პროლეტარული მასა, ხალხი წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ძალას, რომელიც ებრძვის ძველს, დრომოჭმულს, კაპიტალიზმის მგლურ კანონებს. მარქსისტული იდეებით შეიარაღებულმა მ. გორკიმ კარგად იცის, რომ არა ძლიერი ცალკეული პიროვნებანი, არამედ რევოლუციური მასები, ხალხი წარმოადგენს განვითარების მთავარ ძალას და სწორედ მასთან დაკავშირებული ლიტერატურული სახეები იძენენ ტიპიურ თვისებებს.

პატრიოტიზმი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისებაა. ვლაპარაკობთ რა ამ დიდი გრძნობის შესახებ კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, არ უნდა დავივიწყოთ, რომ რევოლუციამდელ საზოგადოებაში ანტაგონისტური წინააღმდეგობანი თიშავდა ერს ორ მოპირდაპირე კლასად — მჩაგვრელად და ჩაგრულად. თვითეულ კლასს ჰყავს თავისი იდეოლოგი, რომელიც თავისებურად უცქერის ეროვნული ცხოვრების პერსპექტივებს. ამის გამო კრიტიკული რეალიზმის პატრიოტიზმი შეზღუდულ ხასიათს ატარებს. იშვიათად თუ გაარღვევს რომელიმე გენიოსის მხატვრული ტალანტი ამ ბარიერებს და დაუახლოვდება პატრიოტიზმის ხალხურ გაგებას. მაგრამ იგი მაინც ეროვნულ ჩარჩოებში იკეტება და ვერ ადის პროლეტარული ინტერ-

ნაციონალიზმის სიმაღლემდე. მხოლოდ სოციალისტური ლიტერატურის ხვედრია ამ მოვლენის ღრმა დახასიათება, ინტერნაციონალური მეგობრობის ნიადაგზე პატრიოტიზმის ყოვლისმძლე გრძნობის სრულყოფილი ჩვენება. ეს ასეც უნდა იყოს. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ პრაქტიკულად განახორციელა კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება — სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შემჭიდროება-შეკავშირება. გაფართოვდა სამშობლოს ცნება და სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა საბჭოთა პატრიოტიზმის პირველ მედროშედ მოგვევლინა.

ნოვატორული სახის პატრიოტიზმმა საბჭოთა ლიტერატურას ახალი, ოპტიმისტური შინაარსი მისცა. ოპტიმიზმი უცხო არ იყო მსოფლიო პროგრესული ლიტერატურისთვისაც, თუმცა რეაქციული ბურჟუაზიის მესიტყვეები მთელი შესაძლებლობით ცდილობენ დაასაბუთონ ამ აზრის უმართებულობა. ოპტიმიზმის ნათელი იდეებით არის გაცისკროვნებული XII საუკუნის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“. მომავლის რწმენა წითელი ზოლივით გასდევს უილიამ შექსპირის მრავალფეროვან შემოქმედებას. პესიმიზმის უსასოო იდეებს დაუპირისპირეს თავიანთი შემოქმედება ალ. პუშკინმა, ნ. გოგოლმა, ლ. ტოლსტოიმ. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, ეყრდნობა რა ამ ძვირფას ტრადიციას, მტკიცედ იცავს მას, მაგრამ უცვლელად, დოგმატურად როდი გადმოაქვს იგი. საბჭოთა მწერლის ოპტიმიზმი ახლის, პროგრესულის გარდუვალი გამარჯვების რწმენითაა შთაგონებული. თვითონ სოციალისტური სინამდვილე შეიცავს მძლავრ ოპტიმისტურ ნაკადს. ამიტომ საბჭოთა მწერალს არ სჭირდება გარედან მიაკეროს ნაწარმოების რომელიმე მოქმედ პირს ეს თვისება, იგი თვით ცხოვრებიდან მომდინარეობს.

საბჭოთა პატრიოტიზმსა და ოპტიმიზმს ორგანულად უკავშირდება შრომის საგალობელი. შრომის დიადი როლის გამოხატვა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ძირითადი ნოვატორული ნიშანია. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს შრომის იდეა უცხო იყო კლასიკურ ლიტერატურაში. ხატავდნენ ცხოვრების სურათებს, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ ეჩვენებინათ შრომის სიდიადე, მისი გარდამქმნელი როლი. შემთხვევითი არ იყო, რომ გენიოსი გოეთე იძულებული გახდა უტოპიური სახით წარმოედგინა ფაუსტის თავისუფალი შრომის იდეალები.

მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღებულმა მწერლებმა გვიჩვენეს შრომის სიდიადე, მისი გამაკეთილშობილებელი და გარდამქმნელი ძალა. მაქსიმ გორკემ „დედაში“ პირდაპირ თქვა, მუშამ თვით უნდა გამოსჭედოს თავისი ბედი, კაპიტალისტს უნდა გამოგლეჯოს შრომის უფლებაო, როგორც ეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მოხდა, როდესაც შრომა გათავისუფლდა ხუნდებისაგან და გმირობისა და მამაცობის წყაროდ იქცა.

მწვავე კამათს იწვევს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის სტილის საკითხი. ზოგიერთს მიაჩნია, რომ არასოციალისტური ლიტერატურის მიერ შემუშავებული სტილი ვერ გამოდგება საბჭოთა ცხოვრების გამოსახატავად. სამართლიანად აღინიშნა ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებში, რომ საკითხისადმი ამგვარ მიდგომას მივყავართ დოგმატიზმამდე. ლიტერატურული სტილი, რა თქმა უნდა, არ არის ფორმა. იგი ფორმის მხოლოდ ნაწილია. ფორმა ფართო ცნებაა, რომელიც, სტილის გარდა, მოიცავს ნაწარმოების სხვა კომპონენტებსაც (სიუჟეტი, კომპოზიცია, ნაწილობრივ სახეთა სისტემა და სხვ.). მაშასადამე, სტილური ნიშნების მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგობაზე. სტილი ძირითადად მხატვრული სამოსელია, რომელიც იდეის ამა თუ იმ ფორმაში ჩამოყალიბებას უწყობს ხელს ენობრივი მასალის მეშვეობით, ენა კი არასოდეს არ ყოფილა კლასობრივი — იგი ერთნაირად ემსახურებოდა საზოგადოების ყველა ფენას. მხატვრული, ფიგურალური, სა-

ხოვანი გამოთქმები, მოქმედ პირთა მეტყველება, პოეტური სინტაქსი მხოლოდ მასალაა, რომელსაც მწერალი იყენებს ჩანაფიქრის განსახორციელებლად. თუმცა ყოველ ლიტერატურულ მიმართულებას ტრადიციულად თავისი სტილი ჰქონდა შემუშავებული, მაგრამ ისინი არასოდეს არ იფარგლებოდნენ ერთი გაბატონებული, განსაზღვრული სტილით და უხვად იყენებდნენ სხვადასხვა მიმართულებისათვის დამახასიათებელ სტილურ ნიშნებს.

ეყრდნობა რა კლასიკური მემკვიდრეობის პროგრესულ ტრადიციებს, საბჭოთა მწერალი შემოქმედებითად იყენებს კრიტიკული რეალიზმისა თუ სხვა ლიტერატურული მიმართულების ჯანსაღ სტილურ ნიშნებს და აქ არაფერია უჩვეულო, შემაშფოთებული. ისინი, ეს ტრადიციული სტილური ნიშნები, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში ახალი ძალით იფურჩქნება და კომუნისტური მსოფლმხედველობის შესაბამისად საყოველთაო პროგრესის, წინმსვლელობის დიად საქმეს ემსახურება. თავისთავად ცხადია, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა როდი კმაყოფილდება მარტო ტრადიციული სტილური ნიშნებით. ჯერ ერთი, მან ახლებური სახე მისცა მათ, მეორეც, თვითონ შეიმუშავა საკუთარი, ნოვატორული სტილი. რა მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს ეს სტილური ნიშნები, ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან— ისეთი მხატვრული ნაწარმოებების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშრომელთა აღზრდას კომუნიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით. ამ გაგებით სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურული სტილის ნოვატორულ ფუნქციას პარტიულობის პრინციპი განსაზღვრავს.

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ მოითხოვდა: „სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს იგი რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით“ (კრ. „ლენინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“, 1962 წ., გვ. 288).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდმა ლენინმა ამ სტატიაში ჯერ-ჯერობით, რომ ბურჟუაზიულ პარტიულ ლიტერატურას უნდა დაპირისპირებოდა სოციალისტური ლიტერატურა, რომელიც მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით სწორად, მართებულად, სრულყოფილად ასახავდა ცხოვრებას და დეხმარებოდა მასებს პერსპექტივების შეცნობაში, კაპიტალისტური საზოგადოების ძირფესვიანად გარდაქმნაში. ვ. ი. ლენინმა ბოლომდე ამხილა ბურჟუაზიის იდეოლოგთა ფარისევლობა, რომლებიც ლიტერატურის აპოლიტიკურობის „თეორიას“ იცავდნენ. ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ვერ დავასახელებთ ცოტად თუ ნაკლებად ცნობილ მწერალს, რომელიც დავალებული არ იყოს თავისი დროის, თავისი ეპოქის იდეებით. არ არსებობს უმიზნო, უიდეო მწერლობა. როცა მწერალი ხელში იღებს კალამს, მას რაღაც აწუხებს, რაღაც მიზანი აქვს, რაღაც იდეა სურს გადასცეს მკითხველს. უკიდურესი ფორმალისტები, სიმბოლისტებიც კი, რომლებიც გულმოდგინედ ქადაგებდნენ უპარტიოობის პრინციპს, უაღრესად პარტიულები იყვნენ, მტკიცედ მისდევდნენ იდეალისტურ ფილოსოფიას. სიმბოლისტთა ერთი ჯგუფი, მაგალითად, ბერკლის უკიდურეს სუბიექტივიზმს ეყრდნობოდა, მეორე ჯგუფი — კანტის ესთეტიკურ პრინციპებს, ხოლო სხვები კიდევ ჰეგელის ობიექტურ იდეალიზმს იზიარებდნენ. თვით ფორმალისტური ჟონგლიორობის უპირატესობას ისინი უაღრესად პარტიული მიზნით ქადაგებდნენ. მათ სურდათ შეექმნათ ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც გაუგებარი იქნებოდნენ მრავალმილიონიანი მასებისათვის, მაგრამ მისაწვდომი ბურჟუაზიული ზედაფენებისათვის.

ვ. ი. ლენინმა პარტიულობის პრინციპი იმთავითვე მჭიდროდ დაუკავშირა ხალხურობას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პარტიუ-

ლობისა და ხალხურობის პრინციპების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. საბჭოთა კავშირში აშენდა სოციალიზმი, დაიწყო კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა. დღეს მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი, პარტიული თუ უპარტიო — ერთი იდეით — კომუნიზმის იდეით ცოცხლობს და მოქმედებს, სოციალისტური სამშობლოს მომავალი ბედნიერებისათვის ბრძოლის გრძნობითაა გაჟღენთილი. ხალხის ცნების გაფართოებასთან დაკავშირებით ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპებმა განუყოფელი სახე მიიღეს. პარტიულობა ხალხურობის უმაღლესი გამოხატულებაა.

როდესაც ლიტერატურის ხალხურობაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ წარსულში მხოლოდ იმ მწერალმა მოიპოვა უკვდავი სახელი, ვინც ახლოს მივიდა ხალხთან, გაუგო მას, მართლად გამოხატა მისი იდეები და მისწრაფებები. ხალხი ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას და მხოლოდ მასთან დაკავშირებული ლიტერატურა შეიცავდა პროგრესულ ელემენტებს. თავისთავად ცხადია, კომუნისტური საზოგადოების ლიტერატურა არ შეიძლება არ იყოს ხალხური, რადგანაც ხალხი და კომუნიზმი განუყოფელია. რა თქმა უნდა, ცხოვრების გზაზე ცალკეული ადამიანები შეიძლება შეცდნენ, ყოველთვის ვერ ამაღლდნენ მოწინავე იდეების გაგებამდე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში თვითეული პიროვნება განუყოფელია ხალხისაგან. ხალხსა და პიროვნებას შორის არ წარმოიშვება ანტაგონისტური ხასიათის კონფლიქტი.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში რეალიზმს უშუალოდ უკავშირდება რომანტიკა. რევოლუციამდელ მწერლობაში რომანტიკა შეზღუდული იყო, ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი მახასიათებელია ანარქია, არაგეგმაზომიერება. მწერალი, თუ იგი გამსჭვალული არ იყო მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, მხოლოდ ოცნებაში ქმნიდა ნათელ მომავალს და სუბიექტური ილუზიებით საზრდოობდა. საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხოა ასეთი უტოპიური რომანტიკა, მისი შემოქმედებითი მეთოდი არის სოციალისტური რეალიზმი, რომელშიც, როგორც განუყოფელი ნაწილი, შედის რევოლუციური რომანტიზმი.

საბჭოთა ლიტერატურა ასახავს ცხოვრების იმ მართალ სურათებს, რომლებთანაც სისხლხორციელად არის დაკავშირებული რომანტიკა. იგი კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა ლიტერატურაა. დღევანდელ დღეზე დაყრდნობით საბჭოთა მწერალს შეუძლია გადახედოს ხვალინდელ დღეს, აჩვენოს მომავალი ცხოვრება და ეს არ იქნება უტოპია, განუხორციელებელი ოცნება, ცრუ ილუზია. რევოლუციური რომანტიზმი მწერალს აძლევს მომავლის განჭვრეტის სწორ ტენდენციას და მეცნიერული ორიენტირების უნარს. პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპი კი არ ეწინააღმდეგება სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის რომანტიკულ ხასიათს, პირიქით, იგი აიარაღებს მას მომავალი ცხოვრების ჭეშმარიტი იდეალებით. დღეს, ატომისა და კიბერნეტიკის ეპოქაში, ხვალინდელი გმირის სახეების გამოკვეთა არ იქნება ფანტასტიკა, უტოპია. ამჟამინდელ ცხოვრებაზე დაყრდნობით ისინი უხვად იქნებიან დაჯილდოებული ტიპიური, მართალი და რეალური ადამიანური თვისებებით, საიდანაც გამომდინარეობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ნოვატორული ხასიათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავით ნახვალაძე

# „სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს“

### საიათნოვას დაბადების 250 წლისთავის გამო

ნარიყალას ციხიდან მტკვრის ნაპირამდე დაშვებული კედელი შემოდგომის მზეს გაუბრწყინებია. ავლაბრის ხიდს ზემოთ მოჩანს დევივით აღმართული მეტეხის ტაძარი, ხოლო მის გვერდით ფერისცვალების მონასტრის ქონგურები. მეტეხის ციცაბო კლდესთან თბილისის აშუღებს ტივი ლოდზე გამოუბამთ, ზედ სუფრა გაუშლიათ და მტკვარში ჩაცეცებულ კახურ ღვინოს შეექცევიან. ერთი მათგანი ტივის კიჩოზე ჩამომჯდარა და საიათნოვას სიმღერას გასძახის:

კეკლუცი ხარ, სახეს ალი შეგშვენის
მოგიხდება ატლას-ალი ჩაიცვა,
ბეჭედშიაც ალმას-ალი ჩაუსვა,
მწვანე ქობას ოქროს ნალი დაუსვა.

სიონის ტაძრის მახლობლად ხარფუხისუბნელებს ჭიდაობა გაუმართავთ და ხალხის გნიასი ისმის. დასიცხულ ქალაქში მწიფე ხილის სურნელი დგას.

მარჯვნივ, შორს, ქალაქის კედლის გადაღმა მოჩანს გოგირდის აბანოს მრგვალი ზურგი. აბანოს ახლოს ჩაფხუტიანი მოხუცები ფუსფუსებენ. იქვე კინტოებს ტაშ-ფანდური გაუჩაღებიათ.

მნახველის თვალს იტაცებს ცისფრად შეღებილი მეფე ერეკლეს სასახლე ქალაქის მოედანთან. დარბაზსა და პალატებში სიმშვიდე გამეფებულა. დარეჯან დედოფალი, უფლისწულებითა და ფარეშებით, კოჯორს წაბრძანებულა. დავით სარდალი და ერეკლეს უფროსი ძე გიორგი აივანზე საუბრობენ. ანტონ კათოლიკოსი, მესხეთის ტაძრის ეპისკოპოსი თევდორე და ვიცე-კანცლერი სოლომონ ლეონიძე რაღაცას ბჭობენ ერევნის სახანოს შესახებ. მეფე ერეკლე განმარტოებით ზის თავის სასახლეში, გულს მძიმე ფიქრები შემოსწოლია. საქართველოს მომავალი, დარეჯან დედოფლის მიკერძოებული ნდომანი, ძე-ასულთა სიმრავლე და ტახტის ფლობის სურვილები აფიქრებს მეფეს.

უცებ სასახლის მოედანზე საზი აწკრიალდა და გაისმა „მეფის საზანდრის“ გულსაკლავი ჰანგები:

ხმალი ხელთ გიჭირავს,
ერეკლე ხანო!..
ანათებ ქვეყანას,
მთვარე და მზე ხარო!..

სამართალი მიყავ,
ნელმწიფე ხარო.
მთელი საქართველოს
გულის სახარო!..

სიმღერამ მეფე გამოაფხიზლა. სმენა გაამახვილა. სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მაგრამ მალე ისევ მოიღუშა.

კარისკაცმა გიორგი ბატონიშვილის მობრძანება აუწყა მეფეს. ერეკლემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ისიც შემოვიდა.

— მამავ, ბატონო, გესმით, როგორ გულსაკლავად კვნესის საიათნოვა?!

— მესმის, შვილო, და მებრალება კიდეც, — მიუგო მეფემ.

— მაშ, თუ გებრალება, დააბრუნე სასახლეში, ხომ ხედავ როგორ იტანჯება საწყალი. — შეეხვეწა გიორგი.

შეწუხდა მეფე. ეხათრებოდა უფროსი ვაჟის. პასუხი განგებ დააყოვნა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ჩვეული სიდარბაისლით მიმართა შვილს:

— გიორგი, ადრე თუ გვიან ჩემს ადგილს შენ დაიჭერ და მაშინ გაიგებ, თუ რა ძნელია მეფისათვის სიტყვის გატეხა. განა მძულს არუთინა?! არა. მისი ბულბულისებური ნარნარი ხმა და გალობა ჯერ კიდევ თელავს ჭაბუკს მატკბობდა. კარგი მგოსანია. მიმძიმს მოშორება, მაგრამ სასახლეში ვერ დავაბრუნებ!

— მამავ, ბატონო, გთხოვთ, გამიმხილოთ, რა დაშავა უბედურმა აშუღმა?

— რა დაშავა?! ძალიან დიდი... უცხო კაცის ცოლი გაიჩინა გულის სატრფოდ და მასზე ლექსებიც კი შეთხზა. ქმარი საჩივრებით მომეელინა სასახლეში... და საჭიროდ ვცან საიათნოვას დათხოვნა ჩემი საუფლოდან, — მოკლედ მოჭრა მეფემ.

დუმდა შვილი... დუმდა მამაც... მოედინდან კი კვლავ ისმოდა საიათნოვას გულსაკლავი კვნესა:

შე საწყალო ჩემო თავო რა იქენ?
ქვეყანაში სასაცილო შეიქენ!

ასე მოთქვამდა თავის შავბედობაზე სომხური, ქართული და აზერბაიჯანული აშუღური პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი, ერეკლე მეორის სასახლის მგოსანი არუთინ საიათნოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიათნოვა ფსევდონიმია მგოსნისა. წარმოებულია სომხური სიტყვიდან სეიდნავა, რაც ჰანგის პატრონს ნიშნავს. პოეტის მამა კარაპეტი ჰალაბიიდან თბილისში გადმოსახლებულა და ქართველი მეფის „ყმა-გლეხი“, ადგილობრივი სომხური ეკლესიის ზარების მრეკელი გამხდარა. კარაპეტს ცოლად ავლაბრის მკვიდრი სარა შეურთავს და შეძენია ერთადერთი ძე. ამიტომაც საიათნოვა თავის ლექსებში თავის თავს „დედისერთად“ წარმოგვიდგენს.

თელავსა და თბილისში სამეფო კარზე, მაღალ არისტოკრატიულ წრეში ყოფნამ, ხალხთან ურთიერთობამ, „თბილისის ცხოვრების სკოლამ“ არუთინ საიათნოვას ვირტუოზული პოეტური ჩანგი სამ ენაზე აამეტყველა და იგი ამიერკავკასიის ტრუბადურად, ხალხის მსახურად, ანუ, როგორც თვითონ ამბობდა, „ნოკრად“ გახადა.

ა. საიათნოვას შემოქმედება შეიცავს სამოცამდე სომხურს, ორმოც ქართულს, ასამდე თურქულ-აზერბაიჯანულ და ოთხ ნარევ ლექსს. ეს ლექსები აშუღურ პოეზიაში საიათნოვას ყველაზე პოპულარული მგოსნის სახელს ანიჭებს ამიერკავკასიაში, მაგრამ საიათნოვას პოპულარობა იმით არ აიხსნება, რომ იგი ლექსებს სამ ენაზე თხზავდა. აშუღის შემოქმედებითი წარმატება იმან განაპირობა, რომ მის პოეზიაში მკაფიოდ გამოსჭვივის საზოგადოებრივ-მორალური და დიდაქტიკური მოტივები. იგი ხმას იმაღლებს დაჩაგრულთა ინტერესების დასაცავად.

ხალხში გავრცელებული აზრით, საიათნოვა ხელობით ფეიქარი ყოფილა, მაგრამ იგი უფრო დერეიკ-მკერვალი ან ბაზაზი-მოვაჭრე უნდა ყოფილიყო. ეს პროფესია მას სრულებით ხელს არ უშლიდა იმ საქმეში, რომელსაც სამეფო კარი აკისრებდა. საიათნოვამ მეფის სასახლეში პოპულარობა მოიპოვა, როგორც არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა აშუღმა მგოსანმა და ვირტუოზმა მესაზანდრემ. საიათნოვას თავდადებით

უყვარს თავისი საქმე, საზი და საზანდარი. თავის განუყოელ ინსტრუმენტს პოეტი შემდეგი სიტყვებით ამკობს:

ყოველ საზში ნაქები ხარ
ვითა დასი, ქამანჩავ!
ძუნწისათვის შენ ხრეში ხარ
და მარხვაცა, ქამანჩავ!..
გაქებ საკრავ ძვირფასისას
ლალ-ალმასო, ქამანჩავ!

მთელი თავისი სიცოცხლე საიათნოვამ ხალხის სამსახურს შეალია. შემთხვევით როდი ეძახდა იგი თავის თავს „ხალხის ნოქარს". 1758 წლით დათარიღებულ ლექსში პოეტი მშვენიერად გადმოგვცემს თავის სულისკვეთებას:

მოდი, საამოდ გვემსახურე
ხალხის ნოქარო, საიათნოვა!
ვინც შენ ნაღველი მოგვართოს,
შაქარი მიეც, საიათნოვა!

საინტერესოა საიათნოვას რომანი. 1757 წელს მას შეუყვარდა ნორაშანის უბანში მცხოვრები ფრანგი ქურქჩის ცოლი — ტალითა. მგოსანი მგზნებარე ლექსებს თხზავდა და მღეროდა მიჯნურზე. ეს გაუგია ქმარს და საჩივრით ხლებია მეფეს. პატარა კახის განაჩენი მწარედ იწვნია მიჯნურმა მგოსანმა. გაძევება მეფის სასახლიდან მისთვის ადვილი ასატანი როდი იყო. მაგრამ რა უნდა ექნა, ძალა აღმართს ხნავსო, ამბობს ქართული ანდაზა და ისიც ბედს დაემორჩილა.

დავუბრუნდეთ ისევ საიათნოვას უიმედო რომანს. სიყვარულს აუფორიაქებია მგოსნის სული, მოთქვამს სატრფოზე, მასთან ახლოს ყოფნა სწყურია და გულმოკლულად ეძახის. მაგრამ ამაოდ. დაეიწყება კი ეძნელება.

ბოლოს, იქნებ კეთილ მეგობართა რჩევით, ოჯახის შექმნა გადაეწყვეტია. 1760 წელს ა. საიათნოვა ცოლად ირთავს სოფელ ლორეს მკვიდრს შევარდაანთ ქალს მარიამს, რომლისაგან მას ოთხი შვილი შეეძინა. 1765 წელს, მეფე ერეკლესთან კონფლიქტის გამო, საიათნოვამ საზანდრობას თავი დაანება და მღვდლად (ტერტერად) ეკურთხა. სომეხთა ეკლესიის საკანონო წესით საიათნოვამ სახელი შეიცვალა, სტეფანე დაირქვა, თბილისს გაშორდა და დაბინავდა საინგილოში, სოფ. კახს. სამი წლის შემდეგ საიათნოვას მეუღლე გარდაეცვალა და [illegible] მღვდელი ახპატის მონასტერში [illegible] აღიკვეცა.

საიათნოვას შემოქმედებით ანთებული გული ვერ ეგუება ეკლესია-მონასტრების სამსახურს და გულისტკივილით ამბობს:

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რად მინდოდა?
ტრედი ვიყავ, მწყერობა რად
მინდოდა?
მოდი მითხარ, მწირობა რად
მინდოდა?

საიათნოვას არავითარი განათლება არ მიუღია. ქართული და სომხური წერა-კითხვა პოეტს თავისით შეუსწავლია. აკი თვითონაც ამბობს:

ნურვინ იტყვით — ეს ყმაწვილი
ვინა ვარ!
ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ,
საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ,
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი
დაიწყოს.

ჭეშმარიტად რომ უწყვეტ ქუხილს მოგვაგონებს მისი გაუბზარავი ხმა.

საიათნოვას ქართული ლექსები სამ ჯგუფად იყოფა. ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსებიდან გამოირჩევა: „შენ საწყალო ჩემო თავო" და „სამართალი მიყავ", მორალურ-დიდაქტიკური ხასიათის ლექსებიდან — „ზღვას ვით გაეშრობს ვარსკვლავის სხივი", „ზოგ-ზოგი კაცი", „დამიჯერე" და სხვ.

საიათნოვა სატრფიალო-სამიჯნურო ლექსების ვირტუოზია. სიყვარული, ვარდისა და ბულბულის აშიკობა, ქალის ფიზიკური სილამაზე, კდემამოსილება საიათნოვას პოეტური ფანტაზიის უშრეტი წყაროა, რომელსაც იგი ხარბად და ფაქიზად ეწაფება.

საიათნოვას სამიჯნურო ლექსებს ამკობს დიდი უშუალობა, განცდათა სიღრმე და შესანიშნავი პოეტური საღებავები.

საიათნოვას გარდაცვალების თარიღი დაზუსტებული არ არის. კრწანისის ბრძოლების შემდეგ, გიორგი მეთორმე-

ტეს დროს, პოეტი ცოცხალი ჩანს და უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი გარდაცვლილა XIX საუკნის დამდეგს. მკვლევარების აზრით, მგოსანი დასაფლავებულია საინგილოში და არა თბილისში.

ა. საიათნოვა მახვილგონიერი გამოთქმების დიდი ოსტატია. მას ეკუთვნის მშვენიერი სტრიქონები: „ზღვას ვით დაამრობს ვარსკვლავის სხივი“, „მტკვარი ცხრილით როგორ უნდა აირწყოს“ და სხვ.

საიათნოვამ სომხურსა და ქართულ ლიტერატურაში პირველმა შემოიტანა აშუღურ-მუხამბაზური ჰანგი, რომელიც შემდეგ ჩვენს ლიტერატურაში ახალ საფეხურზე აიყვანეს ბესიკმა და გრიგოლ ორბელიანმა.

საიათნოვამ, როგორც პოეტმა, სახალხო მომღერლის ხელობა გადააქცია პოეტის უმაღლეს მოწოდებად. ამდენად, ეგი საკაცობრიო მოტივების [illegible] ი. გრიშაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, საიათნოვა „დაიბადა, აღიზარდა და აიფურჩქნა მსოფლიო და ქართული მუზის წიაღში“ და თავისი უკვდავი ნიჭის წყალობით ერთნაირი სიძლიერით იმღერა სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე. იგი ამ სამი ძმური ხალხის უსაყვარლესი მგოსანია. მალე ამიერკავკასიის ხალხები ზეიმით აღნიშნავენ საყვარელი დიდი აშუღის დაბადების 250 წლისთავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აზიზ ახვლედიანი,
აბელ სურგულაძე

# მებრძოლი პოეტი და პუბლიცისტი

## ირ. ევდოშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო

ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა ირ. ევდოშვილის დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავი.

ირ. ევდოშვილი სამართლიანადაა აღიარებული რევოლუციური ქართული პოეზიის მამამთავრად. იგი მოღვაწეობდა იმ დროს, როდესაც საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო რევოლუციური პროლეტარიატის საჯარო გამოსვლებმა. როგორც პოეტი და მოქალაქე, ირ. ევდოშვილი უყოყმანოდ გვერდში ამოუდგა რევოლუციურ მუშათა კლასს, გულწრფელად გაჰყვა მის საბრძოლო გზას. პოეზიისა და პოეტის მთავარი დანიშნულება ირ. ევდოშვილს წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც არსებული სოციალური სინამდვილის გარდაქმნისა და ნათელი მომავლისათვის ბრძოლა. ამიტომაც თავის მოვალეობად მიაჩნდა არა მარტო სოციალური უკუღმართობის მხილება, არამედ მის წინააღმდეგ მედგარი და დაუნდობელი გალაშქრებაც. წყვდიადით მოცულ სინამდვილეს რომ ბოლო ეღებოდა, ეს პოეტს ღრმად სწამდა. იგი ამბობდა:

„შუა ღამეა, წყვდიადი...
სიჩუმე, ირგვლივ დუმილი,
გულს გაზაფხული ეძახის
და გარიჟრაჟის წყურვილი!“

ადამიანთა ცხოვრების ნათელი მომავლისადმი ტრფიალით იყო გამსჭვალული ირ. ევდოშვილის მთელი შემოქმედება. მას სჯეროდა, რომ ბედნიერი მერმისი შორს აღარ იყო...

მაგრამ ირ. ევდოშვილის რევოლუციური ხმა გაისმა არა მარტო პოეზიაში, არამედ პუბლიცისტიკაშიც. იგი ქართულ მწერლობაში პოლიტიკური ხასიათის მცირე ფორმის ნაწარმოებთა ერთ-ერთი ფუძემდებელიც იყო. მართლაც, XX საუკუნის დამდეგიდან ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო პრესაში გამოქვეყნებულმა წერილებმა, რომლებსაც ხელს აწერდა „რიგოლეტო“. მხოლოდ ნაცნობთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი, რომ ეს ფსევდონიმი ირ. ევდოშვილს ეკუთვნოდა, თუმცა ამას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი ის იყო, რომ რიგოლეტოს წერილები შეიცავდა თანადროულობის გაბედულ კრიტიკას. ჩანდა, რომ ავტორი ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა ცხოვრებას, ერკვეოდა სოციალური უსამართლობის მიზეზებში, მიუთითებდა მათი აღ-

მოფხვრის კონკრეტულ ღონისძიებებზეც.

ირ. ევდოშვილის პუბლიცისტურ წერილებში დიდი ადგილი უკავია ბათუმის თემას. მათში ჩვენი ქალაქი პირველად გამოჩნდა 1901 წლის დამდეგს, როდესაც გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე გაკენწლა აქაური ვაჭრები, ხოლო შემდეგ, განსაკუთრებით 1903 წლიდან, მას რამდენიმე სტატიაც უძღვნა. სულ ირ. ევდოშვილმა ბათუმზე თერთმეტი წერილი დაბეჭდა, რაც ქრონოლოგიურად ასე ნაწილდება: 1901 წელს — ორი, 1902 წელს — ამდენივე, ხოლო 1903 წელს—შვიდი. ეს წერილები ფაქტიურად იუმორისტულ-მამხილებელი ფელეტონებია.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის თვითმმართველობის გარშემო გაჩაღებული ბრძოლის ცალკეული მომენტები ირ. ევდოშვილს დაწვრილებით აქვს აღწერილი. საიდან უნდა მიეღო მას საამისო ცნობები? უპირველეს ყოვლისა, მაშინდელი ქართულ-რუსული გაზეთებიდან. მაგრამ გაზეთები ბევრ ფაქტს დამახინჯებით, არასწორად გადმოსცემდნენ და ვანმარტავდნენ, რასაც შეეძლო ცალკეულ საკითხებზე მკითხველისათვის არასწორი წარმოდგენა შეექმნა. ირ. ევდოშვილის დამსახურება ის იყო, რომ უბრალოდ კი არ დაეყრდნო საგაზეთო მასალებს, არამედ კრიტიკულად მიუდგა მათ და სწორად გადმოსცა ბათუმის თვითმმართველობის გარშემო გაჩაღებული ბრძოლის მიზეზები, მისი მსვლელობა, ცალკეულ დაჯგუფებათა მისწრაფებანი.

ბათუმის ამბების გასაცნობად მნიშვნელოვანი წყარო იყო აგრეთვე წერილები მისი ძმის ილარიონ ხოსიტაშვილისა, რომელიც სამხედრო სამსახურს ბათუმში გადიოდა. პოეტის დაკითხვის ერთ-ერთ ოქმში აღნიშნულია, რომ მისი ძმა „იყო ბათუმში არდაგანის პოლკის პოლკოვნიკად“.1 შესაძლებელია, ილარიონი ბათუმის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციებს აწვდიდა ძმას. ამას გვაფიქრებინებს ირ. ევდოშვილის სტატიებზე დაკვირვება.

1 შ. ჩხეტია, ისტორიული საბუთები ირ. ევდოშვილის შესახებ, 1940 წ., გვ. 107.

ბათუმისადმი მიძღვნილი ფელეტონების ძირითადი თემაა ქალაქის თვითმმართველობა. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ახალგაზრდა ეროვნული ბურჟუაზია ევგამეტებით იბრძოდა თვითმმართველობის დასაკუთრებისათვის, ქალაქის თავად თავისი კანდიდატის გაყვანისათვის. ამ ბრძოლაში იგი წაწყდა უცხოური ბურჟუაზიის მძაფრ წინააღმდეგობას, რამდენადაც ამ უკანასკნელს ეპყრა ქალაქის სამრეწველო განვითარების ეკონომიური სადავეები და აშკარად ცდილობდა ქალაქის ხელმძღვანელობაშიაც გაბატონებას. ასე რომ, თვითმმართველობის გარშემო გაჩაღებული ბრძოლა არსებითად იყო პირველობისათვის ბურჟუაზიის ცალკეული ჯგუფების სწრაფვის გამოხატულება.

ამ დროს ბათუმში მეტად დაძაბული ვითარება იყო, რამდენადაც ქალაქის თვითმმართველობა, როგორც ირ. ევდოშვილი შენიშნავდა, „აბრუნდ-დაბრუნდის თამაშობს. ხან საბჭოს ერთი წევრია ქვეშ და ხან მეორე... ხან ერთი მტყუანი გამოდის მართალი და ხან მეორე და საკვირველი ის არის, რომ „სტატიები“ ორივეს ერთნაირად ამართლებენ და ამტყუნებენ“.1

უნდა ითქვას, რომ მებრძოლი ჯგუფები წინასაარჩევნო კრებებზე უხვი დაპირებებით კვებავდნენ ამომრჩევლებს. ეს ჩვეული ფანდი იყო იმისათვის, რომ უმრავლესობა მოეპოვებინათ და ქალაქის თავად სასურველი კანდიდატურა გაეყვანათ. ირ. ევდოშვილს შეუმჩნეველი არ დარჩენია ეს ფაქტი და მწვავე სატირის ცეცხლითა და სარკაზმით ამხელდა მათ დაპირებათა არარეალურობას. იგი, როგორც ჰეშმარიტი რევოლუციონერი, არც ქართველ ბურჟუაზიას ინდობდა. როცა ზ. ანდრონიკაშვილმა წინასაარჩევნო კრებაზე გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება თეატრისა და წიგნსაცავის აგების, აგრეთვე მუშათა უბანში სკოლის გახსნის შესახებ, ირ. ევდოშვილმა დასვა კითხვა: „ეს საკითხები როდის მოსვლია მას?“ და იქვე უპასუხა: „სწორედ მაშინ, როდესაც იგი ასარჩევი იყო ბათუმის... თავათ. მე-

1 „კვალი“, 1901, № 31.

რე? მერე ისა, რომ იცვლება დეკორაცია და სცენაზე ტრაგედიის შემდეგ იდგმება კომედია. ტრაგედია იყო მისი ოფლის ღვრა და გადმოკრატება არჩევნების წინა დღით, ხოლო კომედია კი მან ითამაშა შემდეგ თავისი არჩევნებისა, როცა უარი თქვა დაპირების შესრულებაზე".[1]

სხვა წერილში ევდოშვილი პირდაპირ აღნიშნავდა: „ბათუმის ქალაქის თავმა... დღიდან კვარცხლბეკზე შედგომისა, განაცხადა: ვიზრუნოთ ხალხისთვისო! რაში გამოიხატა ეს მზრუნველობა? კანცელარიულ ჩხირკედელაობაში... რეჩები სათაურით და დასკვნით „ვიზრუნოთ ხალხისათვის". აი ჭრელი სიტყვები, რომლითაც ბათუმის ქალაქის პატრიარქებს სურთ სოფელი ააშენონ... მაგრამ მკვდარია სიტყვა უსაქმოთ".[2]

ირ. ევდოშვილის ასეთი შეხედულება არ იყო შემთხვევითი. ქალაქის გამგეობაში არჩეულთ შემდეგ მართლაც ავიწყდებოდათ დანაპირები და კვლავ ძველი გზით განაგრძობდნენ სვლას. მაგალითად, 1903 წელს ქალაქის თავად ზ. ანდრონიკაშვილის, გამგეობის წევრად გრ. ვოლსკისა და მდივნად ი. მესხის არჩევასთან დაკავშირებით, ანალიზს უკეთებდა რა არჩევნების შედეგებს, ირ. ევდოშვილი წერდა: „ისევ ძველი გამგეობა, მაშასადამე ისევ ძველი გზით მავალი, ისევ ძველი ტიბიკონით მწირველი. ისევ ანდრონიკაშვილი „ხალხის დასახმარებლად" თავდადებული გამგეობის სათავეში, ხოლო როგორი იქნება მომავალშიაც ეს „ხალხის დახმარება", ამას იგივე მისი მოქმედება გვიწინასწარმეტყველებს და ეს არც საჭიროა. ბრძოლა მათი იწყება საარჩევნო ყუთებთან, თავდება იქავე. მერე? მერე რეჩები ხალხის დახმარებაზე, მეტი არაფერი".[3]

ამავე დროს ირ. ევდოშვილი მკაცრად აკრიტიკებდა იმ პირებსაც, ვინც აქტიურად ეხმარებოდა ქალაქის თავს არჩევნებში, რათა შემდეგ მისი შემწეობით ხელი მოეთბო და თვითმმართველობისაგან რიგი ეკონომიური დათმობანი მიეღო. 1903 წელს გამოქვეყნებულ წერილში „სამშობლოს ცაზე" იგი ირონიულ წერილში ხმოსან ელიავას შესახებ, [illegible] გ. ვოლსკისათვის ხმის მიცემით, თურმე, „დაუხსნია სამშობლო განსაცდელისაგან". ამის სანაცვლოდ თვითმმართველობაში „შიშობენ მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვაში არ დაავიწყდეთ მისთვის (ელიავასთვის — ავტ.) განსაკუთრებული თანხა გადადონ მენდლების გამოსაჭედათ... აკლია მხოლოდ მოსე ჯანაშვილის ისტორიაში შეიტანონ ეს ფრიად საგულისხმო ამბავი".[1] ასე განქიქებულად უყურებს პოეტი, მიუხედავად მათი ერთგვარი ქველმოქმედებისა, ამ ყალბი ბურჟუაზიული დემოკრატიით გატაცებულ პირებს, რომლებსაც უპირველესად „ჯაჭვი ქალაქის თავისა" აინტერესებთ და ხალხის ბედ-იღბალზე ზრუნვა უკანა პლანზე აქვთ გადაწეული.

ირ. ევდოშვილი ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს თვითმმართველობის ყველა პრაქტიკულ ღონისძიებას და თავის წერილებში მკაცრად აკრიტიკებდა ქალაქის ხელმძღვანელობას იმის გამო, რომ არ გახსნა სკოლა, არ იზრუნა საავადმყოფოს კეთილმოწყობისათვის, სათანადო ყურადღება არ მიაქცია მუშათა გარეუბნების კეთილმოწყობას. და ეს მაშინ, როცა თვითმმართველობამ დიდი თანხა გადასდო საკრებულოს ასაშენებლად, რათა სიმდიდრით გაჭსუებული პროვინციული ბურჟუაზიისათვის შესაფერი გასართობი დაწესებულება შეექმნა. ამის გამო ირ. ევდოშვილი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „ნუ სტირი ბათუმის ქალაქის საავადმყოფოვ, ვინაიდან „სალხინოს" ასაშენებლად ქალაქმა გადასდვა 55 ათასი მანეთი და შენ კი შეგაფარებინა... მხოლოდ სამოცი საწოლი. ნუ სტირი თქვენც, საავადმყოფოს ფერშლებო, არ სცალია მოქეიფე გამგეობას თქვენთვის. ნუ სტირი ბათუმო, რამეთუ ვოლსკი „შენ გეტრფი მარადს" გიგალობს, კარ. ჩხეიძეს ჭმუნვარების ფერი გადაუწმენდია და

1 „კვალი", 1903, № 22.

2 „კვალი", 1903, № 36.

3 „კვალი", 1903, № 16.

1 „კვალი", 1903, № 16.

ანდრონიკაშვილის ახალი კანონმდებლობის დავლური შეუსწავლია“.[1]

ირ. ევდოშვილის წერილებიდან ჩანს, რომ პოეტს ნათელი წარმოდგენა ჰქონდა კლასობრივ ძალთა თანაფარდობაზე, ბურჟუაზიული პარტიების ხასიათსა და მიმართულებაზე ბათუმში. მან კარგად იცოდა, რომ არც ერთი მათგანი მშრომელთა ინტერესების დამცველი არ იყო, მაგრამ ნათლად ამჩნევდა პალმისა და მისი უკიდურესად რეაქციული გაზეთის „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ გარშემო შექმნილი დაჯგუფების შავრაზმულ მისწრაფებებსაც. ამიტომ ირ. ევდოშვილი ჩვეული შეუპოვრობით კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ამ გაზეთში დაბეჭდილ დიდმპყრობელური, შოვინისტური ხასიათის წერილებს, ამხელდა მათ ნამდვილ ბუნებას და ზრახვებს. ამიტომ იყო, რომ იგი პალმს დაცინვით „სახელოვანს“ უწოდებდა, ხოლო მის გარშემო მყოფ დაჯგუფებას — „ყორანთა გუნდს“.

ასე აისახა ირ. ევდოშვილის პუბლიცისტურ ნაწერებში ბათუმის იმდროინდელი ამბები. ჩანს, ირ. ევდოშვილს, როგორც წამებული ხალხის გულის მესაიდუმლეს, არ შეეძლო განზე გამდგარიყო იმ დიდმნიშვნელოვანი მოვლენებისაგან, რომლებიც 90-900-იანი წლების ბათუმში მიმდინარეობდა. იგი აკვირდებოდა და ეხმაურებოდა ყველა იმ მოვლენას, რომელიც ხდებოდა „ჩარხ-უკუღმართ დროს“ და ფართო საზოგადოების სამსჯაროს წინაშე გამოჰქონდა ქ. ბათუმის წამებულთა და მაშვრალთა ბედი. სჯეროდა რა ხალხის მომავალი, იგი დარწმუნებით წერდა:

„...მოვა დრო და სიტკბოებით,
შენც გაგიღიმებს დღის განთიადი,
იგი იქნება დღე განახლების,
დროი ბრწყინვალე, დროი დიადი.

1 „კვალი“, 1903, № 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ივოლიზე ვართაგავა

# გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი

### ჰაიდარ აბაშიძის დაბადების 70 წლისთავის გამო

XIX საუკუნის 80-იანი წლები. მწვავე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ორ დიდ სახელმწიფოს — ოსმალეთსა და მეფის რუსეთს შორის. ბრძოლა უმთავრესად შავი ზღვისპირეთის დაპყრობისათვის. ბრძოლის სასწორი რუსეთისკენაა გადახრილი. მოსალოდნელია ოსმალეთის კაპიტულაცია და გამარჯვებულ რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დადება. უეჭველად მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულების დადების დროს გათვალისწინებული იქნება შავი ზღვის ნაპირებთან ახლომდებარე თურქეთის ტერიტორიის რუსეთის იმპერიასთან შეერთება. ამას გრძნობენ, ამას ცხადად ხედავენ ქართველი მოღვაწეები, საქართველოს შეგნებული შვილები, მათ შორის განსაკუთრებით XIX საუკუნის ყველაზე უფრო წინდახედული, საქართველოს მომავალ ბედზე შეუწყვეტლივ მზრუნველი დიდი ილია. და აი, სანამ ბერლინის ტრაქტატი დაიწერებოდა და საქართველოს სამასი წლის განმავლობაში მოწყვეტილი აჭარა-ქობულეთის ტერიტორია ვეებერთელა რუსეთის ტერიტორიას შეუერთდებოდა, ილიამ, მისგან მოსალოდნელი ისტორიული პერსპექტივების გათვალისწინებით, უდიდესი ეროვნული მოვალეობის შეგნებით საქართველოს ყველა შეგნებულ შვილს აღგზნებული და თანაც მაღალგონებრივი შემეცნებით აღსავსე მოწოდებით მიმართა: მომხდარ ფაქტს ყველა ხელგაშლილი შეხვედროდა და სამი საუკუნის განმავლობაში დედა-სამშობლოს მოწყვეტილი და ტანჯული მოძმეები ტკბილად გულში ჩაეხუტათ და მათი ცხოვრების ახალი ვითარება შესაძლებლობის ფარგლებში ნორმალურ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ. ამ მოწოდებაში თუმცა გრძნობა სჭარბობდა, მაგრამ პარალელურად მოცემული იყო უაღრესად პრაქტიკული ხასიათის პოლიტიკურად, ზნეობრივად მისაღები რჩევა-დარიგება, თუ რას წარმოადგენდა ხალხთა ცხოვრე-

---

* იპ. ვართაგავას ეს სტატია წარმოადგენს იმ მოხსენების ნაწილს, რომელიც მხცოვანმა საზოგადო მოღვაწემ წაიკითხა 1963 წლის 2 მარტს თბილისის ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლში ჰაიდარ აბაშიძისადმი მიძღვნილ საღამოზე.

ბაში ეროვნული საწყისი და რას წარმოადგენს სარწმუნოებრივი ფაქტორი.

ილიას ბრძნულმა გამოხმაურებამ სხვებიც, ცნობილი საზოგადო მოღვაწეებიც, სერიოზულად, ჩაკვირვებით და პოლიტიკურ ვითარებათა გათვალისწინებით აალაპარაკა და, შეიძლება ითქვას, აამოქმედა. ფრიად საგულისხმოა ამ მხრივ ხალხის წრიდან გამოსული, მაგრამ დიდად განვითარებული და გათვითცნობიერებული საზოგადო მოღვაწისა და მწიგნობრის ზაქარია ჭიჭინაძის თავისებური და საინტერესო მოგზაურობა წიგნებით ხელში ახლად შემოერთებულ სამუსლიმანო საქართველოში. საყურადღებოა ისიც, რომ შუათანა ქართველი ინტელიგენტებიც, დაბალ სკოლათა მასწავლებლებიც დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ილიას მოწოდებას. ამ მხრივ აღსანიშნავია აპოლონ წულაძე და მის მიერ შედგენილი საპროპაგანდო წიგნი „ძმური სიტყვა“.

განხორციელდა ყველასათვის სანატრელი აქტი. აჭარის ტერიტორია საქართველოს შემოუერთდა.

გრძნობდნენ თუ არა ამ ფაქტის დიდ მნიშვნელობას თვითონ მაჰმადიანი ქართველები, ისე როგორც ქრისტიანი ქართველები? ამის დამადასტურებელი საბუთები და ფაქტები, მგონია, ჩვენ არ მოგვეპოვება. ფაქტია მხოლოდ ის, რომ ახლად შემოერთებული აჭარის ყოფაცხოვრება და მდგომარეობა, როგორც ქართველი მწერლების ნაწერები მოწმობენ, ძლიერ სავალალო, მწვავე და თითქმის ტრაგიკული ყოფილა. აჭარლების დიდი უმრავლესობის მდგომარეობა ისეთი უმწეო და თითქმის აუტანელი იყო, რომ დიდხანისხოვან პოლიტიკურ საკითხებზე, ეროვნული მეობის განმტკიცებაზე ფიქრისა და მოძმე ქართველებთან შეერთების ტკბილი გრძნობით დატკბობის საშუალება და შეიძლება შეგნებაც მათ არ ჰქონდათ. მათ შორის იქნებოდნენ, რასაკვირველია, თითო-ოროლა დაინტერესებული პირები, რომელთა როლი მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა გაერთიანების პროცესში ქმედითი და დიდად შედეგიანი, უნდა ვიფიქროთ, მაინცდამაინც არ იქნებოდა. საერო ფენა, ხანი, საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარება, აჭარლების წრიდან ახალგაზრდა ელემენტების გამოვლინება და მათი ხმის შეერთება და შეხმატკბილება მთლიან საქართველოს ხმასთან. მართლაც, 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის დადების შემდეგ განვლო რამდენიმე ათეულმა წელმა და ჩვენ უკვე ვხედავთ რამდენიმე შეგნებულ ახალგაზრდა აჭარელს, რომლებიც ეწეოდნენ ბრძოლას და პროპაგანდას მოძმე ქართველთა ეროვნული შეერთების საქმეში.

ჩემი მიზანი არ არის ყველა მათ შესახებ ვთქვა დაწვრილებით რამე. მე ხაზგასმით აღვნიშნავ მხოლოდ ჰაიდარ აბაშიძის თითქმის მოულოდნელად სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლას. ივი აღმოჩნდა ილიას ანდერძის, მისი მგზნებარე ქადაგების ხორცშემსხმელი და ცხოვრებაში გამტარებელი. მან მთელი თავისი გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი და ფიზიკური ძალებიც კი, რითაც ის ბუნებას დაუჯილდოვებია, ილიას ბრძნულ და საშვილიშვილო მოწოდების განხორციელებას მოახმარა.

მთელი საქართველოს დიდ შვილს ილიას, ოსმალოს მიერ მიტაცებული აჭარის უსაზღვროდ მოყვარულს, მისი აღგზნებული სიყვარულის განმგრძობად მოეელინა დაჩაგრული და გადაგვარების გზაზე დამდგარი აჭარის ერთგული შვილი ჰაიდარ აბაშიძე. ჰაიდარი ილიას უპატიოსნეს და ღრმა გრძნობის პოპულარიზაციას თავგანწირვით, უშიშრად ეწევა თანამოძმე მუსლიმანთა შორის და ცდილობს დიდი ილიას მოსიყვარულე გულის სითბო და სიტკბო უკლებლივ ჩააწვეთოს თანამოძმეთა სულში და ამ წვეთების სიმხურვალით გაათბოს ჟამთა ვითარებისაგან საკმაოდ გაციებული და ფანატიზმის ბურუსით დაბინდული მათი გული და სული. ილიას რკინისებური ლოგიკის სიძლიერით ის ამარცხებს და ფანატიკოსთა ნიღაბს ხდის ვითომ თურქულად განათლებულ, მაგრამ ეროვნულ გრძნობაჩახშობილ კალმოსანს ყარაღა-ზადეს. ჰაიდარის გაცხარებულ პოლემიკას გატაცებით კითხულობდნენ თავის დროზე შეგნებუ-

ლი ქრისტიანი ქართველი და აჭარელი მკითხველნი. დღესაც ამ წერილებს არანაკლები ინტერესით კითხულობს საქართველოს წარსულის ყველა მოყვარული და მომავალი თაობაც წაიკითხავს. ფანატიკოსებმა ვერ შეძლეს, თუმცა ეს, ალბათ, ძლიერ სურდათ მათ, ჰაიდარი მოენათლათ აჭარელთა სარწმუნოებისა და თურქი ხალხის მტრად. ასეთი ვაჟბატონების საწინააღმდეგოდ დაწერილი პოლემიკური წერილები მოწმობენ ახალგაზრდა ჰაიდარის სანაქებო და იშვიათ ზნეობრივ და პოლიტიკურ ტაქტს. მის წერილებში, ბევრიც რომ ეძებნათ მოწინააღმდეგეებს, ვერც მორწმუნე ქართველი მაჰმადიანი და ვერც პატრიოტი ოსმალო თავიანთ სათუთ გრძნობათა შებღალვის და ღამცირების ნამცეცსაც ვერ იპოვნიდნენ.

ამით აიხსნება ის მოვლენა, სხვათა შორის, რომ მთელი ათეული წლების განმავლობაში აჭარელ მშრომელთა არც ერთ წარმომადგენელს ჰაიდარ აბაშიძისადმი, მისი პიროვნებისადმი სიძულვილი და უნდობლობა არ გამოუმჟღავნებია, არ გამოუცხადებია. ასეთი მოსაწონი ტაქტით ქადაგებდა კალმით და ცოცხალი სიტყვით ახალგაზრდა და ხანშიშესული ჰაიდარ აბაშიძე. აჭარლებმა იგრძნეს უმწიკვლო სიყვარული თავიანთი ღვიძლი ძმისა და შვილის ჰაიდარისა და ნდობით გაყვნენ მის მიერ არჩეულ გზას. ეს პროცესი არ მომხდარა სიძნელეების გარეშე, წაუბორძიკებლად. მაგრამ ეს მთავარი არაა. მთავარია ის, რომ დღეს აჭარა საქართველოს საუკეთესო და სასიქადულო ნაწილს შეადგენს. ქართველი ერი ამაყობს თავისი ძმებით, აჭარლებით, მათი საბინადრო კეკლუცი და მშვენიერი კუთხით. აჭარას დღეს ჰყავს საამაყო შვილები: პოეტები, ბელეტრისტები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები, პოლიტიკოსები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები. განვითარებისა და წინსვლის თვალწარმტაც ფერხულში ჩაბმული საქართველოს შვილების მოდღეასასწაულე ხმას თანაბრის ღირსებით უერთდება მკვირცხლი და საქმიანი აჭარელის ხმაც.

დღევანდელი აჭარის პარტიული ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები თავის მოვალეობად თვლიან დიდი პატივისცემით და ღრმა დაფასებით მოიხსენიონ ჰაიდარ აბაშიძე, ღვაწლი. საქართველოს [illegible] ის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამბ. ა. დ. თხილაიშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენების ერთ-ერთ ნაწილში წერს: „წინანდელი, თურქ დამპყრობთა მიერ დაბეჩავებული აჭარის ნაცვლად ახალი, განახლებული, აღორძინებული და აყვავებული აჭარის ნახვით მოხიბლული და აღფრთოვანებული იოსებ იმედაშვილი, რომელმაც 1951 წელს შემოიარა აჭარა, სწერდა ჰაიდარ აბაშიძეს: „მოველ, მოვიარე და ნამდვილი საქართველო აქა ვნახე, დავრწმუნდი, რომ დიდი შოთა აქ, მესხეთში, დაბადებულა, მის გმირებს თითქოს ახლაც ვხედავ, და მათ სიახლოვეს ვგრძნობ აჭარაში. ჩვენი დიდი ხნის ნატვრა ასრულდა, საქართველო გაერთიანდა, კუთხურობა იშლება და რჩება ერთი ცნება „ქართველიო“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1961 წ., № 92). თავის მეორე მოხსენებაში ამბ. თხილაიშვილი ამბობს: „როგორც დადებითი მოვლენა, უნდა აღინიშნოს აჭარელი პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის ჰაიდარ აბაშიძის ბროშურის გამოცემა“ (ამბ. თხილაიშვილი გულისხმობს ჰ. აბაშიძის „წერილების“ კრებულს ხ. ახვლედიანის შენიშვნებითა და წინასიტყვაობით).

* * *

მე კარგად ვგრძნობ, რომ ჩემი დახასიათება ჰაიდარ აბაშიძის საშვილიშვილო მოღვაწეობისა და საქმისა ზოგადი და პროზაული ფრაზებით მშრალი და განყენებული გამომივიდა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად მინდა მივმართო ჰაიდარ აბაშიძის ძველი და ახალი მოღვაწეობის დამფასებელი ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების გამონათქვამებს, მოვიმარჯვო ისინი და ჩემი ზოგადი მსჯელობა ოდნავ მაინც გამოვაცოცხლო და კონკრეტული გამოსახულება მივცე.

ჰაიდარ აბაშიძე, მკვლევარ ხ. ახვლედიანის დახასიათებით, თავიდანვე შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგებელ ბრძოლას უცხადებდა აჭარაში თურქთა მიერ დანერგილ ჩამორჩენილობას, იგი აჭარიდან თურქული ადათ-წესების განდევნასა და იქ მშობლიური ქართული კულტურის აღორძინებას მოითხოვდა...

ჰაიდარ აბაშიძის ასეთი კატეგორიული მოთხოვნის წინააღმდეგ პანთურქისტები და სხვა ჯურის რეაქციონერები მეფის მოხელეების ჩათვლით სასტიკად ილაშქრებდნენ. ისინი ამბობდნენ, ჰაიდარ აბაშიძე გაქრისტიანდა, გაქართველდა, თავის რჯულს უღალატაო და სხვ. პანთურქისტები ახალგაზრდა ჰაიდარის წინააღმდეგ მისივე მშობლების მოშველიებაც ცდილობდნენ. ისინი ემუქრებოდნენ „ბათუმის გაზეთის“ რედაქტორსაც და კატეგორიულად მოითხოვეს, რომ ამიერიდან მსგავსი სტატიების დაბეჭდვა აღარ გაებედა. მაგრამ ჰ. აბაშიძეს ასეთი მუქარა არ აშინებდა. იგი თანმიმდევრულად განაგრძობდა თავის საქმიანობას.

ჰ. აბაშიძე არ კმაყოფილდება მარტო მუსლიმანი ფანატიკოსების წინააღმდეგ ბრძოლით; იგი საჭიროდ თვლის, რომ ქართველ ქრისტიანებშიაც გააჩაღოს პროპაგანდა და ბრძოლა გამოუცხადოს მათ შეგნებაში არსებულ მცდარ შეხედულებებს. იგი მათ მოუწოდებს, ნუ აჰყვებიან მტრების პროვოკაციას და კიდევ უფრო მეტად გაღვივონ ეროვნულ გრძნობათა „ოდნავ მბჟუტავი ნაპერწკალი“.

ჰაიდარ აბაშიძე თავგამოდებით იცავდა ქართული კულტურის ტრადიციებს, ესარჩლებოდა აჭარელთა ინტერესებს და თავს ესხმოდა იმ თურქოფილ კალმოსნებს, რომლებიც ბათუმში თურქული საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამოყალიბებას და საერთოდ თურქიზაციისათვის ხელშემწყობ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, ვინმე ვასფი-ეფენდი.

ჰაიდარ აბაშიძე თანდათან აფართოებს თავისი მოღვაწეობის ასპარეზს. თუ ის წინათ მარტო გამოდიოდა პანთურქისტების წინააღმდეგ და აყენებდა ეროვნული გათვითცნობიერების საკითხს, ახლა იგი ხალხს დაუკავშირდა. ხალხის მოწინავე ნაწილთან ერთად იგი ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც აჭარლების ეროვნული გაღვიძების საქმეს ხელს უშლიდა.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ჰაიდარ აბაშიძე თანმიმდევრობით იბრძოდა თურქოფილების წინააღმდეგ. იგი ნიღაბს ხდიდა მათ მიერ წარმოებულ პროპაგანდას ე. წ. „საღვთო ომის“ შესახებ და განუმარტავდა ხალხს, თუ რაში მდგომარეობდა დამპყრობთა ნამდვილი მიზანი და ამოცანები.

ომის მეოხებით შექმნილი აუტანელი მდგომარეობიდან გამოსავალს ჰ. აბაშიძე მხოლოდ ქართველ მოძმე ქრისტიანებში ხედავდა, მთელ იმედებს მათზე ამყარებდა და მათგან დახმარებას მოითხოვდა.

ჰ. აბაშიძე თანაბარ გულშემატკივრობას იჩენდა მთელი ქართველი მაჰმადიანების მიმართ. იგი ერთნაირად იბრძოდა აჭარელთა და ლაზთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მათში ქართული, ეროვნული თვითშეგნებისა და ქართული კულტურის აღდგენისათვის.

ჰ. აბაშიძე მეტად დაინტერესებული იყო აჭარის შესახებ გამოცემული და გამოსაცემი ლიტერატურით. ის დიდად აფასებდა იმათ, ვინც აჭარის შესახებ დაწერდა. საინტერესოა მისი წერილი ზაქარია ჭიჭინაძისადმი.

ჰ. აბაშიძე თავგამოდებით იბრძოდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნისათვის (იხ. ხ. ახვლედიანის „სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, გვ. 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 215, 219, 220, 222, 229, 236, 238).

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ილია ბახტაძე, რომელიც ჰაიდარ აბაშიძის პირად მეგობრად თვლის თავს, მკითხველს აწვდის საინტერესო ცნობებს. მას ჩამოთვლილი ჰყავს ყველა ქართველი მოღვაწე — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, ალექსანდრე ყიფშიძე, მოსე ჯანაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, პოეტი ქალი განდეგილი, დავით კლდიაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, რომლებიც მაჰმადიან ქართველთა გათვით-

ცნობიერებისათვის ჩვენში მუდამ თავგანწირვით იბრძოდნენ. მათი ავტორიტეტიანი სიტყვა და გულწრფელი თანაგრძნობა აასკეცებდა ჰ. აბაშიძის დაუშრეტელ ენერგიას ებრძოლა ქრისტიან ქართველებთან მაჰმადიანი ქართველების დაახლოებისა და დაძმობილებისათვის.

„მე პირადად მოწმე ვიყავი იმისა, — ამბობს ილია ბახტაძე, — თუ როგორი მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ჰაიდარ აბაშიძეს ჩვენს მწერლებთან, ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან და როგორ ეხმარებოდნენ ისინი აჭარლებს გათვითცნობიერებისა და ქრისტიან ქართველებთან ძმური კავშირის დამყარების საქმეში“.

შემდეგ ილია ბახტაძე მოგვითხრობს, რომ 1908 წლის განმავლობაში იგი ხშირი სტუმარი იყო ბათუმის და ერთ პერიოდში რამდენიმე წელიწადსაც კი ცხოვრობდა ბათუმში და თანამშრომლობდა სხვადასხვა რუსულ და ქართულ ჟურნალ-გაზეთში, იღებდა მონაწილეობას საქველმოქმედო საქმეებში და კარგად იცნობდა ბევრ შეგნებულ და გათვითცნობიერებულ მაჰმადიან ქართველს, მაგრამ მათ შორის, მტკიცედ აღიარებს ავტორი, იმდენი არავის გაუკეთებია მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შორის მტკიცე ძმური კავშირის დასამყარებლად, რამდენიც ჰაიდარ აბაშიძემ გააკეთა (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 5, 1957 წ., № 113, 1958 წ.).

ილია ბახტაძის სიტყვებში მოცემულია ნამდვილი, გაუზვიადებელი და უაღრესად დამაჯერებელი დახასიათება ჰ. აბაშიძის მოღვაწეობისა. ილია ბახტაძის სიტყვებს და დამოწმებას კიდევ ერთი დამაჯერებელი ელემენტი შეაქვს ჰაიდარ აბაშიძის დიდი მამულიშვილობის ერთსულოვან აღიარებაში.

ცნობილი ბელეტრისტი პარმენ ლორია, იგონებს რა საქართველოს სისხლითა და ცრემლებით დაწერილ ისტორიას, მწარე და ნაღვლიან წარსულს, საერთოდ საქართველოსი და კერძოდ გამაჰმადიანებული აჭარისას, იხსენებს ჰაიდარ აბაშიძეს და ამბობს: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჰაიდარ ბეგ აბაშიძე აქვეყნებდა მაშინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში წერილებს აჭარელთა ცხოვრებასა და ჭირ-ვარამზე. მას აქებდნენ და უშველიდნენ, მას ეძახდნენ მწერალსა და ხალხის გულის მესაიდუმლეს“ (გაზ. „ბოლშევიკური ტი“, 1957 წ., № 234).

ჰაიდარ აბაშიძის ყველა წერილისა და კორესპონდენციის ღირსება იმაშია, რომ ისინი გამთბარი არიან წრფელი, გულიჩამწვდომი ეროვნული შეგნებით და ამიტომ ყველასათვის თვალსაჩინო და გასაგებია. ეს ძვირფასი თვისება ხიბლავდა ყველა ქართველს, თუ ის ქართველი იყო არსებითად და არა მხოლოდ წარმოშობით — სახელწოდებით. ყველას: თავის კაბინეტში ჩაკეტილ და კვლევა-ძიებით გართულ მეცნიერს, პოეზიის სამეფოში მონავარდე პოეტს, გუჯრებსა და ხელნაწერებში ჩაფლულ ისტორიკოსს, ცხოვრების ვითარების ამხსნელ-გამშუქებელ პუბლიცისტს და ყოველდღიური ჩვეულებრივი ფაქტების აღმნუსხველ-შემკრებ კორესპონდენტებს — ქრონიკიორებს, ქალებსა და ქალიშვილებს, მღვდელს და მონაზონს და, ასე წარმოიდგინეთ, ხანდახან მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკის წყალობით ეროვნულ გრძნობებჩახშულ და გადაგვარების გზაზე დამდგარ მოხელეებს და თავადაზნაურობასაც კი. ერთი სიტყვით, ყველას—„ერს და ბერს“, დიდსა და პატარას (ამის მაგალითია პატარა გაიოზ იმედაშვილის საქციელი, გამოხმაურება. გაიოზი ცნობილი მწერლის იოსებ იმედაშვილის შვილია).

ვის არ მოაჯადოებდა, ვის არ გაუთბობდა გულს მრავალი ადგილი ჰაიდარ აბაშიძის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში მოთავსებული წერილებიდან, რომლებშიც გაისმა უსაზღვრო სიყვარული დედა-სამშობლოსადმი. ზოგან სიყვარული, ზოგან ვედრება, ზოგჯერ საყვედურიც, ხანდახან მოურიდებელი, სამართლიანი მხილებაც კი თავისი ქრისტიანი ძმებისა. სახელდახელოდ მოვიყვან პირველად ხელში მოხვედრილ მაგალითებს. ერთ-ერთ წერილში ჰ. აბაშიძე წერს: „არა, ბატონებო, ჩვენ „თურქები“,

ოსმალები კი არა, ქართველები გახლავართ — მაჰმადიანები რომ ვართ, განა ქართველები აღარა ვართ? მაშ, სადაურია ჩვენი დედაენა, ჩვენი გვარი, რა არის ეს ისტორიული ნაშთები, რომელნიც ღაღადებენ ჩვენს ვინაობას. თვით ქვანიც ღაღადებენ თუ ვინ ვართ ჩვენ".

ქართველებმა, მიუხედავად იმისა, რომ სამასი წლის მანძილზე დედა-სამშობლოს მოწყვეტილი იყვნენ, შეინარჩუნეს თავიანთი ქართველობა. აღნიშნავს რა ამას, ჰაიდარ აბაშიძე შემდეგი აღგზნებული სიტყვებით განაგრძობს: „არ იქნა და ვერ ამოგვგლიჯეს გულიდან... გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, როგორც მოელოდნენ ამას ოსმალები..."

„სამასი წელია, რაც მოვწყდით ჩვენს ეროვნულ სიტკბოებას და ღობე-ყორეს ვედებით. დღეს, როგორც იქნა, ჩვენს გულში იფეთქა დღემდის მიძინებულმა ეროვნული გრძნობის პატარა ნაპერწკალმა და ესწრაფვის მგზნებარე ცეცხლად გადაქცევას და ამიტომ, გთხოვთ, ნუ გვიშლით ხელს. ჩვენც გვინდა გაეერიოთ ხალხში, ჩვენც გვინდა და გვწყურია, როგორც მთელ კაცობრიობას, ეროვნული სული და ვინც გადაეღობება ამ ჩვენს, ქართველ მაჰმადიანთა წმიდათა-წმიდა გრძნობას, ის ჩვენი მეგობარი არ იქნება!"

ახალგაზრდა პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ჰ. აბაშიძის მსჯელობა-დებულებები და მტკიცებანი, იმ ტერმინების დადგენა, რაც აჭარასა და აჭარლებს შეეხებოდა, თავიდანვე ისეთი ნათელი, ცხადი და დამაჯერებელი იყო, რომ მათი გავლენით მალე შეიცვალა ზოგიერთი ცნების განსაზღვრა და ტერმინების, სახელწოდებების დადგენა ქართულ მწერლობაში. მაგალითისათვის მივუთითებთ ცნობილი საზოგადო მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის აღსარება-განცხადებას, რომ მან თავის წიგნებში უკვე შეიტანა შესწორებები და გამოსაცემად განზრახულ წიგნებშიც შეიტანს იმ სახის ცვლილებებს სხვადასხვა ტერმინების დადგენაში, როგორც ამას მოითხოვდა ჰაიდარ აბაშიძე. ერთ-ერთ სტატიაში, მიმართავდა რა ჰ. აბაშიძეს, ზ. ჭიჭინაძე საჯაროდ აცხადებდა: „ახლა კი [illegible] ნიერებამ გაიმარჯვა და ქართველ მაჰმადიანთაგან თქვენგვარი პირები [illegible] ლინა და მათ კალამიც აიღეს ხელში და დაიწყეს ნაციონალური მხარეების შეგნება, საუბარი და კამათი, თუ ვინ გახლავან თათარი თუ ქართველი მაჰმადიანები, ამიტომ მე ეს კილო შეეცვალე და უკვე ხუთ წელიწადზე მეტი იქნება მას შემდეგ გასული, რაც მე „თათრის" მაგივრად ქართველ მაჰმადიანს ვხმარობ.

გაზეთის განცხადებაში შეცდომით მომიხდა, რომ სიტყვა „თათარი" იქნა ხმარებული, თორემ დღეის შემდეგ ჩემს წიგნებში ვერსად ნახავთ ამას... ეშმარიტად მოხარული ვარ, რომ ქართველი მაჰმადიანების შესახებ თქვენ ხანდახან გულმტკივნეულად საუბრობთ დ სწერთ. იმედია, ჩვენს თანაგრძნობას თქვენდამი წრფელის გულით შეხედავთ და იმაშიც დარწმუნდებთ, რომ დღეის შემდეგ ჩემს წიგნებში „თათარი" აღარ იქნება ნახმარი.

რაც შეეხება თქვენს წინადადებას დასაბეჭდი წიგნების გადასინჯვისა და გაცნობის შესახებ ამაზედაც თანახმა გახლავართ და მე არცერთ ისტორიულ წიგნს არ დაებეჭდავ უამისოდ, ნამეტურ უთქვენოდ... დანარჩენი წიგნები კი უსათუოდ განხილულ იქნებიან ისე, როგორც თქვენ გვირჩევთ" (გაზ. „სამშობლო", 1915 წ., № 106).

XIX საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტი ქალი განდეგილი ჰაიდარ აბაშიძის მოწოდებას ქართველი ქრისტიანი ძმებისადმი მეტად მგრძნობიარე სიტყვებით გამოეხმაურა გაზ. „სახალხო ფურცელში". ეს გამოხმაურება გამიზნული იყო ქალებისადმი. განდეგილი წერდა: „ქართველო ქალებო! გადაიკითხეთ გუშინდელ „სახალხო ფურცელში" მოთავსებული წერილი ჰაიდარ აბაშიძისა? თუ არ წაგიკითხავთ, გთხოვთ წაიკითხოთ და მაშინ დამეთანხმებით, რომ ამ სტრიქონების წაკითხვა უცრემლოდ შეუძლებელია, უცრემლოდ-მეთქი ვამბობ. ეს ცოტაა! მე ვქვითინებდი ბავშვივით... ამავე ადუღებული გულით მოგმართავთ თქვენ

ყური მიაპყრათ იმ საშინელ კვნესას, იმ უმაგალითო უბედურებას, რომელიც ჩვენს მოძმე ქართველ მუსლიმანებს არგუნა ბედმა“.

პოეტის ამ სიტყვებში მოცემულია უდიდესი დაფასება ჰაიდარ აბაშიძის სიტყვის ძლიერებისა და ზემოქმედებისა!

ფსევდონიმს ამოფარებული უცნობი ავტორი აი რას წერს: „ჰაიდარ აბაშიძე ქართველ მუსლიმანთა შორის ეროვნულ გამოფხიზლების მოციქულია. მისი სახელი ჩვენს მოძმეთა შორის უკვდავი დარჩება... მისი საღი ჭკუა, განშორებული სარწმუნოებრივ ფანატიზმს, ძლიერ მალე მიხვდა ქართველ მუსლიმანთა ცხოვრების მწარე სინამდვილეს და ხმამაღლა, თამამად და მოურიდებლად იწყო ქადაგება თავის თანამოძმეთა შორის ქართული ეროვნული შეგნების შესახებ... და ეს ხმა არ დარჩა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...“ (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ., № 48).

უცნობი ავტორის ეს სიტყვები თავისი სიმწარითა და სიმართლით ბევრი სხვების მიერ თქმულს ადასტურებს, ამოწმებს.

თანამედროვე პროფესორი იასე ცინცაძე, ჭეშმარიტი მეცნიერ-ისტორიკოსი, ისტორიული ფაქტების ობიექტურად დამდგენელი, საღი პატრიოტი, მაღალ შეფასებას აძლევს ჰაიდარ აბაშიძის მართლაც სანიმუშო ისტორიულ საქმიანობას და მოღვაწეობას.

ერთ-ერთ კერძო წერილში ჰაიდარისადმი აი რა გულღიად გამოთქვამს თავის აზრს ჰაიდარის ისტორიული ღვაწლის შესახებ იასე ცინცაძე: „...თქვენმა საჩუქარმა დიდად მასიამოვნა. მიიღეთ უღრმესი მადლობა. მე არ ვიცი, რით დავიმსახურე თქვენისთანა მოღვაწის ყურადღება, რომ თქვენი ხელწერილით შემკული თქვენი შესანიშნავი წიგნი ჩემს წიგნსაცავს შესძინეთ.

თქვენი ნაშრომი მიღებისთანავე გადავსინჯე და უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ კარგი საჩუქარი მიუძღვენით ქართულ საისტორიო მეცნიერებას. თქვენს წიგნში ისეთი მასალებია თავმოყრილი სამშობლოს თავგადასავლიდან, რომ ჩვენი ქვეყნის არც ერთ მოამაგეს, რა სპეციალობისაც არ უნდა იყოს ის, არ შეუძლია, ბატონო ჰაიდარ, სიყვარულით და მადლობით არ მოგიხსენიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ სამშობლოს სადარაჯოზე იდექით, ჩვენო ჰაიდარ, და ახლა ის გვიხარია, რომ თმებჩამოთოვილი, ჩვენი ერთგული ჰაიდარი ისევ ჭარმაგად გამოიყურება.

მოწაფეობის დროიდან დაწყებული თქვენი სახელი მესმოდა. სამშობლოს მძიმე წლებში, იმედად გვყავდით, მარადჟამს იმედი და მაგალითი ბრძანებულიყავით ახალთაობისათვის, მრავალჟამიერ სიცოცხლე თქვენი“.

ეს პატარა წერილიც არსებითად ცხადყოფს და ადასტურებს ყოველივე იმას, რაც ჰაიდარ აბაშიძის შესახებ დაწერილა და იმასაც, რაც მე ამ ჩემს წერილშიაც, რასაკვირველია, არასრულყოფილად და ამოუწურავად, აღნიშნული მაქვს ჰაიდარ აბაშიძის დიდად სასარგებლო ეროვნული მოღვაწეობის შესახებ.

ზემოთ მოყვანილი ცნობილი პირების დახასიათებებს ჰაიდარ აბაშიძის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ მე დავამთავრებ ილია რურუას წერილზე („ლიტერატურული გაზეთი“, 1957 წ., № 34) მითითებით.

ხ. ახვლედიანის ნაშრომის წაკითხვის შემდეგ ილია რურუა, სხვათა შორის, ამბობს: „რამდენი რამ გაუკეთებია, რა დიდი ამაგი მიუძღვის თურმე მშობლიური ხალხის წინაშე ამ ღირსეულ მამულიშვილს — თავაზიან, წყნარ მოხუცს — ჰაიდარ აბაშიძეს“.

ავტორი ერთგვარ საყვედურსაც გამოთქვამს იმის გამო, რომ აქამდე ეს ღვაწლმოსილი მოღვაწე ჩრდილში იდგა და მის შესახებ ისტორიკოსებსა და მკვლევარებს ვრცელი გამოკვლევა, მონოგრაფია არ დაუწერიათ. ავტორის უკანაკნელი დებულება სწორია და სამართლიანი. მართლაც, ხ. ახვლედიანის გამოკვლევამდე ჰაიდარ აბაშიძის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევა არ დაწერილა. მხოლოდ ავტორის მეორე დებულება, რომ ჰ. აბაშიძე დღემდე მივიწყებული იყო და ჩრდილში იდგა, სიმართლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლებულია. მის შესახებ თავიდანვე საკმაოდ ბევრი დაწერილა და მისი პიროვნება დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში. საქართველოს პრესა ჰ. აბაშიძის ყველა გამოსვლას სიტყვით, კალმით თუ მოქმედებით, ყოველთვის ფართოდ აშუქებდა, მაშასადამე, მისი მოღვაწეობის პოპულარობას ხელს უწყობდა.

რასაკვირველია, სასურველია, რომ ხ. ახვლედიანის მეცნიერული გამოკვლევა და დახასიათება პირველი და უკანასკნელი არ იქნებოდეს და ჰაიდარ აბაშიძეს მისი პიროვნებისა და მოღვაწეობის აღმნიშვნელ-დამხასიათებელი ღირსეული გამგრძელებელი აღმოუჩნდებოდეს.

უნდა ვაღიარო, რომ ის წერილობითი მასალა, რომელიც დღემდე არსებობს ჰ. აბაშიძის მოღვაწეობის შესახებ, სრულებით საკმარისია. მაგრამ მისი პიროვნების სრულყოფილად გამოსაკვეთად, მისი მსოფლმხედველობის გამომუშავების ისტორიის დასადგენად, სამწუხაროდ, საკმარისი არ არის. ჩვენ არა გვაქვს საკმარისად არათუ მისი პირადი ცხოვრების გამშუქებელი ფაქტები, არამედ ბიოგრაფიის დასადგენი ელემენტარული, უსაჭიროესი ცნობებიც. ჩვენ არ ვიცით, როგორ ჩაისახა, რა ასაზრდოებდა ახალგაზრდა ჰაიდარის ეროვნულ შეგნებას, და ვულს ცხრამეტი წლის ასაკამდე.

ჩვენ სიხარულით მივესალმებით, თუ თვითონ ჰაიდარი, დიდი დაგვიანებით მაინც, დაწერს ვრცელ ავტობიოგრაფიას, რომელშიც საინტერესო მოგონებებსაც ექნება დათმობილი ადგილი. ჰაიდარ აბაშიძე ჯერ კიდევ უეჭველად შეძლებს ასეთი მასალის მოცემას და შესაძლებლობას მისცემს მომავალ მკვლევარს დაწეროს მის შესახებ გამოკვლევა, მონოგრაფია, რომელიც ორ ნაწილს უნდა შეიცავდეს: „ჰაიდარ აბაშიძის ცხოვრება“ და „ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობა“.

ბოლოს, მე გულწრფელად ვაღიარებ განმეორებით, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ღრმა მოხუცი ვარ, მსურდა ჰაიდარის შესახებ ვრცელი მონოგრაფია დამეწერა, მაგრამ აუცილებელი, საჭირო მასალის, შეიძლება ითქვას, უქონლობის გამო ხელი ავიღე ჩემს განზრახვაზე და დავკმაყოფილდი ამ წერილით, რომელიც არც მონოგრაფიაა, არც ისტორიული გამოკვლევა. მაპატიოს თვით პატივცემულმა ჰაიდარმა და, თუ ეს წერილი დაიბეჭდა, პატივცემულმა მკითხველებმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲜᲓᲘᲚᲐᲕᲐ

# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲯᲝᲛᲗᲐ ᲗᲔᲕᲖᲐᲝᲑᲐ-ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თევზჭერის მრავალი ხალხური პრიმიტიული იარაღი და წესია ცნობილი. ეს იარაღები და წესები მიუთითებენ მეთევზეობის იმ საუკეთესო ტრადიციებზე, რომლებიც ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე მემკვიდრეობით არის დაცული და კარგად ახასიათებენ მეთევზეობა-ნაოსნობასთან დაკავშირებული შრომითი საქმიანობის ბუნებას. ნაოსნობა-თევზჭერის ტრადიციები წარსულში ამ დარგის დიდ სამეურნეო მნიშვნელობას მოწმობენ და ცხადყოფენ, რომ ქართველ ტომთა სამეურნეო ყოფის ისტორიაში მეთევზეობასა და ნაოსნობას უხსოვარი დროიდანვე გარკვეული ადგილი ეთმობოდა.

ნაოსნობა-მეთევზეობა სხვა სამეურნეო დარგებიდან ბევრად განსხვავებულ ისეთ ბუნებრივ საშუალებებს მოითხოვს, როგორიცაა ზღვა, ტბა და მდინარე. საქართველოში, რომელიც უხსოვარი დროიდანვე ქართველ ტომთა საცხოვრისს წარმოადგენს, ამ მხრივ შესანიშნავი პირობებია. იგი მდიდარია როგორც დიდი, ისე პატარ-პატარა მდინარეებით, ტბებით და, რაც მთავარია, მთელი დასავლეთ საქართველო, დაწყებული მისი ჩრდილოეთით, ვიდრე უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთამდე, რომელიც კოლხეთის სახელწოდებით იყო ცნობილი, ზღვას ეკვრის. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ქართველ ტომებს წყლის სიმდიდრის მნიშვნელობა და გამოყენება უძველესი დროიდანვე უნდა სცოდნოდათ.

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წერილობითი ცნობები მოწმობენ, რომ კოლხებს ძვ. წ. V-IV საუკუნეებში თევზის დამარილება და შენახვაც კი სცოდნიათ. ისინი ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე თევზის ქონს. ქსენოფონტეს (431-354) მოსსინიკების (იგივე სანების ანუ ჭანების) სახლებში დიდ ქილებში ჩადებული დაჭრილი და დამარილებული ზღვის ღორის (დელფინის) ხორცი დახვდა, დოქებში კი ამ თევზის ქონი, რომელსაც

მცხოვრებლები ძროხის ერბოს მაგივრად ხმარობდნენ.[1]

არსებული ცნობები მოწმობენ აგრეთვე, რომ კოლხები თევზის დამარილებას მხოლოდ შინაეკონომიურ საჭიროებათა უზრუნველყოფის მიზნით როდი მიმართავდნენ. მათთვის თევზი საექსპორტო საქონელსაც წარმოადგენდა და დამარილებული სახით მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის საბერძნეთშიც უხვად გაჰქონდათ.

საზღვაო გზით მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის არსებობა თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ იმ დროს კოლხეთში მეთევზეობასთან ერთად ზღვაოსნობაც მნიშვნელოვნად მაღალ დონეზე მდგარა. სტრაბონის მიხედვით, ნაოსნობა და ვაჭრობა კოლხეთში დიდად განვითარებული იყო. ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრად კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში დიოსკურია ითვლებოდა; რიონზე კიდევ კოლხების სავაჭრო ნავსადგური ფაზისი იყო. მაშინ მდინარე რიონზე გემები შორაპნამდე მიდიოდნენ (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. „საქართველოს ისტორია", ნაწ. I, 1948 წ., გვ. 31-47).

ბუნებრივია, ადამიანებმა წყლის სიმდიდრის მნიშვნელობა და გამოყენება ბევრად ადრე ისწავლეს, ვიდრე ნავისა თუ ხომალდის კეთება და მეზღვაურობა. როგორც ფრ. ენგელსი მიუთითებს, თევზის გამოყენება ადამიანმა ველურობის დროს დაიწყო და თანდათან ისწავლა სხვადასხვა სათევზაო იარაღისა და ნაღის კეთება. მაშასადამე, ქართველ ტომებსაც ზღვის სიმდიდრის მნიშვნელობა და გამოყენება უნდა სცოდნოდათ წინაისტორიულ ხანაში, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე კოლხეთს არგონავტები მოადგებოდნენ. ამაზე მეტყველებს ბერძნულ წყაროებში დაცული მთელი რიგი წერილობითი ცნობებიც, რომლებიც ზემოთ მოვიტანეთ.

ამიტომ სარწმუნოდ არ შეიძლება მივიჩნიოთ აგათია სქოლასტიკოსის მიერ ქართველ ტომთა ნაოსნობის ისტორიის

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960 წ., გვ. 26.

დასაწყისის დაკავშირება არგონავტების ლაშქრობასთან, არგოს ნავთან, რადგან თვით თქმულებაში კოლხთა ზღვაოსნობა ამბავი პირიქით არის წარმოდგენილი.[1]

აპოლონიოს როდოსელის (მე-3 ს. ძვ. წ.), „არგონავტიკაში" (გვ. 126) ვკითხულობთ, რომ ფალიანი არგონავტები გზაზე კოლხური ხომალდით ქ. აიადან ორქომენისაკენ მიმავალ ფრიქსეს შვილებს შეხვდნენ. იმავე თქმულებიდან ჩანს, რომ არგონავტები მდ. ფაზისით (რიონი) ავიდნენ კოლხეთის დედაქალაქ აიაში, რომელიც სილამაზით ბრწყინავდა. იასონი და მისი მხლებლები გააკვირვა აიეტის სასახლემ, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა სვეტებიანი გალავანი ფართო ჭიშკრებით. „სასახლის თავზე, სპილენძის ქონგურებზე. ქვის კოშკი იდგა"... გალავნის შიგნით „მაღლა აღმართული, მწვანე ფოთლებით შემოსილი ვაზები გაშლილიყვნენ. ვაზების ქვეშ ოთხი დაუშრეტელი შადრევანი მოჩუხჩუხებდა"... (იქვე, გვ. 159). ოქროს საწმისისა და კოლხთა მეფის აიეტის ქალიშვილის მედეას ხელში ჩაგდების შემდეგ „არგონავტებს ზღვაში გასვლა მოესწროთ და მათი ხომალდი მთელი სისწრაფით მიაპობდა ტალღებს"... გაძარცულმა და დამცირებულმა აიეტმა კოლხებს თავი მოუყარა და უბრძანა, რომ შეეპყროთ არგონავტები, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. „კოლხებმა მყისვე მოამზადეს ხომალდები, იალქნები ააფრიალეს და იმავე დღეს შესცურეს ზღვაში. კაცი იტყოდა, რომ ეს ხომალდთა ლაშქარი კი არა, ფრინველთა ფრიცხვი გუნდი არის და ზღვას დაჭრიამულებსო" (იქვე, გვ. 160).

კოლხურ-ელინური თქმულება არგონავტთა ლაშქრობის შესახებ, რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნეზე ადრეა შექმნილი და დაკავშირებულია საბერძნეთისა და კოლხეთის ურთიერთობის ისტორიულ ფაქტთან, „ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ცხოვრებისა და ბუნების ანარეკლზე არის

1 აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა (აკაკი ურუშაძის თარგმანი ბერძნულიდან), 1948 წ., გვ. 103.

ოშენებული, მხოლოდ აქ ჭეშმარიტება შეფერადებულ-გაზღაპრებულია“ („საქართველოს ისტორია“, ნაწ. I, 1948 წ., გვ. 50).

თუ თქმულებაში ნაჩვენები საწმისი ოქროს მოპოვებასა და კარგი მატყლის მქონე ადგილობრივ ცხვარზე მიუთითებს, თუ „ფოლადის სახვნელი, სპილენძისჩლიქებიანი ხარი, ღრმა და სწორე ხნული იმის გამოძახილია, რომ ძველი კოლხები ხელოვანი მიწათმოქმედნი იყვნენ და ლითონის გაუმჯობესებული იარაღით სარგებლობდნენ“, ხოლო „მედეას გრძნეული წამალი ხალხური სამკურნალო საქმის განვითარებაზე მიუთითებს“ და „ტყავზე დაწერილი წესი ოქროს მოპოვებისა დამწერლობის არსებობას გულისხმობს“ (იქვე, გვ. 50-52), მაშინ აიეტის სასახლის სილამაზე, სვეტებიანი გალავანი, ფართო ჭიშკრები და სპილენძის ჭონგურებზე ქვის კოშკი კოლხეთში იმ დროს სამშენებლო საქმის გარკვეულ დონესაც მოწმობს. ხოლო არგონავტების მოსვლამდე კოლხური ხომალდიდ ქ. ფაზიდან ორქომენისაკენ გამგზავრებული საწმისისა და მედეას პოტაცების შემდეგ კი კოლხთა მიერ ხომალდების მყისვე მოშზადება, იმავე დღეს ხომალდთა ლაშქრის ზღვაში შეცურება არგონავტების წინააღმდეგ, კოლხთა თავგანწირული და მოხერხებული მოქმედება უნდა მეტყველებდეს ლეგენდარულ არგოს მოსვლამდე კოლხეთში გემებისა და ნავების არსებობაზე, ნაოსნობა-მეზღვაურობის ისეთ მაღალ დონეზე, რომელსაც არგონავტები ზედმიწევნით უწევდნენ ანგარიშს და მდევართა მოლოდინში „მთელი ძალღონით მოუსვეს ხოფებს“. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ხომალდ „არგოს“ მოსვლამდე კოლხებს კარგად ესმოდათ წყლის სიმდიდრის მნიშვნელობა და ხომალდის არა მარტო სახელი იცოდნენ, არამედ ზღვაოსნობაშიც კარგად იყვნენ დახელოვნებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბ. ოგოლი

# სამკურნალო წიგნი

ერთმა მეგობარმა უნივერმაღის გამგეს შესჩივლა:

— ამ ბოლო დროს ისე მომეშალა ნერვები, ისე უბრალო რამეზე ვბრაზობ და ვღელდები, რომ მეშინია ოჯახურ უსიამოვნებამდე არ მიმიყვანოს.

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ, მაგან შეგაწუხა? მაგის წამალი მე მკითხე. ისეთი წამალი ვიცი, ხელში კეტი რომ გეჭიროს და მხეცივით ღრიალებდე, უცებ მოლბები და დამშვიდდები, — უთხრა უნივერმაღის გამგემ შეშინებულ მეგობარს.

— მართლა? — გაიხარა ავადმყოფმა.

— შენ თავს ვფიცავ.

— ა, ბიჭო მიშველე რამე. — დაეღრიჯა მეგობარი. — მასწავლე ბარემ და შენს პატივისცემას კი გადავიხდი.

— მაგისათვის არც პატივისცემა მინდა და არც ქრთამი. ასეთ პუსტიაკზე კი არა, ზოგიერთს გადანახულ საქონელზე არ ვთხოვ ზედმეტს, ისე ვაძლევ მოფარებულად. — უნივერმაღის გამგემ ჯიბიდან ოქროთი მოჭედილი სათუთუნე ამოიღო და პაპიროსი გააბოლა.

— თუ წამალი მარგებს და მომიხდება, პატივისცემას არ დავიზარებ... — კვლავ გაჭირვეულდა მეგობარი. — მითხარი, როგორ მოვიქცე?

— დიდი სიამოვნებით. პირველ ყოვლისა, შეიძინე ერთი წიგნი...

— წიგნი? წიგნების მეტი რა მომეძევა, შენ სხვა თქვი, თორემ...

— დამაცა, კაცო, ნუ ხარ სულწასული! — შეაჩერა გამგემ. — ყველა წიგნი როდი გამოდგება. შენ უნდა შეიძინო საჩივრის წიგნი...

— საჩივრის წიგნი? რომ არავის ვუჩივი? — გაიკვირვა მეგობარმა.

— ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა გამგემ. — ბიჭო, უჩივი, აბა არა?! შენს ავადმყოფობას ხომ უჩივი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე, ავადმყოფობას საჩივრით რას ვუშველი?

— შენ, ჩემო ძმაო, თუ ასე გაკერპდები და ჩემსას არ დაიჯერებ, რა გამოვა? რასაც გეუბნები, ის გააკეთე და, თუ არ წაგადგეს, მოდი და თვალებში მომაფურთხე, — მტკიცედ თქვა გამგემ.

— კარგი, აგრე იყოს. ვიყიდე საჩივრის წიგნი. მერე?

— ჩააბარე შენს ცოლს, ან სიდედრს, რომელიც უფრო ავი და კაპასია.

— მერე?

— მერე, როცა რაიმეზე გაბრაზდე, გაკუჭდე და ნერვები აგეშალოს, მიმართე საჩივრის წიგნის მფლობელს. იგი, რასაკვირველია, უარს გეტყვის, წიგნს არ მოგცემს. შენ დაჟინებით მოითხოვ, გაბრაზდები, დაკარგავ გრძნობას, იყვირებ, აღრიალდები, აგეშლება ნერვები, დაემსგავსები ნამდვილ გიჟს, გაცოფდები და სახლიდან გაჭრას დააპირებ...

— მერე?

— მერე, რომ შეგხედავს ასე გაცოფებულს, მოგცემს საჩივრის წიგნს, წვერწაუთლელ ფანქარს, ან კალმისტარსა და მელანგამოლეულ სამელნეს და მორჩა... ვსიო.

— რა ვსიო, კაცო, რა მორჩა? — თვალები გამოუშტერდა მეგობარს.

— რა მორჩა და შენი სენი.

— იმ წიგნის მოცემით?

— ჰო, იმ წიგნში შენ ჩაწერ შენი გაკუჭების მიზეზს, შეგიძლია წერო დიდხანს. ჩაწერო ყველაფერი, რაც გაწუხებს და რის გამოსწორებაც მიგაჩნია საჭიროდ. რაც უფრო გააგრძელებ წერას, მით უკეთესია, უფრო დაგიმშვიდდება ნერვები და გულზე მოგეშვება.

— მე მეგონა, სერიოზულად მელაპარაკებოდი! მასხრად ასაგდები სხვა მონახე, თუ უკაცრავად არ ვიყო! — გაჯავრდა მეგობარი. — წიგნში ჩაწერა რომ საქმეს შველოდეს...

უნივერმაღის გამგე შეწუხდა.

— შვილებს გეფიცები, არ გემასხრები. გამოცდილებით რომ არ ვიცოდე, მაშინ კი არ შევიწუხებდი თავს.

— რა იცი, კაცო, გამოცდილებით? საჩივრის წიგნში ჩაწერა განკურნავს ნერვებაშლილ ადამიანს? — შეეკამათა მეგობარი.

— რა გიკვირს, ბიჭო! ერთი გამიკურნავს ასე თუ ორი? შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი იქნები. ჩვენთან დღეში ათი-თორმეტ კაცს ასე ვმკურნალობთ. ზოგი იმ ზომამდე გამძვინვარდება, რომ მუშტსაც კი დაატრიალებს, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მივუტანთ საჩივრის წიგნს, ძველ ფანქარს, მივუთითებთ მაგიდაზე

და მონუსხულივით შეეკრება კრიჭა. დაიწყებს წერას. წერს, წერს, [illegible] კითხავს. კიდევ ჩაწერს. ჯერ ხელები უკანკალებს, გული მომეტებულად უცემს. სიბრაზისაგან კუნთები ეკუმშება, მაგრამ შემდეგ თანდათან [illegible] დება, წყნარდება, აღარ კრთის, აღარ კანკალებს, სიბრაზეც აღარ უმჩნევა. წიგნს დახურავს, გადმოგვცემს, მადლობას გვეუბნება და გადის.

— ვითომ შველის?

— შველის რომელია, შველის კი არა, ბატკანივით უვნებელი ხდება. გაბოროტებული და იქაურობის დასალეწად ამხედრებული, თავდახრილი და გულზე ხელდაკრეფილი გვტოვებს.

— კარგი საშუალება ყოფილა შენმა მზემ! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა იმედგაცრუებულმა მომხმარებელმა და გზას გაუდგა.

## წერილი ლექსად

ერთმა პატარა კაცმა ერთ ქალაქში ერთ დიდ კაცს ლექსად დაწერილი ბარათი გაუგზავნა.

დიდი კაცის კანცელარიაში კონვერტს დახედეს, შეათვალიერ-შემოათვალიერეს და ჩაფიქრდნენ.

— რამდენი ვინმე აწუხებს დიდ კაცს. — თქვეს შემდეგ. — უკეთესი იქნება, ეს განცხადება იმ რაიონში გადავგზავნოთ ზომების მისაღებად, საიდანაც გამოგზავნილია. — და ასეც მოიქცნენ: „შეამოწმეთ, გამოარკვიეთ, მოგვახსენეთ“.

ბარათი რაიონის კანცელარიაში მივიდა.

გახსნეს, შეხედეს, ჩაფიქრდნენ.

— აჰ, ლექსი, განცხადება ლექსად?

ლექსი პოეზიას მიეკუთვნება, პოეზია ლიტერატურაა, ხოლო ლიტერატურას მწერალთა კავშირი პატრონობს... მაშასადამე, განცხადება ლექსად მწერალთა კავშირს გადაუგზავნეს: „მიხედეთ, მოაგვარეთ, მოგვახსენეთ“.

მწერალთა კავშირშიც არის კანცელარია.

— გვიჩივიან, გვესაყვედურებიან! — აქაც შეიქნა წრიალი, მაგრამ რადგან ქვემდებარე კანცელარია აღარ არსებობდა, იკადრეს და ისევ თვითონ შეუდგნენ საკითხის გადაჭრას.

დიდი ძებნისა და კვლევის შემდეგ იპოვეს ბარათის ავტორი.

— თქვენ ჩვენზე საჩივარი გაგზავნეთ ზემდგომ ორგანოებში? — კითხეს მას.

— საჩივარი? — თვალები გაუფართოვდა წერილის ავტორს. — რა საჩივარი? თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მწერალთა კავშირიდან ვართ.

— მაპატიეთ, მე ასეთ ორგანიზაციასთან არაფერი საქმე არა მაქვს! — გადაჭრით განაცხადა ავტორმა.

— როგორ თუ არა გაქვთ?! ლექსებს წერთ, პოეზიაში მუშაობთ და მწერალთა კავშირთან საქმე არა გაქვთ?

— ალბათ, გეშლებათ. მე პოეზიაში კი არა, ლიმონათის ქარხანაში ვმუშაობ. ოცდახუთი წელიწადია იქა ვარ. ცოლ-შვილს გეფიცებით, მწერალთა კავშირთან არავითარი საერთო არა მაქვს, — დაიფიცა წერილის ავტორმა.

— არც ლიტფონდს იცნობთ?

— ასეთი გვარი ჩემს დღეში არ მსმენია.

— არც საუდი იცი?

— არა, ბატონო!

— თავს ნუ იკატუნებ. — შესწყრა სტუმარი. — როგორ შეიძლება ლექსებს წერდე, ლიტფონდსა და საუდს კი არ იცნობდე!

— ცილისწამებაა, ბატონო! — შეწუხდა ბარათის ავტორი. — იმდენი ჭკუა და გონება კი გამაჩნია, რომ ამგვარი სისულელე არ ჩავიდინო. ლექსების წერა?! ღმერთმა დამიფაროს! მე ერთი უბრალო ოსტატი ვარ, პატოსანი, მართალი კაცი. სად მე, ბატონო, და სად ლექსები!

— მაშ, ეს ვისი დაწერილია? თქვენ არ დაწერეთ ეს საჩივარი?

— საჩივარი?

— დიახ, საჩივარი.

— არაფერი მესმის!

— როგორ, თქვენ არ მისწერეთ ლექსად გამოთქმული საჩივარი ამხანაგ გვერდგვერდიანს? მაშ რა არის ეს?! — და კონვერტი აჩვენეს.

— აჰ, ეს?! — ლოყები შეუფერადდა ავტორს. — დამნაშავე ვარ. ალბათ, ეწყინა, ვინ კერკეტაძე და ვინ მეო! მაპატიეთ, შევცდი. რაღაც ეშმაკად ვიფიქრე მისთვის დაბადების დღე ლექსად მიმელოცა და... ხომ მოგახსენეთ, ძალიან შევცდი. რა ვიცოდი, თუ უკან დამიბრუნებდა და თქვენისთანა ადამიანებს შეაწუხებდა.

— როგორ, შენ არ გიჩივლია, ლექსებს არ მიბეჭდავენო?

— რას ბრძანებთ! მე მხოლოდ დაბადების დღე მივულოცე იმ არდასაბადებელს. მეგონა გამიხსენებს და ესიამოვნება-მეთქი. მაპატიეთ, რომ ასე ცუდად გამომივიდა. — ბარათი გამოართვა და ნაღვლიანად დახედა. — აფსუს, რამდენი ადამიანი შემიწუხებია!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/X, 1963 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი,
შეკვეთის № 7244, ემ 00620. ქაღალდის ზომა 60X92. ტირაჟი 2.600.

* * *

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობათა
სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ლუქსემბურგის, 22)

ფასი 40 კაპ.

4/954

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара"

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 76118